პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 58—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—30 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 7 აგვისტო 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი.
ფასი 5 კაპ. № 178 (1923)

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება ამერიკელ მუშათა დელეგაცია.
- მოსკოვში ხელმოწერილია საკონცესიო ხელშეკრულება კრუპის ფირმასთან.
- პოლიციის თავდასხმა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას ბინაზე.
- საგაფიცვო მოძრაობა უნგრეთში ფართოვდება.
- კამპანია ინგლისის მუშათა დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირში.
- დემონსტრაციები ომის საფრთხის წინააღმდეგ გერმანიაში.
- პოლიტპატიმრების სიმშილობა კელცის (პოლონეთი) ციხეში.
- მასიური ჩხრეკა - დაპატიმრებანი რუმინეთში.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების წინ

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, მოლაპარაკება სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად უკვე დასრულებულა და ხელშეკრულება მოკლე ხანში იქნება ხელმოწერილი. მოლაპარაკება ძალზე გაჭიანურდა. ამ მიზნით მოსკოვში წასული, სპარსეთის გარეშე საქ. მინისტრი ანსარი იქ უკვე რამოდენიმე თვეა იმყოფება.

ეჭვს გარეშეა, რომ ამაში დამნაშავეა ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც მოწადინებულია გაამწვავოს ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან, ისე როგორც სხვა დანარჩენ ქვეყნებთან. ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების ჩაშლის შემდეგ ინგლისის დიპლომატია განსაკუთრებით მეცადინეობს სპარსეთიც ჩააბას ანტისაბჭოთა კამპანიაში. ინგლისის ოფიციალური თუ ოფიციოზური პრესა მოუწოდებდა სპარსეთის მესვეურებს გამოერკვიათ თავისი პოზიცია ინგლის-საბჭოთა კონფლიქტში და „ეძებნათ მოსკოვის საფრთხისაგან ხსნა მსოფლიოს არა საბჭოთა ძალებთან გაერთიანებაში“.

ინგლისი აშინებდა სპარსეთის საზოგადოებრივ აზრს „მოსკოვის იმპერიალიზმით“ და ამავე დროს საბჭოთა კავშირს ბრალს სდებდა, თითქოს ის სპარსეთის ეკონომიურ დახშობის პოლიტიკას აწარმოებდეს. ინგლისი უმტკიცებდა სპარსეთს, რომ მათ შორის არსებობენ „ურთი-ერთი“ ეკონომიური ინტერესები და რომ სპარსეთის კეთილდღეობა დამყარებულია ამ ორ ქვეყნის „თანამშრომლობაზე“.

ინგლისის ზეგავლენით გადაყენებულ იქნა მოსტოუფის მთავრობა. რომელიც სპარსეთ-საბჭოთა ურთიერთობის ჩქარა მოგვარების მომხრე იყო. მაგრამ ახალ, მუხბისის კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტრად კვლავ დარჩა ანსარი, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა მაშინაც. ეს მოწმობდა, რომ ინგლისმა თუმცა შეაფერხა სპარსეთ-საბჭოთა ეკონომიურ დაახლოების საქმე, მაგრამ მაინც ვერ შესძლო მისი ჩაშლა.

ეს აიხსნება ერთი მხრით იმ იმპერიალისტურ პოლიტიკით, რომელსაც ინგლისი სპარსეთის მიმართ იმთავიდანვე აწარმოებს. და რომელსაც უკანასკნელის მოწინავე წრეები ვერ ურიგდებიან. ინგლისის მთავრობა ეწინააღმდეგება კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმებას სპარსეთში, ხელს უშლის სპარსელი მრეწველობის მიერ ადგილობრივი ნავთის მრეწველობის განვითარებას, ცდილობს სპარსეთის სტრატეგიული გზები და პუნქტები ხელთ ჩაიგდოს და თავის კონტროლს დაუმორჩილოს. ამავე დროს იმ „ურთიერთი ეკონომიური“ დაინტერესების ხასიათი, რომელზეც ინგლისელი იმპერიალისტები გაიძახიან, სჩანს თუ გინდ შემდეგიდან: 1925—26 წ. ინგლის-სპარსეთის საგარეო ვაჭრობის ღირებულება უდრიდა 93 მილიონ მანეთს, აქედან ინგლისს შეუტანია სპარსეთში 78 მილ. მანეთის საქონელი, ხოლო სპარსეთიდან გაუზიდია მხოლოდ 15 მილიონის; მაშასადამე, ინგლისის იმპორტი სპარსეთში ხუთჯერ აღემატება მის ექსპორტს, რაც სპარსეთს ეკონომიურ კოლონიად ხდის ინგლისის მიმართ.

მეორე მხრივ, ცნობილია საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა სპარსეთის და სხვა ხალხების მიმართ,—ის დამყარებულია მათი სრული დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის ცნობაზე. საბჭოთა მთავრობამ პირველმა უარი განაცხადა პრივილეგიურ უფლებებზე სპარსეთში. რომელი უფლებები მეფის მთავრობას ჰქონდა მასზე მოხვეული. ამასთან, ჩვენს ეკონომიურ ურთიერთობას სპარსეთთან სულ სხვა ხასიათი აქვს ვინემ ინგლისისა; მაგალითად. 1925—26 წ. ჩვენი ვაჭრობა სპარსეთთან გამოიხატა 86 მილიონ. მან.; აქედან ჩვენი იმპორტი უდრიდა 44 მილ. მან.; ხოლო ექსპორტი 42 მილ. მან.

სპარსეთი, კერძოთ ჩრდილოეთ-სპარსეთი უაღრესად დაინტერესებულია ჩვენთან აღებ-მიცემობის განვითარებით. სპარსეთის მეურნეობის მთავარი პროდუქტები უმთავრესად საბჭოთა კავშირში პოულობენ ბაზარს. ამავე დროს ჩვენი ნავთი, ფართლეული, შაქარი და სხვა გავრცელებულია სპარსეთში. სავაჭრო ხელშეკრულების დადების შემდეგ ვაჭრობა უფრო განვითარდება, რაც ხელს შეუწყობს ორივე მხარის, პირველ ყოვლისა სპარსეთის ეკონომიურ აღორძინებას. ამიტომაა. რომ სპარსეთის კომერციული წრეები დაჟინებით მოითხოვენ ამ ხელშეკრულების სწრაფად დადებას. აღმოფხვრილი ბოიკოტისტური განწყობილება საბჭოთა საქონლის მიმართ, რასაც ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა სპარსეთში, ინგლისის და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სავაჭრო წრეების ზეგავლენით.

როგორც ვსთქვით, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა უახლოეს დროის საკითხია. ინგლისის იმპერიალიზმი ამ პუნქტში მარცხდება. მაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდენ სპარსეთის ხალხის ის სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც მის ხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირთან დაახლოების გზაზე აყენებენ.

„განიარაღების“ კონფერენციის დამარცხება

საზღვაო „განიარაღების“ ჟენევის კონფერენცია საბოლოოდ ჩაიშალა. ასეთია დღევანდელი დეპეშის აზრი მისი „განუსაზღვრელი ვადით გადადების“ შესახებ.

როგორც უკვე არაერთხელ იყო ხაზგასმით აღნიშნული, ბრძოლა კრეისერების გარშემო, რომელიც სწარმოებდა კონფერენციაზე ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის, წარმოადგენს დიდ საზღვაო გზებზე მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ელემენტს.

უძალ იყო საფუძველი გვეფიქრა, რომ ინგლისის იმპერიალიზმი გაიმეორებდა იმ ტაქტიკას, რომელსაც იგი ადგა ვაშინგტონის კონფერენციაზე 1921 წელში, ე. ი. წავიდოდა ზოგიერთ დათმობაზე, რათა არ გაემწვავებია ურთიერთობა ასეთ მძლავრ მეტოქესთან. ასეთ აზრს გამოსთქვამდენ ინგლისის პრესის ზოგიერთი ორგანოები და აგრეთვე სამხედრო სპეციალისტები. ასე, მაგალითად სამხედრო-საზღვაო საქმის ერთ-ერთი უდიდესი მცოდნე ჰექტორ ბაიუტერი კონფერენციის გახსნის წინ გამოშვებულ წიგნში „ფლოტები და ხალხები“ ურჩევდა ინგლისს ეცნო არასასიამოვნო ფაქტები და გამოეტანა სათანადო დასკვნები შეცვლილ მსოფლიო ურთიერთობიდან. „უსარგებლოა იმ ფაქტის დაფარვაო — სწერს იგი,—რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა აღარ გვაძლევს ჩვენ საშუალებას შევინარჩუნოთ პირველობა მწვავე მეტოქეობის პირობებში. ძალა ზღვაზე, ყოველ შემთხვევაში, მისი მატერიალური ელემენტები, წარმოადგენს ფულის საკითხს. რაკი ჩვენ აღარა ვართ უმდიდრესი ქვეყანა, ჩვენს პირველობაში ზღვაზე წარმატებით შეიძლება შემოგვეცილოს მეტოქე, რომელსაც აქვს გატენილი ქისა (იგულისხმე ამერიკა. რედ.).

ამ გადამწყვეტ ფაქტიდან ბაიუტერს გამოყავს ის დასკვნა, რომ ინგლისის ინტერესები მოითხოვენ შეთანხმებას სამხედრო - საზღვაო მშენებლობის შეზღუდვის შესახებ ასეთსავე რჩევას იძლეოდენ ბევრი ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც სხვათა შორის აღნიშნავდენ, რომ „ბოლშევიკურ საფრთხის“ და ჩინეთის რევოლიუციონურ მოვლენების გამო ინგლისს არ შეუძლია მისცეს თავს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გამწვავების ნება.

მაგრამ შუბლმაგართა მთავრობამ, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო აგრესიულ ბრიტანელ იმპერიალისტებს, მტკიცედ გადასწყვიტა დაეცვა მოპოვებულ პოზიციების თითეული გოჯი, და, ვაშინგტონის პერიოდთან განსხვავებით, არავითარ დათმობაზე არ წასულიყო გაკადნიერებულ მდიდარ ამერიკასთან. ის დაადგა იმ თვალსაზრისს, რომ ჟენევის კონფერენცია წარმოადგენს გადამწყვეტ მომენტს. ინგლისი ან დაუთმობს ამერიკის იმპერიალიზმს, რაც საბოლოო ანგარიშით უდრის მსოფლიო ჰეგემონიის პოზიციაზე უარის თქმას, ან გასწევს წინააღმდეგობას და აიღებს მტკიცე კურსს, რაც აუცილებლად გამოიწვევს ურთიერთობის გამწვავებას მძლავრ მეტოქესთან.

ინგლისის იმპერიალიზმმა მოახდინა არჩევანი: მან გადასწყვიტა უკანასკნელი, ე. ი. შეჯიბრება ზღვისგამღმელ მეტოქესთან. ვინაიდან ამ იმპერიალისტურ გიგანტების ურთიერთობის საკითხი წარმოადგენს კაპიტალისტურ მსოფლიოს განვითარების გადამწყვეტ პრობლემას, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჟენევის კონფერენციის ჩაშლა წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ უუმნიშვნელოვანეს მომენტს უკანასკნელ ომის შემდეგ.

ინგლისის, ამერიკის და იაპონიის შეიარაღების შეჯიბრი განვითარდება კიდევ უფრო საშინელი ტემპით. ბრძოლა ნედლეულის ბაზრებისათვის (კაპიტალის გამოყენების ბაზრებისათვის, გავლენის სფეროებისათვის და სხვ.) შეუწყვეტლად გამწვავდება. ბუნებრივად იბადება კითხვა: საითკენ მივყავართ ყველაფერ ამას?

ამ გზაზე ჩნდება ომის აჩრდილი. მისი დანახვა არ უნდათ, მისგან შიშით პირს იბრუნებენ.

„ის აზრი, — სწერს „ნეიე ფრეიე პრესსე“-ში ლოიდ - ჯორჯი—რომ როდისმე ან როგორმე შეიძლება საქმე მივიდეს ომამდე ინგლისსა და ამერიკას შორის, იმდენადვე წარმოუდგენელია ინგლისელის გონებისათვის, როგორც ომი იუპიტერთან“. მაგრამ ამ შელოცვებით ომის აჩრდილი არ ქრება.

უკვე მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაიწყო ლაპარაკი ინგლის - ამერიკის ომის შესაძლებლობის შესახებ, წარმოადგენს დამახასიათებელ სიმპტომს. ლოიდ-ჯორჯი საკმაოდ ჭკვიანია, რომ გაიგოს, რომ თუ ინგლისი და ამერიკა ვერ შეთანხმდენ თავის შეიარაღების შეფარდების საკითხში, თუ ინგლისი იღებს გემების მშენებლობის პროგრამას 75 მილიონ გირვანქა სტერლინგის (750 მილიონ მანეთის) რაოდენობით, თუ ამერიკა იმუქრება კიდევ მეტი პროგრამით,—აქ მოქმედებენ სტიქიური ძალები, რომელთაც საბედისწერო გზით მიჰყავთ ორივე ქვეყანა.

საკმაოა დავაკვირდეთ ამერიკის პრესის კილოს, რომ მასში აღმოვაჩინოთ რაღაც იმ პოლემიკის მსგავსი, რომელიც გაიმართა ინგლისს და გერმანიას შორის 1908 წელში, როდესაც უკანასკნელმა დაიწყო დრედნოუტების აგება.

„ბრიტანეთის მისწრაფება პირველობისადმი კრეისერების საკითხში—სწერს გავლენიანი „ვაშინგტონ პოსტ“-ი —გამოიწვევს სამხედრო ძლიერების განუსაზღვრელ გადიდებას. არ უნდა არსებობდეს არავითარი ეჭვი ამერიკის ხალხის განწყობილებათა შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით. რომელმა უცხოელმა სახელმწიფომაც არ უნდა განაცხადოს უარი თანასწორობის პრინციპის მიღებაზე, ეს გამოიწვევს ჩვენს ქვეყანაში უდიდეს აღშფოთებას; ამის შედეგი კი იქნება მსოფლიოში უძლიერეს ფლოტის აგება“.

ასეთი მუქარა უაღრესად დამახასიათებელია იმ ახალ მდგომარეობისათვის, რომელიც შეიქმნა ურთიერთობაში ინგლისსა და ამერიკის შორის. ეს, რა თქმა უნდა, არ მოასწავებს, რომ ინგლის ამერიკის ომის შესაძლებლობა უკვე ისმება დღის წესრიგში, როგორც სადღეისო პრობლემა, მაგრამ ამ ურთიერთობათა ფრიად სერიოზული გამწვავება უკვე ფაქტია.

ჟენევის მარცხი აძნელებს ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტების შეთანხმების შესაძლებლობას ჩვენს წინააღმდეგ.

მაგრამ ამ გარემოებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოადუნოს ჩვენი სიფხიზლე. თუმცა მტაცებლები უღრენენ ერთმანეთს, მაგრამ მათ შეუძლიათ შემოესიონ ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, როგორც მსოფლიო პროლეტარულ და ნაციონალურ - განმათავისუფლებელ მოძრაობის კერას. ეს არც ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეიარაღების ტემპის დაჩქარება ჰქმნის უკიდურეს გამწვავებას საერთაშორისო ურთიერთობაში და ასეთი ატმოსფერაში ორკეცდება პროვოკაციის საშიშროება ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენი მტრების შეიარაღების გაძლიერების გამო ჩვენც უნდა ავსწიოთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვა როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე და ჰაერში.

მორიგ „სამშვიდობო“ კონფერენციის სკანდალურმა მარცხმა უნდა თვალსაჩინოდ გახადოს ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის, თუ რა ღირებულება აქვს ბურჟუაზიის და მისი ლაქიების ლაყბობას განიარაღების შესახებ და მიმართოს მისი ყურადღება ბრძოლისაკენ ახალ ომების საშიშროების წინააღმდეგ, რომელიც თანდათან იზრდება.

„პრავდა“
მოსკოვი, 6 აგვისტო.

საბჭოთა ხელისუფლება და ინტელიგენცია

ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხი დაისვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე. მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც ცხოვრებას სრულიად ახალ საფუძველზე აშენებს, უაღრესად დაინტერესებულია, რომ ამ მშენებლობაში აქტიურად ჩააბას ყველა ინტელექტუალური ძალები, მჭიდრო კავშირი დაამყაროს შრომასა და მეცნიერებას შორის, ის მოწადინებულია ცხოველი მონაწილეობა მიაღებინოს ინტელიგენციას ქვეყნის ეკონომიურ - კულტურულ განვითარებაში. აქეთკენ მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლება ინტელიგენციას იმ თავითვე და ამავე დროს სცდილობდა მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის შეექმნა ხელსაყრელი პირობები.

ქართველი ინტელიგენციის ნაწილი კიდეც დაადგა მუშათა კლასთან თანამშრომლობის გზას და მას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშენებლობაში. მაგრამ ამავე დროს ინტელიგენციის მეორე ნაწილი, რომელიც უმთავრესად ისტორიის მიერ დამარცხებულ პარტიების იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, განუდგა საბჭოთა წყობილებას, მის წინააღმდეგ საბოტაჟის და ხშირად აქტიური მტრობის ხაზს ატარებდა. ამ ნიადაგზე, რა თქმა უნდა, აუცილებელი შეიქმნა კონფლიქტი ასეთ ელემენტებსა და საბჭოთა ხელისუფლების შორის. ცხადია, ჩვენ ვერ მოვითმენდით საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებისა და აღმშენებლობითი მუშაობისათვის ხელის შეშლას, რასაც მიზნად ისახავდენ ინტელიგენციის ზოგიერთი ჯგუფები თუ ცალკე წარმომადგენლები.

მაგრამ დრო გადიოდა. კონტრ-რევოლიუცია სასტიკად დამარცხდა ახალ წყობილებასთან ბრძოლაში და საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, მან მკვიდრად გაიდგა ფეხი მშრომელ მოსახლეობაში, რომელიც მთელი თავისი ძალღონით უჭერს მას მხარს. ამ გარემოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა იმ ელემენტებზე, რომელნიც შავი ზღვისაკენ იცქირებოდენ და ქვეყნის სასარგებლო დადებითი მუშაობის მაგივრად რუსთაველის პროსპექტზე ათასგვარ ჭორებით ირთობდენ თავს. ცხადი შეიქნა, რომ ძველი მდგომარეობის დაბრუნება მეტად საეჭვო გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება საფუძვლად ედვა პირველ ყოვლისა ის უდიდესი აღმშენებლობა სამეურნეო და კულტურულ დარგში, რომელსაც ეწევა იგი მთელ მშრომელ მასებთან ხელჩაკიდებული. ამ აღმშენებლობის შედეგი ყველასათვის ნათელია და მის უარყოფას ჩვენი მტრებიც ვერ ბედავენ. ყოველგვარი ნიადაგი გამოეცალა ზღაპრებს, თითქო ბოლშევიკები ანადგურებდენ საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად და სპობდენ მის თავისუფალ არსებობას. სინამდვილეში კი ყველამ დაინახა, რომ საქართველოში ძალა-უფლება მის მშრომელ მასებს უკავიათ ხელთ, რომ საბჭოთა მთავრობა გამოდის ქვეყნის ეკონომიურ და კულტურული ამაღორძინებელის მედროშედ.

ამასთან დაკავშირებით იწყება არსებითი გარდატეხა ქართველ ინტელიგენციაში და უმრავლესობა გადაჭრით დგება საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. ბოლო ხანებში ეს თვალსაჩინოთ გამოაშკარავდა. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა რთულია. იმპერიალისტები ინგლისის მთავრობის მეთაურობით ნიადაგს ამზადებენ მაზე გამოლაშქრებისათვის. კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაცია ჟორდანია-რამიშვილის სახით საქართველოში აგზავნის „სადირექტივო წერილებს“, რომლებშიც ეს უჯარო „გენერლები“ ურჩევენ თავის „მრევლს“ გააცხოველონ მუშაობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. რევოლიუციის მიერ განწირულ ელემენტებს, საზოგადოების ნაძირალებს კვლავ აღეძრათ თავისი შავი ზრახვების განხორციელების იმედი. მთელი მშრომელი მასა უფრო მჭიდროთ შემოკრბა თავის ხელისუფლების გარშემო და მან ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა, რომ მზად არის თავისი მკერდით დაიცვას თავისი საქმე. ვისთან იქნება საქართველოს ინტელიგენცია ასეთ პირობებში,—ეს კითხვა პირდაპირ დასვა ცხოვრებამ. აქ ორჭოფული პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა. ან რევოლიუციასთან ან საბჭ. მთავრობასთან, ან რეაქციასა და იმპერიალიზმთან,—მხოლოდ ასეთი პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო. სხვა, მესამე გზა არ არსებობს. და აი ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველი ინტელიგენცია საბჭოთა მთავრობასთანაა და წინააღმდეგია ყოველგვარ ავანტიურის, რომლის მოწყობას ცდილობენ რამიშვილები. მეცნიერების მუშაკთა, ექიმების, ინჟინერების და სხვა დარგების წარმომადგენელთა კრებებზე გამოჰქონდათ დადგენილებები, რომ გმობენ ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკას, რომელსაც უბედურება მოაქვს ქართველ ხალხისათვის და გვერდში უდგანან საბჭოთა მთავრობას, რომელიც ქვეყნის თავისუფლებას, მისი ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრების საქმეს ემსახურება.

ამ კრებებს შორის ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის კრება, რომელიც გუშინწინ გაიმართა. აქ წარმოდგენილი იყვენ ინტელიგენციის ყველა ჯგუფები. იგი მოწვეული იყო ნ. ნიკოლაძის ინიციატივით. თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა აწარმოებს უდიდეს მუშაობას საქართველოს ასაღორძინებლად და მოუწოდა ინტელიგენციას მასთან გულწრფელ თანამშრომლობისაკენ. ესევე განაცხადეს ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმაც. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გადაჭრით გმობს ავანტიურების მოწყობას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, ანტისაბჭოთა მუშაობას თვლის ქართველ ხალხისთვის დამღუპველად, ცნობს, რომ საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და ამ ხელისუფლების მეცადინეობით დაადგა აღორძინების მკვიდრ გზას და მოუხმობს ინტელიგენციას იმუშაოს მთავრობასთან ერთად ეკონომიურ-კულტურულ დარგში და შეებრძოლოს ყოველგვარ ავანტიურას.

ასეთია ქართველი ინტელიგენციის პასუხი ჟორდანია-რამიშვილის „დირექტივებზე“. ჩვენ გვჯერა, რომ ყველაფერი ეს გულწრფელადაა ნათქვამი და ქართველი ინტელიგენცია საქმით გაატარებს თავის დეკლარაციას. პრაქტიკული მუშაობა ამ მიმართულებით კარგა ხანია, რაც დაიწყო, ის უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა შესაფერ ზომებს მიიღებს, რომ ინტელიგენციას კიდევ უფრო გაუადვილოს მასთან თანამშრომლობა და აღმშენებლობაში ფართე მონაწილეობის მიღება. ჩვენი ქვეყანა დღეს სამეურნეო და კულტურულ გარდაქმნის ღრმა პროცესს განიცდის. და აქ ჩვენ ხელს გავუწოდებთ ყველა იმათ, ვისაც გულწრფელად სურს თავისი ცოდნა და გამოცდილება ხალხის სამსახურს მოახმაროს.

ვ. ნ—ძე.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

ნანკინის და უხანის მთავრობების გენერლების ღალატმა და თვით ჩინეთის ბურჟუაზიის რევოლიუციისაგან გათიშვამ შექმნეს მძიმე კრიზისი ჩინეთის რევოლიუციისათვის და მეტად მძიმე პირობებში ჩააყენეს თვით ჩინეთის ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

ჩინეთის რევოლიუციის მსვლელობამ აშკარად დაამტკიცა, რომ ჩინეთის ეროვნული განთავისუფლება, ჩინეთის გაერთიანება და უცხოელ იმპერიალისტების კლანჭებიდან თავის დახსნა შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციის განვითარებასთან ერთად. და ვიდრე ეს ორი პროცესი ჩინეთის მასების რევოლიუციონური მოძრაობა პარალელურად ვითარდებოდა ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად, როდესაც მთლიანი გომინდანი მეთაურობდა ერთსა და მეორესაც, სამხედრო მოქმედებაც წარმატებით მიმდინარეობდა.

ეხლა კი, როდესაც გომინდანმა ჩინეთის ბურჟუაზიასთან ერთად ზურგი უბრუნა რევოლიუციას და პირიქით მის წინააღმდეგ ამხედრდა, სულ სხვა სურათს ვხედავთ სამხედრო მოქმედებაში. ჩან-კაი-შის ძლევამოსილი და აქნობამდის გამარჯვებული ჯარი, რომელიც თითქმის პეკინის კარს უახლოვდებოდა, ეხლა სისტემატიურად მარცხს მარცხზე განიცდის. უკანასკნელი დეპეშების ცნობით ჩან-კაი-შის ჯარის კონტრ - იერიში შანდუნის ჯარების წინააღმდეგ, მარცხით დამთავრებულა და ჩან-კაი-ში იძულებული გამხდარა სუიჯოუს სამხრეთით დაეხია. ეს ფაქტი უკვე იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ჩან-კაი-შის ოცნებაც კი აღარ შეუძლიან პეკინის დაპყრობაზე და მისი როლი ჩინეთის ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობაში ისევე სამარცხვინოთ მთავრდება, როგორც დამთავრდა ჩინეთის რევოლიუციაში. აღარაფერი ისმის მისი ჩან-ძო-ლინთან შეთანხმებაზე და ცხადია, რომ ეხლა ჩან-ძო-ლინი არავითარ დათმობაზე არ წავა. კარგად გრძნობს იგი, რომ ჩან-კაი-ში ეხლა მისთვის საშიშ ძალას აღარ წარმოადგენს. მოსალოდნელია უფრო, რომ თვით ჩან-კაი-ში გაჰყვება ყოველგვარ დათმობის გზას და მაშასადამე ჩამოშორდება საბოლოოდ ჩინეთის განთავისუფლების საქმეს.

მეორე სამხედრო ფრონტზე, სახელდობრ ფინ-იუ-სიანის ჯარისა, სამხედრო მოქმედება სრულიად შეწყდა. ფინ-იუ-სიანიც ხომ პეკინს უახლოვდება, ფინ - იუ - სიანიც ბრწყინვალედ იმარჯვებდა, იმარჯვებდა მაშინ, როდესაც იგი ჩინეთის მასების თვალში რევოლიუციის მედროშედ გამოდიოდა. ეხლა კი, როდესაც უღალატა მან რევოლიუციას, იგი უძრავად სდგას და ჩინეთის გაერთიანების და ეროვნულ განთავისუფლების საქმე მასაც ხელიდან წაუვიდა. უძრავად სდგას მეორე გენერალი—იენ - ხი-შანი, პროვინცია შანსის მფლობელი, რომელიც ამას წინად ეროვნულ - რევოლიუციონურ ქურქში გახვეული გამოვიდა და შემდეგ კი ჩან-ძო-ლინთან ლაქუცი დაიწყო.

დღევანდელი დეპეშა გვაუწყებს, ვითომ იენ სი-შანის და ფინ-იუ-სიანის შორის რაღაც საიდუმლო შეთანხმებაა დადებულიო, მაგრამ რა შინაარსის და ვის წინააღმდეგ მიმართულია ის —ჯერ არა სჩანს. ერთი სიტყვით მდ. იან-ცე-ციანის ჩრდილოეთით მომქმედ გენერლების შორის (ჩან-კაი-ში, ფინ-იუ-სიანი და იენ-სი-შანი) თითქოს შეთანხმება იყო მიღწეული და მოსალოდნელი იყო მათი საერთო მოქმედება პეკინ-მუკდენის წინააღმდეგ, მაგრამ ეხლა ირკვევა, რომ ეს შეთანხმება მარტო ქაღალდზე დარჩა და ამ გენერალთა შორის ქიშპობამ და მეტოქეობამ იჩინა თავი.

არა უკეთეს მდგომარეობაშია მესამე ფრონტი — უხანის მთავრობისა და ყოფილ მემარცხენე გომინდანისა.

უხანის მთავრობა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩან-კაი-შის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ემზადება, იგი ფაქტიურად იმავე ჩან-კაი-შის გზას მისდევს და ამრიგად გამოეთიშა რევოლიუციო-[illegible] ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. დღევანდელი დეპეშა, რომელიც გადმოგვცემს უხანის მთავრობის ჯარის მიმართ ბრძანებას ამას აშკარად ჰყოფს. უხანის მთავრობა უბრძანებს ჯარის სარდლობას, რომ დაიცვას უცხოელ კაპიტალისტების ქონება და დაწესებულებანი ჩინეთში და აცხადებს, რომ უცხოელ იმპერიალისტების მიერ დაკისრებული არა სწორუფლებიანი ხელშეკრულებანი მოხსპობილ უნდა იქმნან დიპლომატიური საშუალებებით და არა ბრძოლით. ეს უკვე ნიშნავს ჩინეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ხელის აღებას.

თვით უხანის მთავრობის ჯარების შიგნით მდგომარეობა მთავრობისათვის მაინც და მაინც მტკიცე არ არის. უკვე ამ ჯარში ამბოხებამ იჩინა თავი და ორი დივიზია აუჯანყდა მთავრობას. მართალია მთავრობამ მოახერხა ამ აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ თვით ეს ფაქტი და მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ეს აჯანყება ბევრის მაჩვენებელია.

ასეთ პირობებში უხანის მთავრობა, რასაკვირველია, დიდს აქტივობას ვერ გამოიჩენს და ვერც შესძლებს ჩან-კაი-შისთან გამკლავებას. უკანასკნელიც შებორკილია ამჟამად ჩრდილოელების შეტევის გამო და ამ რიგად ჩინეთის ბურჟუაზიის მთელი ჯარები და სამხედრო მოქმედება შეჩერებულია.

რევოლიუციის მიმართ ღალატმა ჩინეთის ბურჟუაზიას მოუტანა სრული დამარცხება ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ი. ზედევანიშვილი.

ინგლის-ამერიკის ბრძოლა ნავთისათვის მწვავდება

იტალიისა და ამერიკის გაზეთები მხარს უჭერენ საბჭოთა ნავთით ძველებურად ვაჭრობას

ინგლისის დელეგაციის მოთხოვნილებით გადადგა ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანი უდეგესტი

გერმანიის ქალაქებში იმართება დემონსტრაციები ომის საფრთხის წინააღმდეგ

ბრძოლა საბჭოთა ნავთისათვის

დეტერდინგი „იმუქრება“

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. „ნიუ-იორკ ამერიკენ“ აქვეყნებს დეტერდინგის დეპეშას, რომელშიაც ეს უკანასკნელი საბჭოთა ნავთის ყიდვის გამო ამერიკის სანავთო კომპანიების ინდოეთიდან განდევნით იმუქრება და დირექტივებს აძლევს „როიალ დეტჩ შელლ“-ის ამერიკის განყოფილებას „სტანდარტ ოილლ“-ის წინააღმდეგ დაიწყოს კამპანია პრესაში. ეს კამპანია ემყარება ამერიკელების ბრალდებას „მოპარულ“ ნავთის ყიდვაში, ნავთის ამომღებ ამერიკელ კომპანიებისათვის ზარალის მიყენებაში, რევოლიუციისათვის სუბსიდიების მიცემაში და სხ. ამ ბრალდებებს ამერიკის პრესა არ იზიარებს. **გაზეთების მოწინავე წერილები, მეტწილად, იწონებენ საბჭოთა ნავთის ყიდვას.** (ადს).

კოგენის „საბუთები“

ლონდონი, 5 აგვისტო. „ფინანშიელ ნიუსმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ კოგენთან. კოგენი ინგლისის „შელლ ოილ კომპანიის“ ერთ-ერთი დირექტორია. ინტერვიუში კოგენი სასტიკად ილაშქრებს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის წინააღმდეგ და თავისი აზრების დასასაბუთებლად სარგებლობს ჩვეულებრივ და შაბლონურ არგუმენტაციით. აღნიშნავს, მაგალითად, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა ნიშნავს „ხელის შეწყობას ქურდობისათვის“ და სხვა. დასასრულ კოგენი აცხადებს:

„საბჭოთა კავშირთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის აღდგინა ზიანის გარდა, არაფერს არ მოგვიტანს“.

იტალიაში „რეალიზმზე“ ალაპარაკდენ

რომი, 5 აგვისტო. „ჯორნალე-იტალია“ აქვეყნებს ბერლინელ კორესპონდენტის ვრცელ წერილს, რომელიც ეხება ინგლის-ჰოლანდიურ სანავთო ტრესტ „როიალ დეტჩ შელლ“-სა და „სტანდარტ ოილ კომპანი ნიუ-იორკ“-ს შორის მომხდარ კონფლიქტს. **აღნიშნავს რა ამერიკის კაპიტალის დახმარებით საბჭოთა ნავთის აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში შეჭრის საშიშროებას ინგლისისათვის, კორესპონდენტი ამ კონფლიქტის შემდგომ გამწვავებას წინასწარმეტყველებს.**

„რაც შეეხება იტალიას,—სწერს გაზეთი,—მან ამ ბრძოლიდან უნდა გამოიტანოს დასკვნა, რომ **იდეოლოგიური შეურიგებლობა ხელს არ უნდა უშლიდეს იტალია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ თანამშრომლობას. იტალიამ ამ შემთხვევაში უნდა მიბაძოს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატების რეალისტურ პოლიტიკას**“. (ადს).

რუმინიის ნავთის მრეწველები ღელავენ

ვენა, 5 აგვისტო. ცნობამ ნავთის სინდიკატსა და „სტანდარტ ოილის“ შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ დიდი მღელვარება გამოიწვია რუმინიის ნავთის მრეწველთა წრეებში. ამ წრეებში შიშობენ, რომ რუმინიის ნავთის გასაღება შემცირდება, თუ საბჭოთა ნავთი ამერიკულ ტრესტის დახმარებით გასაღდება ევროპის ბაზარზე.

ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი

ინგლისის დელეგაციის გამარჯვება

პარიზი, 5 აგვისტო. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესის წრეებში თითქმის გადაწყვეტილად თვლიან რომ **უდეგესტი გადადგება, ბროუნი დარჩება ინტერნაციონალის სამდივნოში და რომ სამდივნო ამსტერდამიდან ბრიუსელში იქნება გადატანილი.**

საკითხის ამგვარად გადაწყვეტას ხსნიან, როგორც ინგლისის დელეგაციის გამარჯვებას, რომელმაც **თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მიაღწია დამუქრებით, რომ ინგლისის პროფკავშირები გავლენ ინტერნაციონალიდან.**

უდეგესტის გადადგომა

პარიზი, 5 აგვისტო. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე **უდეგესტმა წაიკითხა განცხადება თავისი გადადგომის შესახებ. განცხადებას სამარისებური სიჩუმით შეხვდენ.**

სჩანს, რომ **კონგრესის ხელმძღვანელ წრეებში მიღებულია გადაწყვეტილება თავიდან მოიშორონ ინტერნაციონალის სახელგატეხილი მდივანი.** (ადს).

მოხსენებები და რეზოლიუციები

პარიზი, 5 აგვისტო. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე უკამათოდ იქნა მიღებული **ზასენბარის** მოხსენება „საერთაშორისო სოლიდარობია კამპანიები შრომისა და კაპიტალის კონფლიქტების დროს“. მოხსენება ითვალისწინებს მთელ რიგ „გამონაკლისებს“, რომელნიც პრაქტიკულად თითქმის შეუძლებლად ხდიან საერთაშორისო კამპანიებს.

შემდეგ მიღებულ იქნა **ჟუოს** პაციფისტური მოხსენება განიარაღებაზე და ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

რეზოლიუცია „8 საათის სამუშაო დღისათვის საერთაშორისო ბრძოლის“ შესახებ წაიკითხა **ბერნგორდტმა** (გერმანია), რომელმაც უმთავრესი ყურადღება მიაქცია ვაშინგტონის შეთანხმების (8 საათის სამუშაო დღის შესახებ) რატიფიკაციის საჭიროებას. რეზოლიუცია მრეწველობის რაციონალიზაციის შესახებ გამოსთქვამს სურვილს, რომ რაციონალიზაციამ გააუმჯობესოს მუშათა მდგომარეობა.

როცა **მეგლინმა** (შვეიცარია) განაცხადა, რომ 8 საათის სამუშაო დღის ლეგალიზაცია შრომის საერთაშორისო ბიუროს სხვა დაპირებებთან ერთად რჩება ქაღალდზე და შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მასების მოქმედების კონცენტრაციას იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას ეს მონაპოვარი—8 საათის სამუშაო დღე, და მწარმოებლებს გაეწიოს წინააღმდეგობა ყოველგვარი საშუალებით, მაშინ შვეიცარიის დელეგაციამ განაცხადა, რომ მეგლინი არის „კომუნისტი და პროფესიონალური მოძრაობის მტერი“ და რომ ეს რეზოლიუცია მოსკოვის ნაკარნახევია.

მეგლინის რეზოლიუცია უარყოფილი იქნა. (ადს).

ვინ იქნება უდეგესტის მემკვიდრე?

პარიზი, 6 აგვისტო. 6 აგვისტოს ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი იხილავდა მეორე ხარისხოვან მნიშვნელობის საკითხებს. სხდომის გახსნისას აღმასკომის ბიურომ განაცხადა, რომ იმ კომისიამ, რომელიც არჩეულ იქნა უდეგესტსა და ბროუნს შორის მომხდარ კონფლიქტის განსახილველად, გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ გამოუტანია. ბიუროს ცნობის შემდეგ გამოვიდა უდეგესტი, რომელმაც განაცხადა, რომ ვინაიდან ის არ სარგებლობს კონგრესის ერთსულოვან ნდობით, მან გადასწყვიტა გამოვიდეს ინტერნაციონალის სამდივნოს შემადგენლობიდან.

კონგრესის კულუარებში ლაპარაკია ათასნაირ შესაძლებელ კომბინაციების შესახებ უდეგესტის გადადგომასთან დაკავშირებით. უფრო გავრცელებულია ის აზრი, რომ ინტერნაციონალის ხელმძღვანელობა, ინგლისელების თანხმობით, გადავა გერმანიის პროფკავშირების წარმომადგენელთა ხელში (ადს).

ტერორი რუმინეთში

მასიური დაპატიმრებანი

ვენა, 5 აგვისტო. მთელ რუმინეთში ხდება მუშათა მასიური დაპატიმრება; დაპატიმრება ვითომც დაკავშირებულია არალეგალურ კომუნისტურ ორგანიზაციების აღმოჩენასთან ბუქარესტში. **ტარგუმრესში (სემიგრადიე) დაპატიმრებულია 60 მუშა, მათ შორის უნიტარული პროფკავშირების ყველა ხელმძღვანელნი. დაპატიმრებულმა მუშებმა პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს სიმშილობა**, რის შემდეგაც 30 მათგანი გაანთავისუფლეს. **არადში პროფკავშირთა მრავალი მოღვაწე დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი სამხედრო სასამართლოს გადასცეს. ბუქარესტში დაპატიმრებული არიან მემარცხენე მუშათა მოძრაობის ყველა ბელადები.**

ავსტრიელ მენშევიკების კაპიტულიაცია

თავდაცვის რაზმების დაშლა

ვენა, 5 აგვისტო. სოციალ-დემოკრატებთან ახლო მდგომი „აბენდი“ იუწყება, რომ **16 ივლისს მოწყობილი სათემო პოლიცია დათხოვნილ იქნება და მის მაგიერ მოეწყობა სათემო რაზმი 1.000 კაცის რაოდენობით.** სათემო რაზმი დაექვემდებარება სახანძრო რაზმის მთავარ უფროსს. მისი ამოცანა „აბენდ“-ის სიტყვით, მდგომარეობს იმაში, რომ დახმარება გაუწიოს სახანძრო რაზმს ხანძართა და წყალდიდობის შემთხვევაში (ადს).

დომბროვსკის პროცესი

კოვნო, 5 აგვისტო. კეიდენში მალე დაიწყება დომბროვსკის პროცესი, რომელიც სამხედრო სასამართლოშია მიცემული იმის გამო, რომ ბრალად ედება „კომუნისტური ლიტერატურის გავრცელება და კომუნისტური პროპაგანდის წარმოება“.

დომბროვსკის მკაცრი სასჯელი ელის (ადს).

ამნისტიას მოითხოვენ

ვენა, 5 აგვისტო. რუმინეთის ეროვნულმა გლეხთა პარტიამ პარლამენტში შეიტანა შეკითხვა, რომელიც მოითხოვს საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების გარდა იმ პირთა, რომელთაც დანაშაული აქვთ ჩადენილი საპარლამენტო არჩევნებში. (ადს).

ესპერანტისტების კონგრესი

ბერლინი, 5 აგვისტო. ბერლინში გაიხსნა ესპერანტისტების მე-19 საერთაშორისო კონგრესი. კონგრესს დაესწრო იგი 1000 მეტი დელეგატი 30 ქვეყნიდან. საკავშირო პროლეტარულ ესპერანტისტების კავშირის სახელით კონგრესზე გამოვიდა **დრეზენი.** (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

გერმანიის პროლეტარიატის პროტესტი

ბერლინი, 5 აგვისტო. 4 აგვისტოს ლიუსტგარტენში (მასიურ მიტინგების ცენტრალური ადგილი ბერლინში) გერმანიის კომპარტიამ მოაწყო მასიური საპროტესტო დემონსტრაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დაცვის სასარგებლოდ. **დემონსტრაცია, რომელშიაც 100.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა, წარმოადგენდა არაჩვეულებრივ სანახაობას.** დემონსტრანტები თავს იყრიდენ ბერლინის სხვადასხვა რაიონებიდან, მოდიოდენ კოლონებად, მრავალი ასეული დროშით და პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა შემდეგი ლოზუნგები: **„ძირს იმპერიალისტური ომი, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას, ძირს ერთა ლიგა, ძირს მეორე ინტერნაციონალი“.**

ლიუსტგარტენში თავმოყრილ დემონსტრანტების წინაშე სიტყვით გამოვიდა ერთდროულად **16 ორატორი.** თავის სიტყვებში ორატორები აღნიშნავდენ იმპერიალისტების მზადებას ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებას ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ჟენევის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ. **ორატორებმა მოიგონეს 1914 წლის 4 აგვისტო, როდესაც გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა რეიხსტაგში ხმა მისცეს კრედიტს ომისათვის.** „1914 წლის 4 აგვისტო, —აცხადებდენ ორატორები,—შიძვეი სოციალდემოკრატიულ ბელადების მოღალატეობისა, შევა ისტორიაში, როგორც გერმანიის მუშათა მოძრაობის უდიდესი სირცხვილის დღე“.

დემონსტრანტებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც პირობას სდებენ, რომ ისინი დაიცავენ საბჭოთა კავშირს. დემონსტრანტებმა, აგრეთვე, ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ საკოსა და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ბრძოლისაკენ უდანაშაულოდ დასჯილთა განთავისუფლებისათვის.

ასეთივე მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ გაიმართა აგრეთვე გერმანიის მთელ რიგ პროვინციალურ ქალაქებში.

ზოლინგენში დემონსტრაცია გამართეს კომპარტიამ და პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების ადგილობრივმა განყოფილებამ. ცნობები მრავალრიცხოვან დემონსტრაციების გამართვის შესახებ, მოდის აგრეთვე დრეზდენიდან, შტეტინიდან და ლეიპციგიდან, ლეიპციგში მოხდა შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. მრავალია დაჭრილი (ადს).

ხმები უხანისა და ნანკინის შეთანხმების შესახებ

უხანის ჯარებს მიეცა წინადადება მოერიდონ ბრძოლის „არა კანონიერ“ მეთოდებს

ჩან-კაი-შის ჯარების უკან დახევა.—ვაჭრების ჯანყი კანტონში

ჩინეთის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს შენობა ჯარებმა დაიკავეს

უხანისა და ნანკინის შეთანხმება

შანხაი, 6 აგვისტო. გაზეთების ცნობით, ნანკინსა და უხანის შორის მიღწეულია შეთანხმება. ნანკინის ჯარები, რომლებიც ვუჩუში იყვენ დაბანაკებული უხანის ჯარების შეტევის შემთხვევისათვის, უკან გაიწვიეს. ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იაპონიის ზოგიერთმა წრეებმა, თითქმის მიმართეს უხანსა და ნანკინს წინადადებებით გაერთიანდენ იმ მიზნით, რომ განახორციელონ ძირითადი რეფორმები. (ადს).

აჯანყება ჩააქრეს

შანხაი, 5 აგვისტო. ტოხოს სააგენტოს ცნობით, ჩან-ფა-გუის (უხანის მთავრობის ერთ-ერთი არმიის სარდალი, რომელმაც უკანასკნელ დროს, გაზეთების სიტყვით, გაილაშქრა, პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და კომპარტიის წინააღმდეგ) აუჯანყდა იეტინისა და ხოლენის დივიზია. **ნანჩანი მთლიანად ორივე აჯანყებული რაზმების ხელშია.** სააგენტოს უფრო დაგვიანებული ცნობის მიხედვით, ჩან-ფაგუის, აჯანყების ჩაქრობის მიზნით, ჯარები გაუგზავნა ნანჩანში. ამ ჯარებს მოუმწყვდევიათ იეტინის დივიზია. სააგენტოს ცნობით, იეტინის დივიზია, ბრძოლის შემდეგ, დანებდა ჩან-ფა გუის. უხანის მთავრობამ ორივე გენერალს ჩამოართვა წოდება და გარიცხა არმიიდან. ამასთან ერთად გოფენის სააგენტო იუწყება, რომე უხანის მთავრობამ წინადადება მისცა ჩან-ფა-გუის და ჩუ-პეი-დეს მოახდინონ ყველა ძალების მობილიზაცია ცზიანის პროვინციის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში „კომუნისტური მუშაობის ჩასაქრობათ“. (ადს).

პროფკაბჭოს შენობა უხანში ჯარებს უჭირავთ

შანხაი, 5 აგვისტო. იაპონიის სააგენტოს ცნობით, პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს შენობა ხანკოუში მთლიანად დაიჭირეს ლიპინსიანის ჯარებმა. ქალაქშიავრცელებენ პროფკავშირთა საბჭოს წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციებს. (ადს).

ჩან-კაი-შის ახალი დამარცხება

პეკინი, 5 აგვისტო. პეკინის პრესის ცნობით, ჩან-კაი-შის ჯარების კონტრ-შეტევა შანდუნელების წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა. ნანკინის ჯარებმა დაიხიეს სამხრეთით სუჯოუდან, სადაც აწყობენ თავდაცვის სამ ხაზს. (ადს).

„მხოლოდ დიპლომატიური გზით“

შანხაი, 5 აგვისტო. უხანის მთავრობამ თავის არმიების სარდლებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ინსტრუქციები: „ბრძოლა უცხოელების წინააღმდეგ იმპერიალიზმის უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებისათვის, უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური გზით. ამიტომ არმია მტკიცედ უნდა დაემორჩილოს დისციპლინას და დაიცვას უცხოელების კუთვნილი ეკლესიები, სკოლები, საავადმყოფოები, ფაბრიკები და სავაჭრო წარმოებები. ჯარის ნაწილებს სასტიკად ეკრძალებათ სროლა გამვლელ სავაჭრო გემებისათვის წინადადება გეძლევათ თავი შეიკავოთ ყოველ ისეთ მოქმედებისაგან, რაც საბაბს მისცემს უცხოელებს განაგრძონ თავისი მუშაობა ჩინეთში“. (ადს).

ვაჭრების ამბოხება კანტონში

შანხაი, 5 აგვისტო. გუადუნის პროვინციალური მთავრობის ფინანსიური განყოფილების უფროსის დაბრუნების გამო კანტონში, ჩინეთის ვაჭრებმა, რიცხვით 20 ათასმა კაცმა, ალყა შემოარტყა შენობას, სადაც მთავრობას ჰქონდა სხდომა. ვაჭრებმა მოითხოვეს გადასახადის გაუქმება ფუფუნების საგნებზე (ამ კანონის ძალა ფაქტიურად ვრცელდება ფართო მოხმარების თითქმის ყველა საგნებზე). ვაჭრებმა მთავრობისაგან მოითხოვეს პასუხის დაუყოვნებლივ გაცემა. ვინაიდან მთავრობამ პასუხი არ გასცა, **ვაჭრებმა, მიუხედავათ ნიაღვარისა შენობის ირგვლივ მოაწყვეს დროებითი კარავები და მთავრობის ყველა წევრები, მათ შორის ლი-ტი-სინი აიძულეს მთელი ღამე დარჩენილიყვენ შენობაში. მეორე დღის განთიადისას შენობასთან მოვიდა 2.000 ჯარისკაცი და მეხანძრეთა რაზმი. ვაჭრებმა ბრძოლა გაუმართეს ჯარისკაცებს და მეხანძრეთა რაზმს; ბრძოლა გაგრძელდა სამი საათი, რის შემდეგაც ვაჭრები დაიშალენ.**

ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ ვაჭრებს განზრახვა აქვთ კვლავ მოსთხოვონ მთავრობას გადასახადის გაუქმება და თავიანთი დემონსტრაცია უფრო ფართო მასშტაბით განიმეორონ. (ადს).

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გარშემო

ჩან-ძო-ლინი მოითხოვს 8 მილიონ მანეთს

პეკინი, 5 აგვისტო. იაპონიის გაზეთებმა „ხოკუმატ ნიპონმა“, რომელიც ჩანჩუში გამოდის, გამოაქვეყნა ჩან-ძო-ლინის ბრძანება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობის მიმართ. ბრძანებაში ნათქვამია:

„16 მილიონი მან. წლიური შემოსავლისა, რომელიც მიიღო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზამ, თანასწორად უნდა გაიყოს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის. მაგრამ ჩინეთს თავის წილიდან დღემდე არაფერი არ მიუღია. წინადადებას გაძლევთ ერთი კვირის განმავლობაში გადმოგზავნოთ პეკინში 8 მილიონი მანეთი“.

შენიშვნა: საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ფინანსების გარშემო, კერძოთ ანგარიშების მოწესრიგების გარშემო საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის. უახლოეს მომავალში აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობაში მოსალოდნელია შეთანხმება ამ საკითხებში. (ადს).

შუბლმაგართა ახალი იერიშები

შანხაი, 5 აგვისტო. ჩან-ძო-ლინის მიერ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობისაგან 8 მილიონი მანეთის მოთხოვნასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩან-ძო-ლინის ინგლისელი მრჩეველის ლენოქს სიმპსენის წერილი. „საბჭოთა აგენტების ხელში ასეთი შემოსავლიანი წყეროს დატოვება, როგორიც არის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა, წყარო, რომელიც ზურგს უმაგრებს ჩინეთის რევოლიუციას და ჰკვებავს ვლადივოსტოკის ნავსადგურს—ნათქვამია წერილში,—ეს ნიშნავს თვალის დახუჭვას ჩინეთის არევ-დარევის ძირითად წყაროზე. საჭიროა დაუყოვნებლივი ზომების მიღება იმ გზის განთავისუფლებისათვის საბჭოთა კონტროლისაგან, რომელიც აგებულია საფრანგეთის ხარჯზე და ღირს 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი“.

შემდეგ ლენოქს სიმპსონი იხილავს ამ მიზნის მიღწევის საშუალებებს და სწერს:

„ჩან-ძო-ლინს წინადება უნდა მიეცეს, რომ ის გამაგრდეს გზაზე და აღკვეთოს ყოველგვარი რეპრესიების შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის მხრივ. ასეთ ნაბიჯს დიდი დამარწმუნებელი ძალა ექნება. უაზრობაა, სანიტარული კორდონის ჩაყენება ჩინეთის სავაჭრო ცენტრებში უცხოეთის გარნიზონების სახით, მაშინ, როდესაც ხელუხლებელი რჩება ყველა მღელვარებათა ძირითადი წყარო. საბჭოთა რუსეთს თავის კლანჭებში უჭირავს ყველაზე მტკივანი ადგილი—მანჯურია. საჭიროა ამ ბრჭყალების დაძრობა დაუყოვნებლივ“.

შემდეგ ლენოქს სიმპსონი მიმართავს თხოვნით უცხო სახელმწიფოებს, რათა მათ ამ მხრივ აღმოუჩინონ დახმარება ჩან-ძო-ლინს, და სწერს:

„ჩინეთს ამჟამად აქვს იშვიათი შესაძლებლობა სენსაციური ეფექტის მოსახდენად. საჭიროა მუშტის დარტყმა დაუყოვნებლივ, მხოლოდ ისე, რომ ის არასდროს არ იქნას დავიწყებული. თუ მოსკოვი დაჰკარგავს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას, ამით მას მოესპობა სწრაფი კავშირის დაჭერის საშუალება შორეულ აღმოსავლეთის ადგილებთან და ჩაიშლება მისი, ჩინეთის წინააღმდეგ მიმართული კამპანია“. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკოსა და ვანცეტის დასაცავათ

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 6 აგვისტო. ყველა ქვეყნების კომუნისტებს! ყველა ქვეყნების მშრომელთ!

ერთხელ კიდევ—უკანასკნელ წუთში, კომინტერნის აღმასკომი მიმართავს ყველა ქვეყნების მშრომელთ. ერთხელ კიდევ იმაღლებს იგი თავის ხმას და მოუწოდებს მსოფლიო პროლეტარიატს შეაჩეროს ჯალათების ხელი, რომელიც გამზადებულია, რომ სისრულეში მოიყვანოს ამერიკის კლასიური იუსტიციის განაჩენი.

აღშფოთებული მუშათა მასები მანიფესტაციებით ერთსულოვან პროტესტს აცხადებენ ორი რევოლიუციონერის—საკოსა და ვანცეტის წამების წინააღმდეგ. საკოსა და ვანცეტისათვის გამოტანილი განაჩენი საშინელი პროვოკაციაა მსოფლიო პროლეტარიატის მიმართ. ეს ნიშნავს საშინელი რეპრესიების დასაწყისს არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის მიმართ. ეს განაჩენი მოწმობს, რომ „განათლებული“ ამერიკას ტეხნიკურ მიღწევათა საუკუნეში პროლეტარ-რევოლიუციონერებისათვის მოეპოება მხოლოდ ერთი რამ—ელექტრონის სკამი.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა მუშებს, ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს: მოაწყვეთ მასიური დემონსტრაციები ამ დანაშაულის წინააღმდეგ, მოაწყვეთ საპროტესტო გაფიცვები. მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებული ღონისძიებით შეიძლება საკოსა და ვანცეტის ხსნა ელექტრონის სკამისაგან.

მუშებო ქუჩაზე! ყველაფერი საკოსა და ვანცეტის გადასარჩენად! ყველაფერი სისხლისმსმელ ბურჟუაზიასთან საბრძოლველად.

ელექტრონის სკამს ამზადებენ

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების კონსერვატიული ორგანიზაციები გუბერნატორ ფულერს უგზავნიან დეპეშას, რომელშიაც ესალმებიან საკოსა და ვანცეტის საქმის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებას. ლიბერალური წრეები, რომელნიც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი და ნდობით ეკიდებოდენ „მასაჩუზეტსის შტატის მართლმსაჯულებას“, აღშფოთებული არიან და ფულერის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ციხის ადმინისტრაცია უკვე ამზადებს ელექტრონის სკამს საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯისათვის. (ადს).

მთლიანი ფრონტი

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. უორკერს პარტიმ, რემედასის ამერიკელმა სექციამ და სხვა მუშათა მემარცხენე ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომ მთლიანი ფრონტი შეიქმნას საკოსა და ვანცეტის დასაცავად.

მოწოდება აღნიშნავს, რომ ფულერის გადაწყვეტილება მუშათა მოძრაობის გამოწვევას წარმოადგენს (ადს).

საპროტესტო მიტინგები

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. 4 აგვისტოს ნიუ-იორკში და ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების სხვა ქალაქებში შესდგა მასიური საპროტესტო მიტინგები საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მემარცხენე მუშათა ორგანიზაციებმა მოითხოვეს საპროტესტო გაფიცვის გამოცხადება, მაგრამ პროფკავშირების მემარჯვენე წრეები და პროფკავშირთა ბიუროკრატია სდუმს (ადს).

„დეილი ჰერალდი“ ჰკიცხავს ფულლერის დადგენილებას

ლონდონი, 5 აგვისტო. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი“ თავის მოწინავეში უკეთებს კომენტარიებს გუბერნატორ ფულლერის დადგენილებას საკოსა და ვანცეტის საქმეზე. გაზეთი აღნიშნავს მსჯავრდადებულთა სრულ უდანაშაულობას.

„საკო და ვანცეტი,—სწერს გაზეთი,—სამუდამო ლაქად დაეჩნევა მასაჩუზეტსისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სინიდისს. საკოსა და ვანცეტს მსხვერპლად სწირავენ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ მოსაზრებებს. ფულლერის საზიზღარი დადგენილება გადაჭრით აამხედრებს მუშებს ამერიკისა და სხვა ქვეყნების სასამართლო აპარატების წინააღმდეგ.

გუბერნატორ ფულლერის დადგენილებასთან დაკავშირებით საკოსა და ვანცეტის საქმეზე, რემედასის ინგლისურმა სექციამ გამოუშვა მოწოდება ინგლისის ყველა მუშათა ორგანიზაციების მიმართ. გარდა ამისა სექცია მთელს ინგლისში მართავს საპროტესტო დემონსტრაციებს. რემედასის მიერ ლონდონში დანიშნული დემონსტრაცია გაივლის ამერიკის საელჩოს შენობის წინ ლონდონში (ადს).

დაცვის კომიტეტის მოწოდება

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. საკოსა და ვანცეტის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გუბერნატორ ფულერის გადაწყვეტილება „აშკარავებს უვიცობას საკოსა და ვანცეტის საქმის ძირითადი ფაქტების დარგში“.

კომიტეტი აცხადებს, რომ ფულერის მთავარი მიზანი იყო გაემართლებია მოსამართლე ტეილორის მოქმედება, რომელმაც სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანა (ადს)

აღშფოთება პარიზში

პარიზი, 5 აგვისტო. საკოსა და ვანცეტის ბედის საკითხმა მიიპყრო პარიზის მუშათა და ინტელიგენციის ყურადღება. ჩ. ა. შეერთებული შტატების საელჩოს შენობას იცავს ფეხოსანი და ცხენოსანი პოლიცია.

შრომის უნიტარულმა კონფერენციამ მოიწვია მიტინგი პროფმოძრაობის მთლიანობის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ მიტინგი მოწვეული იყო სამუშაო დღეს, ცირკის შენობა მაინც გავსებული იყო ხალხით. მიტინგი დაიწყო მღელვარე საპროტესტო დემონსტრაციით საკოსა და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ. მიტინგმა ერთხმად მიიღო შრომის უნიტარული კონფედერაციის წინადადება საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის გამოცხადების შესახებ ორშაბათს. კვირას საპროტესტო დემონსტრაციას მართავენ საკოსა და ვანცეტის დამცველი კომიტეტი და რემედასის საფრანგეთის სექცია. საფრანგეთის მთელი პრესა, განურჩევლად მიმართულებისა, პროტესტს აცხადებს გუბერნატორ ფულლერის დადგენილების წინააღმდეგ.

„იუმანიტეს“ მიერ ბულონიდან მიღებული ცნობით, ვანცეტის და, რომელიც ჯდებოდა ამერიკაში მიმავალ ჰოლანდიურ გემზე ძმის სანახავად მისი დასჯის წინ, არ აუშვეს გემზე ვითომ იმ მიზეზით, რომ ის ძალიან „ღარიბულად არის ჩაცმული“. მაგრამ, როგორც სჩანს, ამის ნამდვილი მიზეზი არის ამერიკის ხელისუფლების შიში, რომ ვანცეტის დის ჩასვლა ნიუ-იორკში გამოიწვევს მანიფესტაციების გამართვას.

არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 5 აგვისტო. ფულერის გადაწყვეტილებამ საკოსა და ვანცეტის საქმეზე მეტად უფრო ინტერესი და აღშფოთება გამოიწვია მთელ არგენტინაში. როზარიოში გამოცხადებულია საპროტესტო გაფიცვა. არგენტინის პროფკავშირთა გაერთიანება 5 აგვისტოს მთელ არგენტინაში აცხადებს 48 საათის საპროტესტო გაფიცვას. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ ბოიკოტი გამოუცხადონ ამერიკის საქონელს. პოლიცია იცავს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების წარმომადგენლობას და გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს რადიკალური ელემენტების მოქმედებას (ადს).

საკოს და ვანცეტის წერილი

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. 5 აგვისტოს საკომ და ვანცეტიმ სიკვდილით დასასჯელთა საკნიდან გაგზავნეს წერილობითი განცხადება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ გენერალ ფულერის გადაწყვეტილება არ იყო მათთვის მოულოდნელი. საკო და ვანცეტი მთელი ქვეყნის მუშებს მიმართავენ სოლიდარობის მოწოდებით.

„ჩვენ ვიცით,—ნათქვამია საკოს განცხადებაში,—რომ კაპიტალისტებმა არ იციან რევოლიუციის ერთგული ჯარისკაცების დანდობა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ვკვდებით. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ გუბერნატორი ფულერი, მოსამართლე ტეილორი და პროკურორი კაცმანი—ჯალათები არიან“.

„ჩვენ არ ვართ დამნაშავე,—ნათქვამია ვანცეტის განცხადებაში,—ჩვენი საქმე დამახასიათებელია იმ მეთოდებისა, რომელსაც პლუტოკრატია მიმართავს ხალხთა თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ვკვდებით ანარქიისათვის“.

საკო სიმშილობას განაგრძობს. (ადს).

ღამის ცნობები

პატეკის ოპტიმიზმი

ვარშავა, 5 აგვისტო. „ეპოქა“ აქვეყნებს ინტერვიუს პატეკთან, რომელიც მოემგზავრება მოსკოვში დაახლოვებით 15 აგვისტოს. „მე მივდივარ მოსკოვში — განაცხადა პატეკმა—იმ რწმენით, რომ პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავების ლიკვიდაცია მომხდარი ფაქტია. ამ რწმენას მე ვღებულობ იმ პოზიციების განხილვიდან, რომლებიც დაიკავა ორივე მხარემ“. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, პატეკი, მისი მიტყვით, დაუყოვნებლივ დაიწყებს მოლაპარაკებას ჩიჩერინთან, ვინაიდან სტომონიაკოვი უახლოეს დღეებში შვებულებაში მიდის. „პირველ რიგში სთქვა პატეკმა—იწარმოებს მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ“. „ეპოქა“-ს თანამშრომლის შენიშვნაზე, რომ საგარანტიო ხელშეკრულების დადება ეჭვებს იწვევს იმ ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელიც აქვს პოლონეთს ერთა ლიგასთან და მეზობელ სახელმწიფოებთან, — პატეკმა განაცხადა, რომ „სიძნელეთა დაძლევა ყოველთვის შეიძლებაო“ (ადს).

უარყოფენ კლასობრივ ბრძოლას

პარიზი, 6 აგვისტო. ამსტერდამის კონგრესმა უარყო ავსტრიის დელეგაციის წინადადება რომ ინტერნაციონალის პროგრამაში შეეტანათ მუხლი კლასობრივი ბრძოლის შესახებ. წინადადება უარყოფილ იქნა გერმანიის დელეგაციის მოთხოვნით, რომელიც ცდილობს შექმნას ნიადაგი ამერიკის შრომის ფედერაციის შესვლისათვის ინტერნაციონალში. გერმანელები აშკარა ხელმძღვანელ როლს თამაშობენ კონგრესზე. ინგლისელები განცალკევებული არიან.

წითელი ნავთი

ლონდონი, 6 აგვისტო. გლოსტერის საგრაფოს მუნიციპალური საბჭო სარგებლობს საბჭოთა ნავთით და დადებული აქვს ხელშეკრულება დამატებით 60.000 მილ. გალონი საბჭ. ნავთის შესყიდვის შესახებ. გლოსტერის საგრაფო კონსერვატორების ბუდეა.

ინგლისელი მოღვაწენი საკოსა და ვანცეტის დასაცავად

ლონდონი, 6 აგვისტო. ინგლისის „რემედას“-მა კუკის, პოლიტის, საკლატვალას, ტომ მანის, ჰერბერტ უელსის, ბერნარდ შოუს, ლენსბერის და სხვათა ხელმოწერით გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოუწოდებს ინგლისის მოსახლეობას განაცხადოს პროტესტი საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ლონდონის ქუჩებზე დადიან „რემედასის“ ავტომობილები, რომლებით მორთული არიან პლაკატებით „დაიხსენით საკო და ვანცეტი“, „ძირს ამერიკელი მწამებლები“ და სხვა. ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატების საელჩოს და საკონსულოს შენობას იცავენ პოლიციელები (ადს).

ინტერვიუ დეტერდინგთან

ლონდონი, 5 აგვისტო. „დეილი ექსპრესი“ თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს ინტერვიუს დეტერდინგთან, რომელიც აღიარებს, რომ აწარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან საგენტოს მოწყობის შესახებ საბჭოთა ნავთის გასასყიდად მთელ მსოფლიოში. დეტერდინგის სიტყვით მოლაპარაკება გრძელდებოდა 1927 წლის დასაწყისამდე.

ამხ. კალინინის მიმართვა

მოსკოვი, 6 აგვისტო. საკავშირო ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა საბჭოთა კავშირის გლეხებს მიმართა მოწოდებით შეიძინონ მე-3 საგლეხო სესხის ობლიგაციები.

„სესხი,—ნათქვამია მიმართვაში, — სპეციალურად სასოფლო მეურნეობის განვითარების მიზნითაა გამოშვებული. რაც უფრო მალე შეიძენს გლეხი ობლიგაციებს და რაც უფრო დიდ ხანს გააჩერებს იგი მათ, მით უფრო სასარგებლო იქნება მისთვის და სახელმწიფოსათვის. დეე, ყოველმა გლეხმა შეიძინოს თუნდაც ერთი ობლიგაცია. ამით ის გააძლიერებს თავის მეურნეობას და ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას“ (ადს).

ბანდიტების თავდასხმა

ბაქო, 6 აგვისტო. მილის ველზე, სოფ. აჯიბედში, ბანდიტები თავს დაესხნენ აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამომკვლევთა პარტიას. მოკლულია ტეხნიკოსი ჩეჟენკო. ბანდიტებმა გაძარცვეს ხალხი და მიიმალნენ.

კონტრ - რევოლიუციონერობისათვის

კარიაგინო, 6 აგვისტო. 1922 წელში უბატლის მაზრის სოფ. ხანლიხში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ავანტიურისტ ვაგლულ ეფენდის აჯანყების დროს, სოფ. დაგტუმასის მცხოვრებმა მამედ - ალი - აბდულა-ოღლიმ, რომელიც აჯანყებულებს შეუერთდა, გაიგო, რომ კომუნისტი ალახვერდი - ალაყიშიოღლი გაემგზავრა დაგტუმასში. მამედ-ალიმ წაიყვანა რამოდენიმე ცხენოსანი, დაიჭირა ალახვერდი დაგტუმასში, გაიყვანა ის სოფელს გარეთ და მოჰკლა. აჯანყება ჩააქრო წითელი არმიის რაზმმა. მამედ - ალი და მისი ხელისშემწყობნი გაიქცენ სპარსეთში, საიდანაც რამოდენიმე ხანს შემდეგ უკან დაბრუნდენ. მოკლულის ნათესავებმა აცნობეს ხელისუფლებას მათი დაბრუნება და მამედ-ალი დაპატიმრებულ იქნა. ჯებრაილის მაზრის უმნიშვნელოვანეს საქმეების სახალხო სასამართლომ განიხილა ეს საქმე 80—81 ივლისს და მიუსაჯა მამედ-ალი-აბდულა-ოღლის დახვრეტა, მკვლელობის მოწმე შაფი-შირინ-ოღლი კი მიცემულია პასუხისგებაში ბოროტმოქმედების დაფარვისათვის (ადს)..

ქართველ ინტელიგენციის კრება

კრება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა მთავრობასთან მჭიდრო და გულწრფელ თანამშრომლობისაკენ ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის და ანტი-საბჭოთა ავანტიურების წინააღმდეგ სამუშაოდ

ნიკო ნიკოლაძის სიტყვა.—ლევან ღოღობერიძის მოხსენება.—ივანე ლორთქიფანიძის, იოსებ მაჭავარიანის და დიომიდე თოფურიძის სიტყვები.—კრების რეზოლიუცია

5 აგვისტოს, ხელოვანთა სასახლეში, **ნიკო ნიკოლაძის** ინიციატივით, მოწვეული იყო ქართველი ინტელიგენციის კრება.

კრება გახსნა **ნიკო ნიკოლაძემ,** რომელმაც წინადადება მისცა დამსწრეებს აერჩიათ პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: **ნიკო ელიავა, ალ. მდივანი, ივ. ლორთქიფანიძე. მიხ. საყვარელიძე და ლელი ჯაფარიძე.**

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ **ნიკო ნიკოლაძემ** დამსწრეთ მიმართა შემდეგი სიტყვით:

ნიკო ნიკოლაძის სიტყვა

— ნება მიბოძეთ მოკლე სიტყვით მოგახსენოთ, თუ რამ გამაბედინა შემეწუხებინეთ მოწვევით ამ პატარა თათბირზე. მარტო ჩემს სურვილს ნუ მიაწერთ ან განზრახვას: ჩვენმა მეგობრებმა მირჩია და მთხოვა მეკისრა ეს მოვალეობა, რომელსაც გვერდი ვერ აუხვიე მით უფრო, რომ თვითონაც დიდი ხანია ვგრძნობ მის საჭიროებას.

საქმე ისაა, რომ ჩვენს საქართველოში, საბჭოთა კავშირში შესვლის შემდეგ, აქამდე კიდევ სუფევს სრულიად შეუფერებელი გაუგებრობა ინტელიგენციის და მმართველ პარტიის შორის. საქმით გასაბჭოების დღიდანვე ჩვენში თავისთავად და ბედნიერად დამყარდა მთელი ინტელიგენციის ერთგული თანამშრომლობა მთავრობასთან. ვერავინ გვიჩვენებს მას აქეთ ინტელიგენციისათვის საგმობ მოქმედებას, მუშაობის საბოტაჟს, უმუყაითობას, გულგრილობას მეტადრე მტრობას, ან ღალატს. ამის მიზეზი ის არის, რომ ინტელიგენცია გრძნობდა, რომ ეს მის საკუთარი საქმის და სამშობლოს ღალატი იქნებოდა, რადგანაც მუშაობა სწარმოებდა საქართველოს აღსაორძინებლად. რასაკვირველია, ყველა ჩვენგანს იქნება სავსებით არ მოსწონდეს ზოგი მოქმედება და ხაზი მთავრობისა, მაგრამ საქმე ხომ წვრილმანობაში არაა. შესახებ კი ზოგადი საქმეებისა, ყველა დამეთანხმება, რომ მათი დიდი უმრავლესობა, ცხრა მეათედი მაინც იმ გზით და მიზნისკენ მიდის, რომელსაც ქართული ინტელიგენცია მუდამ შენატროდა და შენატრის. თუ ეს ასეა, თუ ერთი მხრით, ინტელიგენცია პატიოსნათ თანამშრომლობს მთავრობასთან, მთავრობა კი მეორე მხრივ, ინტელიგენციის იდეალებს ანხორციელებს, მაშ საიდანაა ეს უცნაური უბრობა და დაშორება ამ ორ მომქმედ და შემოქმედ ძალის შუა, რომელიც ყოველ კეთილგანწყობილ მხარეში ძმურად და ნდობით მოქმედობენ?

6 წლის საერთო მუშაობამ ბევრი ეჭვი და დაუნდობლობა შემუსრა, ბევრი სიკეთე შესძინა ჩვენს ქვეყანას, ბევრი თვალსაჩინო ძეგლი ააგო — ერთობის სიკეთისა. მარტო ერთი „ზაჰესი“ რა ღირს. ეხლა იწყება უფრო დიდი „რიონჰესის“ შენება და მრავალ სხვა ქარხნების, გზების და სასწავლებლების მოწყობა, რომელთაც მთელი საუკუნე ნატრობდა ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა. ეს მომავალი ბევრჯერ უმეტეს შრომას მოითხოვს, ვინემ წარსული 6 წლის მუყაითობას.

გარდამავალი ხანის შემდეგ ჩვენი ქვეყანაც გამოდის მტკიცე აღმშენებლობის გზაზე, მაგრამ ამ დიად საქმეს განცალკევებული ძალა ვერ დაძლევს. სწორედ ეხლა იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ყოველი ჩვენი შემოქმედი და დარაზმული ძალა: ჩვენი უნივერსიტეტი, მწერლობა, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლობა, საქმის კაცები, ყოველი დარგის მშრომელნი. ამიტომაც დროა, რომ როგორც ინტელიგენციამ, ისე მმართველმა პარტიამ, მიატოვონ უწინდელი ძათი უბრობა და ყოველი ღონისძიება მიიღონ თავიანთ მოღვაწეობის უკეთესად შესათანხმებლად და გასანაყოფიერებლად. ამ მიზნით ინტელიგენციამ უნდა გაიჩინოს მუდმივი ხელმძღვანელი წრე, რომელსაც მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს მთავრობასთან და ნიადაგი მზრუნველობა იმაზე, რომ ინტელიგენციის შრომა რაც შეიძლება უკეთ შეესაბამებოდეს სამშობლოს საჭიროებებს.

იმედი მაქვს, რომ მთავრობაც თავისებური ფართო გასაქანით შეუწყობს ხელს ამ საქმესაც: უფრო აქტიურად გამოიყენებს ჩვენს ძალებს, მეტის ნდობით და ყურადღებით მოისმენს ჩვენს ხელს ამ საქმესაც: უფრო აქტიურებად რომ მით დაამყაროს ჩვენშიაც ის სრული შეთანხმება მთავრობასა და ინტელიგენციის შუა, ურომლისოთაც ვერ იწევს წინ და ვერ ძლიერდება ამჟამად ვერც ერთი მოწინავე ქვეყანა.

საძირკვლად ამ შეერთებას უნდა დაედვას გულწრფელი თანამშრომლობა.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვის შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. **ლევან ღოღობერიძის** მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის შესახებ. (მოხსენების ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენს გაზეთში).

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ივანე ლორთქიფანიძე

აღნიშნავს, რომ დღევანდელ კრებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ისტორიულად ჩვენს ხალხთან ყოველთვის მჭიდროთ იყო დაკავშირებული ინტელიგენცია. მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხი აშკარად გამოვიდა პოლიტიკურ სარბიელზე, ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა. ამიტომ ინტელიგენციის აზრი ფრიად საყურადღებოა.

1924 წლამდე ქართველი ინტელიგენცია არ იყო იმ დამოკიდებულებაში საბჭოთა ხელისუფლებასთან, როგორც ეხლა არის. ის ებრძოდა ამ ხელისუფლებას. მაგრამ პოლიტიკურმა შეცდომამ გამოაფხიზლა ჩვენი ინტელიგენცია და იგი თანამშრომლობის გზას დაადგა.

ეხლა ინტელიგენციის მთლიანი ფრონტი ხელისუფლების წინააღმდეგ აღარ არსებობს. მეტსაც ვიტყვი — თუ, რამე კეთდება დღეს ჩვენს ქვეყანაში, ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართველ ინტელიგენციასაც, რომელიც ჩაბმულია პრაქტიკულ მუშაობაში. და, აი, ამ მდგომარეობამ შექმნა ის, რომ თუ ამ ორი-სამი წლის წინად ჩვენში იყო აჯანყების ფსიხოლოგია, იგი ეხლა აღარ არის. ეხლა ასეთი სულიერი განწყობილება არ არსებობს სრულიად. არ არსებობს იმიტომ, რომ არის ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქართველ ინტელიგენციას პრაქტიკულად ჩაებას იმ ფართო აღმშენებლობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს. ჩვენი ვალია ეს ურთი-ერთ გაგება და ნდობა ხელისუფლებასა და ინტელიგენციის შორის კიდევ უფრო განვამტკიცოთ.

ი. მაჭავარიანი

საქართველოს ინტელიგენცია უარყოფით უდგება აჯანყების საკითხს. ეს არა ერთხელ ყოფილა ნათქვამი სხვადასხვა კრებებზე. მე არ მეგულება ისეთი საღათ მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც აჯანყება ეროვნულ დანაშაულად არ მიაჩნდეს, რადგან აჯანყების მოწყობა, ეს ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება იქნებოდა.

ამას გარდა, ჩვენ ვიცით, რომ თუ დამარცხდა საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაიმარჯვებს ის, ჩვენთვის ნაცნობი, ხელისუფლება, რომელსაც, თავის დროზე ჩვენთვის ავტონომიის მოცემაც კი არ უნდოდა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ქართველი გვერდში ამოუდგება ჩვენს მთავრობას და მასთან ერთად იბრძოლებს იმ ავანტიურისტების წინააღმდეგ, რომლებსაც უნდათ ახალი სისხლის ღვრის გამოწვევა საქართველოში.

დ. თოფურიძე

ამჟამად ჩვენს უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს იმ გზების გამონახვა, რომლებიც საშუალებას მისცემს ინტელიგენციას პრაქტიკულად ჩაებას საბჭოთა აღმშენებლობაში.

საქართველოში ეხლა არ არის აჯანყების გამოწვევის არც სურვილი და არც შესაძლებლობა. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია სრულიად დამშვიდებული ვიყოთ. ხელისუფლებასა და ინტელიგენციის შორის დამყარდა ურთიერთ გაგება და ნდობა. საჭიროა მისი კიდევ უფრო გაღრმავება. ამისათვის კარგი იქნებოდა ასეთი კრებების ხშირად მოწვევა.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლევან ღოღობერიძე,** რის შემდეგაც კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი:

რეზოლიუცია

„უკვე ათი წელიწადი სრულდება, რაც ახდილი ბრძოლა სწარმოებს ორ სოციალ-პოლიტიკურ სისტემის შორის. მებრძოლ მხარეებად არიან, ერთის მხრივ — ბურჟუაზიული იმპერიალისტური სახელმწიფოები და, მეორეს მხრივ — საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ამ ბრძოლის განვითარების პროცესში ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ორბიტაში მოექცა—საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა. დღიდან ამ წყობილების დამყარებისა მისდამი მტრულად განწყობილ ელემენტების მხრივ დაიწყო ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრძოლას ასულდგმულებდა ის სულიერი განწყობილება და ის პოლიტიკური სურვილები, რომელნიც ვერ იყვნენ შეგუებულნი ცხოვრების რეალურ პირობებთან. ბრძოლის მთავარ მებაირახტრეთ გამოდიოდა საქართველოს ემიგრაცია და შინ დარჩენილი უკმაყოფილო ელემენტები. ამ ბრძოლის განვითარებამ ჩვენი ქვეყანა 1924 წლის აგვისტოს დღეებამდე მიიყვანა. აგვისტოს აჯანყება ამ გეზის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენს. აჯანყება დამთავრდა დამარცხებით. ეს იყო დამარცხება იმ გეზისა და ბრძოლის იმ მეთოდებისა, რომელნიც საქართველოს ემიგრაციამ თავიდანვე აილო და რომლის გამო ქართველ ერს თავზედ საშინელი უბედურება დაატყდა. მანამდიც ცხადი იყო, ხოლო აგვისტოს დღეებში კიდევ უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდა, რომ ის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხი, რომლის ირგვლივ მთელს ქვეყანაზე ძალთა დარაზმვა სწარმოებს, ვერ გადასწყდება მხოლოდ საქართველოში და ამ უკანასკნელის ძალებით. აშკარა შეიქნა, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები შეუთავსდეს იმ სისტემას, რომელშიაც საქართველო, ისტორიის განაჩენით არის მოქცეული. ასეთი შეთავსება საბჭოთა სისტემასთან ჩვენთვის არ წარმოადგენს სიძნელეს, რადგანაც ქართველ ინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა რადიკალიზმი სოციალ-ეკონომიურ საკითხებში.

დღეს საერთაშორისო მდგომარეობა მეტად გართულებულია. ქვეყნიერების წინაშე კვლავ ომის საფრთხეა აღმართული. სადაც არ უნდა დაიწყოს ომი და რა საბაბიც მას წინ არ უნდა უძღოდეს, მომავალი ომი აუცილებლად საერთაშორისო ხასიათს მიიღებს და გადასაწყვეტ მთავარ საკითხთა შორის დაისმის საბჭოთა წყობილებისა და ხელისუფლების არსებობის საკითხიც. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამ საკითხთა შორის არ დაისმის სპეციალურად საქართველოს საკითხი და ქართველი ერი ასეთ ომში ვერ ჩაერევა, როგორც საკუთარი სეპარატიული მატარებელი ძალა. ეს მისთვის შეუძლებელია, ქართველი ერი აგრეთვე ითვალისწინებს იმასაც, რომ ამ ბრძოლაში საბჭოთა წყობილების დამარცხებას მოყვება რუსეთში რეაქციის გაბატონება, რაც გაცილებით ნაკლებ პერსპექტივებს უშლის ქართველ ერს მის ეროვნულ და ეკონომიურ წარმატების გზაზე, ამიტომ მომავალი ხელისუფლება, რომელიც ამგვარ პირობებში იქნება წარმოშობილი რუსეთში, ჩვენთვის მიუღებელია. ეს ჩვენთვის უდავოა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ, მიუხედავად მეტად მძიმე პირობებისა, ექვსი წლის მუშაობით საკმაოდ დაამტკიცა, რომ იგი ყოველ ზომებს იღებს საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად განვითარებისათვის. ამიტომ უნდა დაიგმოს ის გზა და ის საქმიანობა, რომელსაც საბჭოთ რესპუბლიკების საწინააღმდეგო ომისკენ მივყევართ, არა მარტო იმიტომ, რომ ომი თავის - თავად საფრთხეს უმზადებს ხალხის დოვლათს, კულტურას და ფიზიკურ არსებობას, არამედ იმიტომაც, რომ იგი ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და ზრახვებს. ასევე უნდა დაიგმოს ამ შესძლებელ ომის დროს რაიმე შინაური გართულება, ექსცესების მოხდენა და აჯანყების სამზადისი.

იმ მძაფრი ეკონომიური და პოლიტიკური ტკივილებისა და კრიზისების შემდეგ, რომელნიც განიცადა ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო ომისა და რევოლიუციების ხანაში, ქართველი ხალხი კიდევ უფრო მეტად საჭიროებს კულტურულ და სამეურნეო შემოქმედებით მუშაობის გაჩაღებას. ამ მუშაობაში უნდა ჩაებას ჩვენი ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა. ჩვენ ერს სჭირია ძალების უდიდესი დაზოგვა. ემიგრაციის საქმიანობა—ამ დაზოგვას ხელს უშლის. მრავალი ქართველი სამშობლო ქვეყანას და ცოცხალ საქმეს მოწყვეტილია. დამშვიდებული მუშაობის ატმოსფერა საშუალებას მისცემს ამ ხალხს დაუბრუნდეს თავის ქვეყანას და თავისი ძალღონე მოახმაროს ერის კეთილდღეობას.

საქართველოს ემიგრაციის პოლიტიკა კი გართულების პოლიტიკაა. მისთვის ფუჭად ჩაიარა 1924 წლის აგვისტოს გაკვეთილმა. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით გადაჭრით და უყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ აჯანყება ან და საამისო მუშაობა საქართველოში მიგვაჩნია უდიდეს დანაშაულათ ქართველი ერის წინაშე და წინააღმდეგობას გავუწევთ ყველა იმათ, ვინც მოისურვებს ქართველი ხალხი ავანტიურის ქსელში ჩააბას.

საჭიროა ეს საკითხი სამუდამოთ მოიხსნას დღის წესრიგიდან, საჭიროა სამუდამოთ უარყოფილ იქნას ის გზა და მეთოდები, რომელიც ქართველ ერს ართმევს საშუალებას დამშვიდებულად იმუშაოს თავის ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად გაუმჯობესებისათვის“.

საკონცესიო ხელშეკრულება კრუპის ფირმასთან

მოსკოვი, 6 აგვისტო. მთავარმა საკონცესიო კომიტეტმა ხელი მოაწერა საკონცესიო ხელშეკრულების პროექტს კრუპის ფირმასთან სასოფლო - სამეურნეო კონცესიაზე მანიჩპალის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში.

ხელმოწერის წინ უძღოდა ძველ ხელშეკრულების პირობათა გადასინჯვა. ახალი ხელშეკრულება არსებითად სცვლის ძველის პირობებს. კონცესიონერის მუშაობის გამოცდილებამ გამოააშკარავა, რომ მისთვის მიცემული მიწის სივრცე—29.000 დეს. ნიადაგის და ჰავის პირობების მიხედვით უფრო გამოსადეგია მეცხვარეობის მეურნეობისათვის, ვიდრე ხორბლეულის მეურნეობისათვის. ამის მიხედვით კონცესია გარდაიქმნება შერეულ ხასიათის მეურნეობად, რომელშიაც მეცხვარეობის მეურნეობის ხასიათმა უნდა გადააჭარბოს ხორბლეულის მეურნეობას.

პროექტის მიხედვით კონცესიონერის ვალდებულება პროდუქციიდან ნაწილად ანარიცხთა შეტანის შესახებ, მნიშვნელოვნად მცირდება.

ხელშეკრულება დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოს (ადს).

დეპეშების გაგრძელება იხ. მეოთხე გვერდზე

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

ამსტერდამის ინტერნაციონალის კრიზისი.—ჩემბერლენის „მშვიდობისმოყვარეობა“. — ლაყბობა განიარაღებაზე უშედეგოდ დამთავრდა. — „ახალი ფაზა“ პოლონეთ - საბჭოთა ურთიერთობაში? —უხანის მთავრობა ჩან-კაი-შის გზით.

ამსტერდამის პროფესიულ ინტერნაციონალის ამ ჟამად პარიზში მიმდინარე კონგრესზე რამოდენიმედ მაინც ფარდა აეხადა იმ აშმორებულ ჭაობს, რომელსაც წარმოადგენს ამ გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო. მდგომარეობა პირველ ყოვლისა გაამწვავა საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების საკითხმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამსტერდამის მემარჯვენე ბელადები თავს დაესხნენ საბჭოთა პროფსაბჭოს. კონგრესისადმი წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში ისინი აცხადებენ, რომ ჩვენ ვილტვოდით საბჭ. პროფკავშირებთან შეთანხმებისაკენ, მაგრამ უკანასკნელნი ეწეოდენ მთლიანობის საბოტაჟს, ცდილობდენ მთლიანობის ლოზუნგი გამოეყენებიათ მხოლოდ უცხოეთის პროფსაბჭოს დამოუკიდებლობის მოსასპობლად და თავის ბატონობისათვის დასაქვემდებარებლადო. „ამსტერდამი თავის წარმოშობის მომენტიდან ძმურად უწვდიდა რუსებს ხელს, პასუხად კი რუსები პირში გვაფურთხებდენ“-ო,—განაცხადა კონგრესზე ჰოლანდიის წარმომადგენელმა სტენგეისმა.

მაგრამ ნათქვამია, რომ „ცეცხლი თივაში არ დაიმალება“, და მთელი სიმართლე ამსტერდამის ბიუროკრატების როლის შესახებ მთლიანობის საკითხში მზის სინათლეზე იქნა გამოტანილი. ინგლისელმა ბროუნმა გამოაქვეყნა უდეგესტის საიდუმლო წერილი ჟუოსა და მერტენსისადმი, სადაც ის ამბობს: როგორც ეტყობა, ტომსკის გულწრფელად სურს შეთანხმება და აუცილებელია შევეცადოთ დავიწყოთ საკავშირო პროფსაბჭოს წინააღმდეგ, რომ ეს სურვილი ჩავფუშოთო. აი, თურმე რაში გამოიხატება „რუსებისადმი ძმურად ხელის გაწვდენა“, რაზედაც თვალთმაქცურად ლაპარაკობდა სტენგეისი. მრავალი უტყუარი ფაქტი ამტკიცებს, რომ ამსტერდამის მემარჯვენე ზედა ფენები ყოველნაირად ცდილობენ საბჭოთა პროფკავშირების გარიყვას, რომ ისინი მთლიანობის წინააღმდეგ იბრძვიან და აგრეთვე იმპერიალისტებთან ერთად თავს ესხმიან საბჭოთა კავშირს. ამის გაბათილებას ვერ მოახერხებს გამოჭერილი უდეგესტიც, რომელიც დაჭერილ იქნა „დანაშაულის ალაგას“.

ბროუნის მხილება გამოწვეულია არა მისი სიმპატიით ჩვენი პროფკავშირებისადმი: გადაწყვეტილია ამსტერდამის სამდივნოს შემადგენლობის შემცირება და ბროუნი, როგორც ერთ-ერთი მდივანი, ცდილობს მეორე მდივნის, უდეგესტის გაშვებას. და სიმართლე უნდა ითქვას, მიზანსაც აღწევს. ამავე დროს ინგლისის დელეგაცია უკმაყოფილოა უდეგესტებით იმიტომ, რომ, როცა გენ-საბჭო, მემაღაროეთა გაფიცვის დროს, მუშების ზეგავლენით, შემოწირულებას აგროვებდა გაფიცულთათვის ამსტერდამის გაერთიანების ბიურომ საბოტაჟი გამოუცხადა ინგლისელებს. საერთოდ უდეგესტები ინტრიგას ეწეოდენ ინგლისის პროფმოძრაობის წინააღმდეგ, რომ თვითონ შეენარჩუნებიათ ხელმძღვანელი როლი ამსტერდამის აღმასრულებელ ორგანოში.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ გენსაბჭომ თვითონ ჩაშალა გაფიცვა. გარდა ამისა, ის საბოტაჟს უცხადებს ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტს. მიუხედავად ამისა, პერსელი გამოდის საბჭოთა პროფკავშირების დასაცავად და მოითხოვს მასთან შეთანხმებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ, რომ პერსელის ოპოზიცია სიტყვიერებას გასცილდება. ის ლამობს თავის გაბახებულ სახელის რეაბილიტაციას.

მაინც აშკარაა, რომ პარიზის კონგრესზე წარმოებული ბრძოლა გამოხატავს მასსის უკმაყოფილებას ამსტერდამის ხელმძღვანელობით და მათი გამცემლური პოლიტიკით. ეს პოლიტიკა მდგომარეობს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაში, მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ომის საფრთხის მიფუჩეჩებაში და სხ. ყველაფერ ამან გაზარდა ოპოზიცია ამსტერდამის გაერთიანების ქვედა ფენებში. იქ ერთი მხრივ არსებობს საკმაოდ ძლიერი რევოლიუციონური უმცირესობა, რომელიც წითელ პროფინტერნის პოზიციაზე სდგას, მეორე მხრივ—მნიშვნელოვანი მოძრაობა ამსტერდამის ინტერნაციონალის კლასობრივ პრინციპის მიხედვით რეორგანიზაციის სასარგებლოდ. ამსტერდამის ბნელი მხარეების გამოაშკარავება, რომელსაც ადგილი აქვს პარიზის კონგრესზე, უდეგესტების გამცემლურ მუშაობის მხილება ხელს შეუწყობს მათ გარიყვას, მასების. რევოლიუციონურ შეკავშირებას და მთლიანობის განხორციელებას, რისაკენ ასე ილტვის საერთაშორისო პროლეტარიატი კაპიტალის შემოტევის და ომის საშიშროების საპასუხოდ.

⁂

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „არბაიტერ ცეიტუნგ“. საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ ჩემბერლენის უკანასკნელი განცხადების გამო, სწერს: „ახლა ჯერი საბჭოთა კავშირზეა. მოსკოვს ეხლა საშუალება აქვს დამშვიდებით განიხილოს ინგლისის წინადადება“. რა წინადადებაა ეს რომ ბაუერის გაზეთისათვის სამშვიდობო ილიუზიები აღუძრას?

ბაუერი ყოველთვის იმას ამტკიცებს, რომ ომის საფრთხის დახასიათებაში ბოლშევიკები აჭარბებდენ, რომ ინგლისის მთავრობა არ ცდილობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნასო. ასეთი სრულიად უსაფუძვლო აზრების გავრცელებით სოციალ-დემოკრატია ხელს უშლის მუშათა მასების მომზადებას აუცილებელი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის ასაცილებლად და საბჭოთა კავშირის დასაცავად იმპერიალისტების მოსალოდნელი თავდასხმისაგან. ასეა ამ შემთხვევაშიც: ისე გამოდის, თითქოს ჩემბერლენს საბჭოთა მთავრობისათვის წინადადება მიეცეს ურთი-ერთობის განახლების შესახებ და მით გამოემჟღავნებინოს მშვიდობისმოყვარეობა.

ნამდვილად მდგომარეობა, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირია. როგორც ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, საბჭოთა მთავრობას ინგლისისაგან არავითარი წინადადება არ მიუღია დიპლომატიური ურთი-ერთობის აღდგენის შესახებ. ჩემბერლენის სიტყვა, რომელიც მან ბოლო დროს თემთა პალატაში წარმოსთქვა, ასეთ რამეს არ შეიცავს. ჩემბერლენმა პირველ ყოვლისა განიმეორა ის ჩვეულებრივი ცილისწამება, თითქო საბჭოთა მთავრობა თავისი წარმომადგენლობის სახით დამანგრეველ მუშაობას ეწეოდა ინგლისში და ამიტომ შევწყვიტეთ მასთან დამოკიდებულებაო; საერთოდ მოსკოვის მთავრობა ყველგან არღვევს საერთაშორისო დიპლომატიურ წესებს და ერევა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეში;თუ ასეთ მოქმედებაზე ხელს აიღებს და წარმოადგენს სათანადო პირობებს, ჩვენ მას განვიხილავთ, რამდენად დამაკმაყოფილებელია ეს პირობები ურთი-ერთობის აღდგენისათვისო. როგორც ვხედავთ, ესაა ანტისაბჭოთა კამპანიის გაგრძელება და დამოკიდებულება შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობის მოხვევა საბჭოთა კავშირზე. ჩემბერლენი ამ სახით ლამობს დაფაროს კონსერვატორების მთავრობის მტრული მოქმედება საბჭოთა კავშირის მიმართ: საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმა პეკინსა, შანხაისა და ლონდონში, თავისი როლი ამხ. ვოიკოვის მკვლელობაში, ყალბი დოკუმენტების შედგენა, ჯაშუშური და ტერორისტული მუშაობა საბჭოთა კავშირში. ამ გზით ის ცდილობს გაამართლოს ურთი-ერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან და სხვა. ასეთი გამოსვლებით ჩემბერლენი ვერავის დააჯერებს, რომ მას ვითომდა გულწრფელად სურდეს მშვიდობიანობის დამყარება.

ჩემბერლენი აგრეთვე შეეხო ვაჭრობის საკითხს: ჩვენ ინგლის-საბჭოთა განვითარებას ხელს არ შეუშლითო. ეს ნათქვამია „საქმიანი წრეების“ ოპოზიციის ჩასაჩუმებლად, წრეების, რომელნიც, ხედავენ რა დიდ ზარალს, რომელსაც ინგლისის მეურნეობას აყენებს ურთი-ერთობის ჩაშლა, მოითხოვენ კონფლიქტის მოგვარებას. მაგრამ განა მტკიცება უნდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ნორმალური სავაჭრო ურთი-ერთობა ვიქონიოთ იმ მთავრობასთან, რომელიც ოდნავაც არ უზრუნველყოფს ჩვენს სავაჭრო ოპერაციების უშიშროებას. არკოსზე თავდასხმამ ეს ხომ ნათლად დაამტკიცა.

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკა ეხლანდელ პერიოდში დამარცხდა. მან ვერ მოიმხრო სხვა სახელმწიფოები; მისი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაც შერყეულია. ამას მოწმობს ეკონომიური კრიზისი ინგლისში, უკმაყოფილების ზრდა მთავრობის წინააღმდეგ არა მარტო მუშათა მასებში, არამედ ბურჟუაზიულ და კონსერვატორთა წრეებშიც კი, ჟენევის კონფერენციის ჩაშლა და სხვა. ამით აიხსნება ჩემბერლენის თვალთმაქცური „სამშვიდობო“ განცხადება. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ინგლისის მთავრობა არ აგრძელებს მზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ, ცხადია, მზადაა დაიწყოს სათანადო მოლაპარაკება ურთი-ერთობის განახლების შესახებ, თუ საამისო წინადადებას ნამდვილად წამოაყენებენ, მიტომ, რომ ჩვენ უაღრესად დაინტერესებული ვართ მშვიდობიანობის განმტკიცებით. აშკარაა, ჩვენი ძირითადი მოთხოვნა იქნება შეიქმნას გარანტია, რომ არ განმეორდეს ინგლისის მხრით ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. მაგრამ ჩვენ არ მოველით, რომ კონსერვატორული მთავრობა ამ გზას დაადგება. მისი ძველი წარსული და ეხლანდელი მოქმედება ამის საფუძველს სრულებით არ იძლევა. ურთი-ერთობის განახლება ინგლისთან შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იქ ძალთა განწყობილება არსებითად შეიცვლება. ეს დრო კი, გვგონია, არც ისე შორს უნდა იყოს.

⁂

სამი თვის „მუშაობის შემდეგ სკანდალურად ჩაიშალა ჟენევის „განიარაღების“ კონფერენცია. მან შეთანხმებას ვერ მიაღწია მთავარ საკითხებში, რაც ოფიციალურად კიდეც აღიარეს მისმა მონაწილეებმა.

კონფერენცია, როგორც ვიცით, მოწვეული იყო ამერიკის ინიციატივით. ამერიკის იმპერიალიზმი მიზნად ისახავს ინგლისის საზღვაო სიძლიერის უპირატესობის მოსპობას, ე. ი. სამხედრო სფეროში იმ ფაქტიურ მდგომარეობის ჩამოყალიბებას, რომელიც ხასიათდება ამერიკის ეკონომიურ და ფინანსიურ ჰეგემონიით მსოფლიოში.

ინგლისი ეკონომიურად ეცემა. ამდენად იშლება ბრიტანეთის კოლონიალური იმპერია. ინგლისის სამეურნეო კავშირი კოლონიებთან სუსტდება. სამაგიეროთ მას ჰყავს უძლიერესი სამხედრო ფლოტი, რომლის საშუალებით ის კოლონიებს იქვემდებარებს. ამერიკა ილტვის ინგლისის ხარჯზე მსოფლიო ბაზრები ჩაიგდოს ხელში. ეს ლტოლვა დამყარებულია მის ეკონომიურ-ფინანსიურ სიღონიერეზე. მაგრამ ამერიკის ფლოტი ბევრად უფრო უძლურია ინგლისისაზე და ამიტომ მსოფლიოს გადანაწილებისათვის მომავალ შეიარაღებულ შეტაკების დროს ის თავს ვერ გრძნობს მტკიცედ. ამერიკის მთავრობა მოითხოვს ინგლისის საზღვაო მშენებლობის შეზღუდვას და მასთან თავის საზღვაო ძალების გათანასწორების ცნობას.

დღეს-დღეობით ლონდონის მთავრობა ამაზე არ წავიდა, ვინაიდან ეს მაჩვენებელი იქნებოდა ინგლისის იმპერიალიზმის დაღუპვის დასაწყისის. ამიერიდან უფრო გაძლიერდება ორივე სახელმწიფოს სამხედრო მზადება. ტყუილად კი არ იმუქრება ამერიკა, რომ ის შესძლებს ყველაზე უფრო ძლიერ ფლოტის აშენებას. ინგლის-ამერიკას ამ მხრივ, რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებიც მიჰყვებიან.

ჟენევის კონფერენციის ჩაშლის მაგალითზე, მრავალ სხვა სათანადო ფაქტებთან ერთად, ნათელი ხდება, რომ ყალბი და თვალთმაქცურია ყოველი ჯურის პაციფისტების, პირველ ყოვლისა სოციალ-გამცემლების მტკიცება, თითქო კაპიტალიზმი თითონ სძლევდეს მის წიაღში არსებულ წინააღმდეგობებს და კონფერენციებით შეიძლებოდეს იმპერიალისტურ ქვეყნის წინააღმდეგობათა მორიგება, მათ შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განხორციელება ქიშპობისა და ომის ნაცვლად. ყველაფერი ეს გამოგონებულია, რათა მიაძინონ მშრომელ მასების სიფხიზლე იმ ახალი მსოფლიო სისხლის ღვრის მოლოდინში. რომლისთვის იმპერიალისტები ემზადებიან.

ჟენევის ლაყბობის უშედეგობა და სხვა მსგავსი მოვლენები ხელს შეუწყობენ მასების კლასობრივ შეგნების გამახვილებას და პაციფისტურ ილიუზიების დამსხვრევას, [illegible] რომლებსაც ასე გულმოდგინებით უნერგავენ მათ სოციალ-შემთანხმებლები.

იმპერიალისტურ ქვეყნებ შორის ინტერესთა წინააღმდეგობები ღრმავდება და ისინი ომისთვის ემზადებიან. საერთაშორისო პროლეტარიატმა ამას უნდა დაუპირდაპიროს თავის მზადება ომის საფრთხის წინააღმდეგ; მან უნდა შემჭიდროვოს თავისი რიგები ამ მიზნით,—ასეთია დასკვნა, რომელიც ჟენევის კონფერენციის ჩაფუშვიდან გამომდინარეობს.

⁂

ჩვენ თავის დროზე მოყვანილი გვქონდა პოლონეთის მოსკოველი ელჩის, პატეკის განცხადება, რომ მას „მოსკოვში თან მოაქვს ოპტიმიზმი“. პატეკი მოსკოვში ჩამოვიდა, თათბირი ჰქონდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებთან და ისევ უკან დაბრუნდა ვარშავაში.

ჩვენ მაშინ აღნიშნული გვქონდა, რომ პოლონეთის მთავრობას არ მოუცია საკმაო საფუძველი „ოპტიმიზმისათვის“, რომ ის მართლა გულწრფელად მოწადინებული ყოფილიყოს ამხ. ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებულ კონფლიქტის მოწესრიგების და საერთოდ ნორმალურ ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან. პატეკის დაბრუნება ვარშავაში იმას მოწმობს, რომ მისი წარმოდგენილი პირობები კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის არ იყო დამაკმაყოფილებელი.

პოლონეთის სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა“, რომელიც ჩვეულებრივ პილსუდსკის აზრებს გამოსთქვამს. სწერს: „პატეკის დაბრუნებით და პრეზიდენტის უარის თქმით კავერდას შეწყნარებაზე მთავრდება ერთი ფაზა პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობაში. ახალ ფაზაში პატეკს განზრახვა აქვს დაიწყოს მოლაპარაკება საგარანტიო და სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს ცდა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ პოლონეთს გულწრფელად სურს ნორმალური დამოკიდებულება იქონიოს საბჭოთა კავშირთან“.

მართალია, პოლონეთის პრეზიდენტის მიერ კავერდას შეწყნარებაზე უარის თქმა მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს მოწმობს, რომ პოლონეთის მთავრობა თუმცა დიდი დაგვიანებით, კიცხავს პოლონეთის სასამართლოს მტრობის დემონსტრაციას საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. აღსანიშნავია, რომ კავერდა რომელსაც ასე „თავაზიანად“ ეპყრობოდენ, სულ უკანასკნელად გადაიყვანეს საკატორღო ციხეში. თითქო ეტყობა, რომ პოლონეთის მთავრობა წინანდელ აგრესიულ პოლიტიკის გეზს ცვლის ჩვენთან დამოკიდებულებაში.

რა თქმა უნდა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია „პოლსკა ზბროინა“-ს მტკიცება, თითქოს პოლონეთი ყოველთვის მოწადინებული ყოფილიყოს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას. ფაქტები სულ საწინააღმდეგოს მეტყველებენ. მაგრამ სჯობია გვიან, ვიდრე არასოდეს. მხოლოდ საჭიროა გაცილებით უფრო მეტი საბუთების მოცემა, რომ პოლონეთის მთავრობა მართლა „ახალ ფაზას“ იწყებს ჩვენთან ურთიერთობაში. ამისათვის პირველ ყოვლისა აუცილებელია კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციის ანტისაბჭოთა მუშაობის ალკვეთა პოლონეთში, ხელის აღება რაიმე ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნაზე და „აღმოსავლეთით გაფართოების“ ოცნებაზე.

პოლონეთი დღეს დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის. სესხის აღება ამერიკისაგან მან ვერ მოახერხა. მისი საგარეო ვაჭრობა პასიურია. მრეწველობა ეცემა და უმუშევრობა იზრდება. ამასთან შინა-პოლიტიკური მდგომარეობაც უაღრესად მერყევი და გამწვავებულია. სეიმი ბრძოლას აწარმოებს პილსუდსკის მთავრობის წინააღმდეგ. ხაზგასასმელია აგრეთვე, რომ პოლონეთის ანტისაბჭოთა პოლიტიკის სულისჩამდგმელი—ინგლისის კონსერვატიული მთავრობა—ამხანად დამარცხდა თავის ანტისაბჭოთა კამპანიაში. მან ვერ მოახერხა ერთიანი ფრონტის შექმნა ჩვენს წინააღმდეგ და თვითონ შინ მას ფეხიდან ეცლება ნიადაგი. ყველა ეს პირობები პოლონეთის მთავრობას იძულებულს გახდიან რევიზია გაუკეთოს თავის პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ. თუ ის ასე თუ ისე ანგარიშს უწევს თავის ქვეყნის ინტერესებს და შექმნილ მდგომარეობას.

⁂

უხანის წვრილბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც განუდგა რევოლიუციას, განაგრძობს მოღალატე გზით დაქანებას. მან დავიწყებას მისცა თავისი წინანდელი დაპირებები მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების განვითარების თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ. რაკი მშრომელ მასებმა მოიწადინეს თავის კლასობრივ ინტერესების დაცვა, უხანი მათ მიმართ დაადგა ჩან-კაი-შის გზას: რევოლიუციონურ მუშებს და გლეხებს იგი უკვე ტყვიებით უმასპინძლდება, მისი ჯარები არბევენ მათ კავშირებს.

ასეთ პირობებში გომინდანის ხელმძღვანელების მტკიცებას, რომ ისინი სუნ-იატ-სენიზმის ნიადაგზე დგანან, იბრძვიან სახალხო რევოლიუციის გამარჯვებისათვის, ჩან-ძო-ლინ-ჩან-კაი-შისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ,—ამ მტკიცებას არავითარი ღირებულება არა აქვს. შეუძლებელია ასეთი ამოცანები დაისახო და იმავე დროს მუშების და გლეხების დევნა აწარმოო, იმათი დევნა, რომელთა ჩაუბმელად ბრძოლაში ზედმეტია ლაპარაკი მილიტარიზმის და იმპერიალიზმის დამარცხებაზე.

ვან-ტინ-ვეები მოითხოვენ მშრომელ მასებისაგან გაჩუმებას, თავის უფლებების განხორციელებაზე ხელის აღებას: ჯერ ჩინეთი „გავანთავისუფლოთ“ და და მხოლოდ შემდეგ ვილაპარაკოთ ამაზეო. ამ დაპირების ფასი მასებმა კარგად იციან. აშკარაა, რომ გომინდანის მეთაურები ლამობენ მუშების და გლეხების „მშრალზე“ დატოვებას. აქედან—ერთი მხრივ აუცილებელია უკანასკნელთა ბრძოლის გამწვავება უხანის წინააღმდეგ, მეორე მხრივ უხანის საბოლოოდ მისვლა ნანკინთან და მისი საშუალებით ჩანძოლინთანაც კი.

ასეთი პირობებში კომუნისტების პოზიცია აშკარაა. როგორც ვიცით, ისინი გამოვიდენ უხანის მთავრობიდან. კომპარტიამ ამხილა უხანის მთავრობა და გომინდანის ზედა ფენების მოღალატეობა, მათი კონტრ-რევოლიუციონური როლი და კავშირი ფეოდალურ ელემენტებთან და მსხვილ ბურჟუაზიასთან. ამის საპასუხოდ გომინდანის ცეკამ გააძლიერა რეპრესიები კომპარტიის წინააღმდეგ. მისი განმარტებით, გომინდანის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე დროს კომპარტიის წევრიც. მან დაადგინა, რომ გომინდანმა კავშირი უნდა გაწყვიტოს კომპარტიასთან. კომუნისტებს ერეკებიან ჯარებიდან და დაწესებულებებიდან.

კომპარტია გომინდანის ცეკას ასეთ გადაწყვეტილებას, რასაკვირველია, არ დაემორჩილება. ის დარჩება გომინდანში, იქ გააძლიერებს ბრძოლას გომინდანის მასების დასაპყრობად, კონტრ-რევოლიუციონური ხელმძღვანელობის გასარიყავად. ამავე დროს კომპარტია გააცხოველებს მუშაობას გომინდანის გარედმყოფ ორგანიზაციებში—პროფკავშირებში და გლეხთა კავშირებში, სადაც იგი დღესაც დიდი გავლენით სარგებლობს. უეჭველია, რომ გომინდანის ნამდვილად მემარცხენე ელემენტები კომუნისტებთან იქნებიან ამ კამპანიაში.

შეუბრალებელი მხილება გომინდანის მოღალატე ხელმძღვანელების, ბრძოლა მასების მობილიზაციისა და შეკავშირებისათვის, რევოლიუციონურ აგიტაციის და სათანადო ორგანიზაციულ მუშაობის წარმოება ჯარებში, მუშათა და გლეხთა მასებისაგან შეიარაღებულ რაზმების შედგენა, რადიკალურ სოციალურ ლოზუნგების წამოყენება და მასების აქტიური ჩაბმა მათ რევოლიუციონური გზით გატარებაში,—აი,რა გზით უნდა წავიდეს ჩინეთის კომპარტია. როგორც სჩანს, ის თანდათან თავს აღწევს მერყეობის და გომინდანის ზედა ფენებთან კომპრომისის პოლიტიკას და ამ გზას ადგება.

ბ. კ—ლი.

ეგრედწოდებული „ტერმიდორი“, გადაგვარების საფრთხე და „ახალი“ ოპოზიცია

1. ტერმიდორის „სუნი“

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო ხშირად და უფრო გარკვეულად გაისმის ოპოზიციის ძახილი საკავშირო კომპარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, კომინტერნის **გადაგვარებაზე**. სიტყვა **„ტერმიდორი“** ყველაზე უფრო გავრცელებული სიტყვა გახდა ოპოზიციონერთა შორის. გადაგვარება სწარმოებს შეუჩერებლივ, მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, ტერმიდორის შავი აჩრდილი უკვე მოსჩანს საბჭოთა მიწა-წყალზე, მკრთალი ელფერი ედება ოქტომბრის დროშას, საბჭოთა სახელმწიფო „ცურდება“ პროლეტარული ლიანდაგიდან, ბოლშევიკური საკავშირო კომპარტია ექანება „ნაციონალ-რეფორმიზმის“ ჭაობში, დიდი რევოლიუცია „უკანასკნელ საზღვართან“ სდგას,—ასეთია ოპოზიციონური ბლოკის ჯერ კიდევ დარჩენილი ელემენტების „მწუხრი ჰანგები“. ეხლა უკვე ცხადია, რომ ოპოზიციას სიტყვა ტერმიდორი ორი წლის წინედ „უბრალოდ კი **არ** „წამოსცდა“, ეს არ იყო არც პოლემიკური „უკიდურესობა“, არც „პოლიტიკური ვარჯიშობა“.

ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ტერმიდორიანული გადაგვარების თეორია, რომელიც განუწყვეტლივ მწიფდებოდა ოპოზიციონერთა შორის, ეხლა უკვე **მომწიფდა**. ის, რაც წინედ გვეგონა შინაური ჩურჩული ცეკას მომხრეთა წინააღმდეგ, ეხლა პირდაპირ, არაორჭოფულად, გარკვეულად არის ჩაწერილი ოპოზიციის **უმთავრეს პოლიტიკურ დოკუმენტებში**. და თუ წინედ, სულ უკანასკნელ ხანამდე ოპოზიცია ტერმიდორზე, გადაგვარებაზე, „სებედისწერო კლასობრივ გადაჯგუფებაზე“ ლაპარაკობდა როგორც სახიფათო ჩანასახზე, რომელიც მიკროსკოპის საშუალებით უნდა ყოფილიყო დანახული,—**ეხლა** ოპოზიცია „შეუიარაღებელი თვალითაც“ ხედავს ამ ტენდენციების მშვენივრად **აყვავებას**, ლაპარაკობს ხან ტერმიდორის **დასაწყისზე**, ხან ტერმიდორზე, როგორც **მომხდარ ფაქტზე**.

ჩვენ გვაქვს **სამი** მეტად ნათელი და დამახასიათებელი დოკუმენტი, რომლებიც ვითომც ამტკიცებენ ჩვენს „ტერმიდორს“. ეს დოკუმენტები თითქმის ერთ და იმავე დროს წარმოიშვენ ჩვენს და ფორმალურად სხვადასხვა ძიმართულებათაგან გამომდინარეობენ.

პირველი დოკუმენტი გამომდინარეობს კომუნიზმის „ულტრა მემარცხენე“ რენეგატების წრიდან, კომინტერნის რიგებიდან გამორიცხულ, **ურბანს-მასლოვ-რუტ ფიშერის** ჯგუფიდან. ამ ჯგუფის ორგანოში „კომუნიზმის დროშა“-ში, რომელსაც ისტორიის განგებით ეხლა ფაქტიურად რედაქტორობს ამ ჯგუფისაგან „ყოველგვარ პირობის გარეშე გამიჯნული“ ჩვენი ოპოზიცია, ამ ორგანოში, რომლის ერთი მეოთხედი ნაწილი სავსეა ყოველგვარი „ულტრა“-სენსაციური ჭორებით „მადრიდის სასახლის საიდუმლოებათა“ შესახებ საკავშირო კომპარტიაში, ხოლო სამი მეოთხედი ნაწილი სავსეა ოპოზიციის პოლიტიკური დოკუმენტებით, ამხ. ტროცკის და ზინოვიევის და სხ. წერილებით, რომლებიც ამ ჟურნალამდე აღწევს რომელიღაც „უხილავი ძალის“ საშუალებით, სწორედ ამ ორგანოში **1927 წ. 1 ივლისის** თარიღით ჩვენ ვხედავთ წერილს დიდი მნიშვნელოვანი სათაურით: **„რით გათავდება ეს გზა?“** (Wo Wird dieser Weg enden?“).

იქ ჩვენ ვკითხულობთ:

„პოლიტიკა (საკავშირო კომპარტიის ცეკას პოლიტიკა. **დ. მ.**), რომელიც თავის თავს სთვლის „რეალისტურად“, არის არა მარტო უტოპიური პოლიტიკა, არამედ ისეთი პოლიტიკა, რომელმაც დამოუკიდებლად იმ პირთა სურვილისა, რომელნიც მას ატარებენ... **უნდა მიგვიყვანოს და მიგვიყვანს** კიდეც **ტერმიდორის გზამდე**“. (Die Fahne des Kommunismus“ № 16, გვ. 36).

მოუწოდებს რა თავის მკითხველთ, ისწავლონ „წარსული ისტორიის დიდ ფაქტებზე“ (aus den grossen Tatsachen der bisherigen Geschichte“), „Die Fahne des Kommunismus“ აფთხილებს, რომ ამ გზიდან (ტერმიდორიანული გზიდან. **დ. მ.**) **თითქმის არ არსებობს გამოსავალი**“.

„საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ტერმიდორიანელები ისევე დამარცხდენ კონტრ-რევოლიუციისაგან, როგორც მათ ამაზე წინედ დაამარცხეს იაკობინელები,—თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევებს, როცა ისინი გადავიდენ კონტრ-რევოლიუციის მხარეზე“.

ჩვენ ქვემოდ განვიხილავთ, თუ რამდენად დასაშვებია ჩვენი რევოლიუციის ანალოგია საფრანგეთის დიდ რევოლიუციასთან და რამდენად სწორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობის დახასიათება ოპოზიციის მიერ. ჯერ-ჯერობით აღვნიშნავ, რომ „ულტრა - მემარცხენენი“ ფიქრობენ, რომ ჩვენი ცეკას პოლიტიკა არის „ტერმიდორიანული“ პოლიტიკა, რომ ტერმიდორის გზიდან „გამოსავალი თითქმის არ არსებობს“. დასასრულ კიდევ ერთი ულტრა-მემარცხენე ფორმულიროვკა:

„... ყოველგვარ წვრილმან სპეკულიაციასთან ერთად მაინც ისახება **ერთგვარი პოლიტიკური ხაზი**, რომელიც ტარდება მერყეობით, არა მტკიცედ, შემთხვევიდან შემთხვევამდე, მაგრამ მაინც ცხადია: ეს არის **ხაზი, რომელსაც ტერმიდორის გზით მივყევართ რუსეთის რევოლიუციის დაღუპვისაკენ**“. (Eine linie, die über den Termidor zum Verderben der russischen Rewolution führt. (იქვე, გვ. 36) ხაზგასმული ულტრა-მემარცხენეებისა).

ტერმიდორის გზით დაღუპვისაკენ!—ასეთია ჩვენი სიტუაციისა და ჩვენი პოლიტიკური ხაზის ულტრა-მემარცხენული „შეფასება“.

მეორე დოკუმენტი, რომელიც უკვე იყო პრესაში გამოქვეყნებული, არის **საპრონოვის „ფილოსოფია“** ჩვენი ეპოქისა. საპრონოვ-სმირნოვის მომხრენი ჩვენს მდგომარეობას და ჩვენს პოლიტიკას ახასიათებენ **კიდევ უფრო ცუდად, ვიდრე ტერმიდორი**. საპრონოვის მიხედვით, ჩვენი ხელისუფლება—დიქტატურა უკვე უმწეოდ ქანაობს სხვადასხვა კლასებს შორის, საბჭოები ან მოისპო ან „ბურჟუაზიულ-პარლამენტურ მექანიზმად“ გადაიქცა, მთელი თავისი ძალით „გაიშალა კულაკური გლეხური დემოკრატია“, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებმა დაიწყეს ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ, წითელი არმია კი გახდა ხელსაყრელი იარაღი **ბონაპარტისტული** გადატრიალებისათვის.

საპრონოვის თვალსაზრისით, ლაპარაკია არა მარტო ტერმიდორზე, არამედ იწყება პრელიუდია აშკარა **ცეზარისტულ-ბონაპარტისტულ** გადატრიალებისათვის! ტერმიდორიდის გზით დაღუპვისაკენ!—გაისმა მასლოვის „საყვირიდან“. **წითელი არმიის საშუალებით ბონაპარტისაკენ!** — კონკრეტულად იქნა განმარტებული **15-ის პლატფორმაში.**

მაგრამ რასაკვირველია, არც საპრონოვის რევიზიონისტული მახინაციები, რომელიც აშკარად იბრძოდა ლენინიზმის წინააღმდეგ ლენინის სიცოცხლეში და მისი სიკვდილის შემდეგ, არც „ულტრა-მემარცხენეთა“ საშინელი „ისტორიოსოფია“, რომელნიც კომინტერნის ფარგლების გარეშე იმყოფებიან,—არ არის ისეთი ყურადღების ღირსი, როგორიც უნდა მიექცეს **მესამე,** „გადამწყვეტ“ **დოკუმენტს, ამხ. ტროცკის** დოკუმენტს. ეხლა პარტია გამოიწვია ამხ. **ტროცკიმ,** ოპოზიციის უდიდესმა ავტორიტეტმა და მეთაურმა.

უეჭველია, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც შეეხება შინაპარტიულ ურთიერთობას, უკანასკნელ ხანებში არის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის უკანასკნელი გადაწყვეტილება. **ცენტრალური საკონტრ. კომისია პარტიას აცნობებს, რომ ამხ. ტროცკიმ** პარტიის წინააღმდეგ **წამოაყენა** „სრულიად გაუგონარი, ცილისწამების **ბრალდება ტერმიდორიანობაში**“.

ეს ბრალდება მართლაც უდიდესი ყურადღების ღირსია. ის გარემოება, რომ ბრალდება წამოისროლა **ტროცკიმ,** ამტკიცებს, რომ ეს ბრალდება **მთელი** ოპოზიციის ბრძოლის დროშას წარმოადგენს. ეს ბრალდება, ბრალდება იმაში, რომ ბოლშევიკური პარტია არის **ტერმიდორიანული** (!!) ყველაზე უფრო ნათლად მოწმობს იმას, თუ რა ღრმა და **მწვავეა** ეხლანდელი უთანხმოება პარტიისა და ოპოზიციის შორის, მოწმობს იმას, თუ რამდენად **დაშორდა** ოპოზიცია პარტიას, თუ რა უდიდესი მანძილი, დისტანცია გაიარა მან სოციალ-დემოკრატიისაკენ.

ვინც ანს იტყვის, მან ბანიც უნდა სთქვას! ერთი შედარება იწვევს მეორეს. თუ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა ედარება ტერმიდორს, მაშინ მთელი ჩვენი რევოლიუცია ედარება საფრანგეთის რევოლიუციას. და მართლაც, ასეთ ანალოგიას **სავსებით სწორად** სცნობენ; ჩვენი რევოლიუციის მსვლელობას აღწერენ საფრანგეთის რევოლიუციის მიხედვით; 1927 და 1794 წლები ისევე ემსგავსება ერთმანეთს, როგორც ორი წვეთი წყალი; სვამენ ცინიკურ კითხვებს: „საფრანგეთის დიდი რევოლიუციის **რომელი ეპიზოდის მიხედვით**“ „ესხმის თავს“ პარტია ოპოზიციას; ცეკას მომხრეებს ადარებენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ტერმიდორიანელებს, ხოლო ტერმიდორიანელებს სახავენ, როგორც „გამემარჯვენებულ“ ბოლშევიკებს; ნაპოლეონს აცხადებენ „ნეონეპის“ მოციქულად; ისინი გულმოდგინედ ურჩევენ წაკითხულ იქნას საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორია მისი დაცემის ხანაში და სხ.

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი, პარტიის გადაწყვეტილებანი, ყოველგვარი წინსვლა გადაჯგუფებანი ოპოზიციას აგრძნობინებს **„ტერმიდორის სუნს“**.

საკითხი ეგრედ წოდებული ტერმიდორის შესახებ არ არის, რასაკვირველია, „გამოცალკევებული პრობლემა“, რომელიც განმარტოებით სდგას პარტიისა და ოპოზიციის ყველა დანარჩენ დავისა და უთანხმოებისაგან. პირიქით, საკითხის დასმით ტერმიდორის შესახებ ჩვენ გვაქვს უფრო მკვეთრი, პარტიისა და ოპოზიციის შორის არსებული ყველა მწვავე უთანხმოებათა, ასე ვსთქვათ, დრამატიული ფორმულიროვკა. ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, თუ როგორ ხდება, რომ საკითხი ტერმიდორის შესახებ „ეგუება“ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში ალმშენებლობის საკითხს. ჩვენი რევოლიუციის ხასიათის, გლეხობის, კლასიურ ძალთა ურთიერთობის შეფასების, პარტიის როლის, მთლიანობისა და შინაპარტიული რეჟიმის საკითხს.

სანამ გადავიდოდეთ ამ მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემის არსებითად განხილვაზე, ჩვენ წინასწარ შევეხებით „საკითხის მოკლე ისტორიას“.

2. „გამაფრთხილებელია“

2. „გამაფრთხილებელთა“ გალერეა

უბადრუკი თავის მოტყუება არის ოპოზიციის მხრივ ის აზრი, რომ ვითომც ტერმიდორის „სიგნალიზატორად“ პირველად გამოდის სწორედ იგი, ოპოზიცია. ნამდვილად კი, აუარებელია იმ კოლუმბების რიცხვი, რომლებმაც მოახდინეს „დიდი აღმოჩენა“ იმის შესახებ, რომ ვითომც ჩვენ უნდა დავიღუპოთ, ან თითქმის ვიღუპებით „ტერმიდორის გზით“. ნამდვილად კი ანალოგია ჩვენი და საფრანგეთის რევოლიუციის შორის გატარებულ იქნა ათასჯერ მასლოვებისა და საპრონოვებზე ადრე, **ტროცკიზე ადრე.** რუსეთის რევოლიუციის მექანიკური შედარება საფრანგეთის რევოლიუციასთან დიდი ხანია სწარმოებს ბოლშევიზმის ყველა კრიტიკოსების მიერ, როგორც მილიუკოვის, ისე სმენავეხოველების, ისე სოციალ-დემოკრატების მიერ.

მოვიგონოთ, რომ ჯერ კიდევ ოპერეტულ მატრაკვეც და ტრაბახა **კერენსკის** „არ უნდოდა ყოფილიყო რუსეთის რევოლიუციის მარატი“, (მას უნდოდა ამ რევოლიუციის კავენიაკობა!). საფრანგეთისა და რუსეთის რევოლიუციის შედარებაში ვარჯიშობდა 1917 წ. რუსეთის მთელი **მენშევიზმი,** დაწყებული პლეხანოვიდან და გათავებული „ნოვაია ჟიზნ“-ის მომხრეებით. „ნოვაია ჟიზნ“-ის ხელში 1793—1794 წლები იყო კოზირი „დაშინებისათვის“, ერ- - ერთი არგუ- „დაშინებისათვის“, ერთ-ერთი არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რომ ბოლშევიკებს აეღოთ სახელმწიფო ძალა-უფლება. **1918** წელში მენშევიკმა **დალინმა** განავითარა მთელი თეორია ბოლშევიზმის ბონაპარტისტული გადაგვარების აუცილებლობის შესახებ; ეს თეორია შემდეგ მან გააფართოვა თავის წიგნში „ომისა და რევოლიუციის შემდეგ“. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ ტერმიდორის მოციქულად გამოვიდა **ლ. მარტოვი, „ეკონომიური** ტერმიდორიდან რუსეთი წავა **პოლიტიკური** ტერმიდორისაკენ“,—ასეთი იყო რუსეთის მენშევიზმის ბელადის „დიაგნოზი“ და „პროგნოზი“. **კარლ კაუცკიმ,**—საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ობერ-წინასწარმეტყველმა, საბჭოთა კავშირის უსასტიკესმა მტერმა, რომელიც ეხლა ჩემბერლენის ფინიად და კონტრ-რევოლიუციონურ თავდასხმათა სულის ჩამდგმელად გამოდის,—ამ კაუცკიმაც შეიტანა თავისი წვლილი რუსეთის რევოლიუციის ტერმიდორიანულ თეორიაში (იხ. **მისი თხზულება** „Die proletarische Revolution und ihre Programm“, „Die internationale und Sovietrussland“ და სხ.)

1794 წელზე მიუთითებს აგრეთვე ვენაში ამას წინად მომხდარი ივლისის დღეების „გმირი“ ბატონი **ოტო ბაუერი.** მასვე ეკუთვნის იმის აღმოჩენა, რომ ვითომც საბჭოთა ხელისუფლება არის „ზეკლასიური კატეგორია“, რომელიც ანალოგიურია „პატარა“ ბონაპარტის ხელისუფლებისა საფრანგეთში—1851 წელში.

მე-14 საკავშირო პარტკონფერენციის შემდეგ იგივე „პროგნოზი“ და იგივე „საშინელი“ ანალოგიები გაატარა სმენავეხელთა პროფესორმა „ტერმიდორ ტერმიდორისძე“ უსტრიალოვმა, რომელმაც მარტოვის მაგალითის მიხედვით, „ტერმიდორიანელთა“ რიცხვს მიაკუთვნა... ლენინი.

ასეთია ზოგიერთი საგულისხმო ფაქტები (არა ყველა, რასაკვირველია), რომელნიც იძულებული ვართ, უპირველეს ყოვლისა, მოვიგონოთ. ამ ფაქტებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ ტერმიდორის საკითხში ოპოზიცია ვერ დაიტრაბახებს იმას, რომ პირველად მან წამოაყენა ეს აზრი. ოპოზიცია პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ აგროვებს იმ „განძს“, რომელიც სცვივა მენშევიკების დაგლეჯილ ჩანთიდან. მიუხედავათ სუბიექტიური სულისკვეთების, პირადი მოტივების, „თვითშეგრძნების“ სხვადასხვაობისა, ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენელნი „კრიტიკული“ ხაზით გამოდიან მხოლოდ **მარტოვებისა და უსტრიალოვების მოწაფეებად.**

მაგრამ მკითხველი იკითხავს: რატომ არის ასე ცხოველმყოფელი და გამძლე შექმნილი ლეგენდა ტერმიდორის შესახებ; რატომ დასჭირდათ ჩვენს მტრებს ეს განუწყვეტელი „მოგონებანი“, ეს მიმართვა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის სულებისადმი, ეს მუდმივი ანალოგიები, ეს იმედის დამყარება ტერმიდორზე?

პასუხი თავის თავად ცხადია.

პირველი. ყველა მტრებს სურთ ჩვენი **დამარცხება,** საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა. ანალოგიით საფრანგეთის რევოლიუციისა, რომელიც, როგორც ცნობილია, დამთავრდა იაკობინელთა რევოლიუციონური დიქტატურის დამარცხებით, ამ ანალოგიით ისინი სარგებლობენ ისე, როგორც „მეცნიერული“ საბუთით ჩვენი აუცილებელი დაღუპვის დასამტკიცებლად. „მენე, თეკელ, ფარესს“, „გახსოვდეს სიკვდილი!“, „გახსოვდეს ტერმიდორი!“—ამას შეგვძახოდნენ მტრები, შეგვძახიან და კიდევ არა ერთხელ შეგვძახებენ ისინი მომავალშიაც.

მეორე, ბურჟუაზიულ „კრიტიკოსებს“ (მათთან ერთად მოფოფხავენ სოციალ-დემოკრატიული „კრიტიკოსები“), ბურჟუაზიული იდეოლოგები, პოლიტიკოსების თავიანთი აზროვნების და ჩვეულების მიხედვით **არ ძალუძთ** გადალახონ ბურჟუაზიული ჰორიზონტი: მათ ორგანიულად არ შეუძლიათ სისწორით წარმოიდგინონ არა მარტო ძლევამოსილი, არამედ სოციალისტური რევოლიუცია საზოგადოთ. იგი (სოციალისტური რევოლიუცია) მათ აუცილებლად ჰგონიათ „ანორმალობა“, გარდამავალი **„ისტორიული ძალების აღშფოთება“**. თუ მათში არის რომელიმე „საღი აზრი“, ეს მხოლოდ არის, რასაკვირველია, **ბურჟუაზიული.** და ადრე თუ გვიან,—იმედოვნებენ მტრები,—ბოლშევიკური დიქტატურის „გარსი“ გასკდება და იქიდან გამოძვრება უსტრიალოვის ბურჟუაზიული „წესრიგი“, „დენაციონალიზაციაქმნილი“ მრეწველობით, ნეორიაბუშინსკებით და „კეისრებით“. ბურჟუაზიულ წარმოდგენაში **ბურჟუავდება** რუსეთის დიდი რევოლიუცია და სწორედ ამიტომ მას ადარებენ ბურჟუაზიულ რევოლიუციებს, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის დიდ რევოლიუციას.

მესამე, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ანალოგია ხაზს უსვამს ჩვენი რევოლიუციის ვითომც „მოუმწიფებლობას“. ამ მომენტს ჩაბღაუჭებიან უმთავრესად მენშევიკები და ევროპის სოციალ-დემოკრატია. შედარებას საფრანგეთის დიდ რევოლიუციასთან მენშევიკები იყენებენ, როგორც საშუალებას იმისათვის, რომ დასავლეთ-ევროპის მუშებს გული აუცრუონ რუსეთის „ჩამორჩენილ“, „აზიურ“, არსებითად „ბურჟუაზიულ“ რევოლიუციაზე.

ტერმიდორის თეორია, ეს არის **ჩვენი რევოლიუციის აუცილებლად დაღუპვის თეორია.** აი, რატომ არის ეს სიტყვა ხელი-ხელ საგოგმანები სმენავეხოველებისა და საერთაშორისო მენშევიზმისათვის. და თუ ჩვენმა ოპოზიციამ საჭიროდ ჩასთვალა ასეთი არსენალიდან ამოღლო იარაღი ლენინური ცეკას წინააღმდეგ იერიშებისათვის, ეს მხოლოდ განსაზღვრავს მის მიერ მიღწეული **სოციალ-დემოკრატიული** გადახრის განვითარების ეტაპს. ტერმიდორის საკითხში ოპოზიცია უშუალოდ ეჩხება მენშევიზმს.

ძნელი არ არის ოპოზიციონური იდეების ლოღიკური თანმიმდევრობის გამოცნობა.

შეუძლებელია ძლევამოსილი აღმშენებლობა ერთ ქვეყანაში,—ასეთია ოპოზიციური იჭვების გამოსავალი „თეორეტიული“ წერტილი. მაგრამ თუ შეუძლებელია სოციალიზმის **გამარჯვება,** მაშინ კითხვის ქვეშ სდგას ჩვენი **აღმშენებლობის** ნამდვილი **სოციალისტური** ხასიათიც; ჩვენი სახელმწიფო წარმოებანი მათ ჰგონიათ სახელმწიფო კაპიტალისტური და არა სოციალისტური; ნეპი მათ ჰგონიათ სრული უკან დახევა და სხ.—აქ ოპოზიციის ეჭვები უმაღლესი თეორიის სფეროდან ჩამოდის კონკრეტული პოლიტიკის დაბლობში. მაგრამ სკეპტიციზმის მატლი სხვაგანაც იჭრება. ეჭვის შეტანა ჩვენი **აღმშენებლობის** სოციალისტურ ხასიათში, იწვევს ეჭვს ჩვენი **რევოლიუციის** სოციალისტურ ხასიათში. თურმე ჩვენი რევოლიუცია **არა სავსებით არის** სოციალისტური, ჩვენი ხელისუფლება — „არა სავსებით“ არის პროლეტარული. მას „ბოლოს და ბოლოს“,—მსოფლიო რევოლიუციის საბედისწერო დაგვიანების დროს,—არ შეუძლია გადალახოს ბურჟუაზიული საზღვრები, ჩვენი რევოლიუცია ოპოზიციის შეფასებით სულ უფრო და უფრო ემსგავსება ბურჟუაზიულ რევოლიუციას,—იგი თურმე,—**ბურჟუაზიული** რევოლიუციაა. კლასიური ბურჟუაზიული რევოლიუცია—საფრანგეთის დიდი რევოლიუცია მისი წარსულის აჩრდილი **ხდება**; მისი მომავალი თურმე არის **ტერმიდორი.** მე-20 საუკუნე თავყანის საცემად მიდის მე-18 საუკუნესთან. ყველა ოპოზიციონურ ეჭვებს დაბოლოს, უზის „ტრაღიკული“ წერტილი.

3. „წარსულის ცრუმორწმუნეობა“—მარქსი და ტროცკი

შემდეგში **ჩვენ** შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ოპოზიცია სავსებით ყალბი ანალოგიის ტყვეობაში მოექცა; ჯერ-ჯერობით კი მოვიყვანთ კარლ **მარქსის** ზოგიერთ მოსაზრებებს „ანალოგიების“ შესახებ. ჩვენთვის საინტერესო თემას მარქსმა თავის წიგნში „ლუი ბონაპარტის მეთვრამეტე ბრიუმერ“-ში უძღვნა მთელი რიგი შესანიშნავი, მეტად ღრმა სტრიქონები:

„ყველა გარდაცვლილ თაობათა ტრადიცია როგორც კოშმარი, ისე დადგომია თავს ცოცხლებს“.. „ასე, მაგალითად, ლიუტერს თავი მოჰქონდა პავლე მოციქულად, 1789—1814 წ.წ. რევოლიუციას სახავდენ ხან რომის რესპუბლიკად და ხან რომის იმპერიად...“

„... მკვდრების აღდგომა ამ რევოლიუციებში (წინანდელ **ბურჟუაზიულ** რევოლიუციებში. **დ. მ.**) საშუალება იყო იმისათვის, რომ განედიდებიათ ახალი ბრძოლა და არ გაემასხარავებიათ ძველი ბრძოლა, რომ ფანტაზიის საშუალებით დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნებიათ ეხლანდელი ამოცანისათვის და არ გადაეხვიათ მისი ნამდვილი გადაწყვეტისაგან, რომ კვლავ აღჭურვილიყვენ რევოლიუციის ნამდვილი სულით“.

ამ მანერას—„წარსულის სულების გამოწვევა“, ძველი „სახელების, ბრძოლის პაროლების, კოსტიუმების აღება, ამ თავისებურ სოციოლოგიურ **მასკარადს** მარქსი სთვლის სწორედ **ბურჟუაზიული** რევოლიუციების დამახასიათებლად.

მაგრამ მარქსი გიგანტიური ძალით თავისი ცნობილი განმანადგურებელი სარკაზმით ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვისაც ეს სამასკარადო მეთოდები გადააქვს **უმაღლესი** ტიპის რევოლიუციის პირობებში, მე-19 საუკუნის რევოლიუციაზე, **პროლეტარულ** რევოლიუციაზე.

„მე-19 საუკ. სოციალურ რევოლიუციას (მით უფრო, რასაკვირველია, მე-20 საუკუნის რევოლიუციას! **დ. მ.**) პოეზია შეუძლია ამოიღოს არა წარსულიდან, არამედ **მხოლოდ მომავლიდან.** იგი არც კი შეიძლება დაიწყოს სანამ აღმოფხვრილი არ იქნება წარსულის ყველა ცრუმორწმუნოებანი. წინანდელ რევოლიუციებს ესაჭიროებოდა დიადი მოგონებანი, რომ დაეფარა თავისი ისტორიული შინაარსი. მე-19 საუკუნის რევოლიუციამ (მით უფრო მე-20 საუკუნის რევოლიუციამ! **დ. მ.**), რომ იპოვის თავისი ნამდვილი შინაარსის, **მკვდრებს უნდა მიანდოს თავისი მკვდრების დამარხვა. იქ ფრაზა იყო შინაარსზე ფართო, აქ შინაარსი არის ფრაზაზე ფართო**“.

პირდაპირ ცხვირში სცემს მარქსი! ეს სიტყვები ტერმიდორიანული ანალოგიების ყველა ეხლანდელ ავტორებს, ყველა იმათ, ვინც დიდ სიბრძნედ სთვლის მე-20 საუკუნის უდიდეს მოვლენათა აღწერას „საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ეპიზოდების მიხედვით!“ სწორედ ისინი—უსტრიალოვები და მარტოვები, და მათთან ერთად ოპოზიციის წარმომადგენელნი იწვევენ „წარსულის ლანდებს“, 1794 წლის აჩრდილებს.

მარქსი გვირჩევდა, რომ „პოეზია“ „მხოლოდ წარსულიდან ამოგვეღო. ოპოზიცია კი... ცეკასთან თავის ბრძოლის საშინელ პოეზიას იღებს **წარსულიდან,** მე-18 საუკუნის არქივიდან. მარქსი გადაჭრით მოითხოვდა „წარსულის ყველა ცრუმორწმუნეობათა“ აღმოფხვრას; ოპოზიცია კი **ჯიუტად** აღმერთებს ტერმიდორიანულ „ცრუმორწმუნეობას“. მარქსი მოგვიწოდებდა ბრძოლისაკენ, რომლის „შინაარსი“ „ფრაზაზე ფართოა“. ტროცკისტული „ფრაზა“ კი **ჩვენი** რევოლიუციის „შინაარსზე“ ფართო გამოდის, ვინაიდან ეს „ფრაზა“ საფრენგეთის დიდი რევოლიუციას და ჩვენ რევოლიუციასაც ერთ და იმავე „ტერმიდორიანულ“ რკალში ათავსებს.

მაგრამ ცხადია, რომ დიდ მასწავლებელზე უბრალო დამყარება არ სწყვეტს საკითხს. საკითხს არ სწყვეტს აგრეთვე ის მეტად დამახასიათებელი გარემოებაც, რომ საფრანგეთის რევოლიუციის ცრუმორწმუნოებრივ ანალოგიებს მკაცრად დასცინოდა **ლენინი,** რომელიც მშვენივრად **ხედავდა** და ითვალისწინებდა საფრთხეს პროლეტარული დიქტატურისათვის, მაგრამ **არასოდეს, არსად, არც ერთხელ** არ ლაპარაკობდა „ტერმიდორზე“, ამის თქმას იგი ანდობდა ბ. კაუცკებს და კომპ.

იქნებ „გამოუსადეგარია“ ჩვენი რევოლიუციის პერსპექტივებისათვის მარქსის სოციოლოგიური დაკვირვებანი, იქნებ ლენინმა „ვერ შესძლო“ გაეთვალისწინებია ის, რასაც ნათლად ხედავს („ყნოსვითაც კი გრძნობს!“) გაერთიანებული ოპოზიცია ტროცკის მეთაურობით? იქნებ სწორია საბედისწერო პარალელი ტერმიდორთან, იქნებ ჩვენი რევოლიუცია მართლაც „ჩამოცურდა“ პროლეტარულ ლიანდაგიდან, და გაქანა ბურჟუაზიული „კლასიკური“ კალაპოტით,—რასაც გაიძახიან ჩვენი ოპოზიციონერები?

ამ საკითხზე პასუხის გაცემას ჩვენ ქვემოდ შევეცდებით. მაგრამ სანამ განვიხილავდეთ ჩვენი ოპოზიციონერების ნაცოდვილარს „ტერმიდორის“ შესახებ, საჭიროა გაიხსენოთ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის უმთავრესი ფაქტები და მოვახდინოთ, თუნდაც მოკლედ, ორივე რევოლიუციის—ჩვენის და საფრანგეთის—მარქსისტული შედარება.

4. შორეულ ისტორიულ წარსულიდან

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, რომელიც მოხდა მე-18 საუკ. მიწურულში და მე-19 საუკ. დასაწყისში, იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. ის იყო უდიდესი სიძლიერის საზოგადოებრივი კატაკლიზმი, კლასიურ წინააღმდეგობათა უდიდეს და იმ დროისთვის სრულიად განსაკუთრებულ გამწვავების ნაყოფი. მან თამამად გასწია მაშინდელ საზოგადოების ჩარჩოები და მისცა მძლავრი იმპულსი საწარმოო ძალთა განვითარებას არა მარტო საფრანგეთში, არამედ შორს საფრანგეთის გარეთაც. ის სამართლიანად ითვლება „კლასიკურ“ ე. ი. ყველაზე უფრო დასრულებულ და გრანდიოზულ **ბურჟუაზიულ** რევოლიუციად, რომელმაც შორს მოიტოვა უკან ისტორიული ნიმუშები: ბურჟუაზიული რეფორმაცია, ნიდერლანდების ბრძოლა, ოლივერ კრომველის დროის რევოლიუციონური ბრძოლა.

ფეოდალურ ჩაგვრის, ბარბაროსობის და მონობის „მკვდარი ხელი“ მაგრად იყო წაჭერილი მაშინდელ საფრანგეთის ყელში. საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ულმობელად მოჰკვეთა ეს ხელი. ფეოდალურ-ამქრული კედლები, საშუალო საუკუნეთა დამპალი ქსოვილი ავიწროებდენ ქალაქების ზრდას, აფერხებდენ ხელოსნობიდან მანუფაქტურაზე გადასვლას, მანუფაქტურიდან სამანქანო ინდუსტრიაზე გადასვლას. საფრანგეთის რევოლიუციამ დახია ეს ქსოვილი და გზა გაუხსნა თავისუფალ ინიციატივის „სულს“. აბსოლიუტიზმი, „უპირველეს აზნაურის“—საფრანგეთის მეფის შეუზღუდავი ხელისუფლება წარმოადგენდა მოძრაობის უდიდეს შემკავებელ მუხრუჭს. რევოლიუციამ თავი მოჰკვეთა მეფეს (1793 წ.). უცხოეთის შავმა რაზმმა როიალისტურ ემიგრაციასთან ერთად გაილაშქრა რევოლიუციის წინააღმდეგ იარაღით ხელში. საფრანგეთის ხალხმა გმირული თავდადებით გაუმართა სრულიად ევროპის რეაქციას ჭეშმარიტად სამართლიანი, ძლევამოსილი რევოლიუციონური ომი და უმაღლეს საფეხურზე ასწია იმ ეპოქის სამხედრო ხელოვნება. ქრისტიანულ ექსპლოატატორულ ეკლესიის „წმინდათა-წმიდა“, კატოლიციზმის კერპები ბოჭავდენ აზრის ყოველგვარ მოძრაობას. რევოლიუციამ „შელანძღა“ ფეოდალური რელიგია, რევოლიუციონურად გაუსწორდა რეაქციონერ ხუცებს.

რევოლიუციამ გამოიყვანა ჩიხიდან საფრანგეთი და ევროპა და კოლოსალურად დააჩქარა მსოფლიო ისტორია. გიგანტური კონფლიქტი საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა შორის საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ გადასწყვიტა **პლიუსის** ნიშნით.

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია იყო **ბურჟუაზიული,** მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას „აკეთებდა“ ბურჟუაზია, რომ ბურჟუაზია მეთაურობდა, მიმართავდა მას, რომ ბურჟუაზია იყო მისი ცენტრალური მამოძრავებელი ძალა.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მთავარი **მამოძრავებელი ძალა** იყო **წვრილი ბურჟუაზია:** ხელოსნები და ქარგლები, საერთო წვრილბურჟუაზიულ მასივიდან მაშინ კიდევ გამოუყოფელი პროლეტარიატი, შინაურ მრეწველობის და მანუფაქტურების მუშები.

რევოლიუციონური წვრილი ბურჟუაზია იყო ბრძოლის ხელმძღვანელი. ის უშიშრად მიდიოდა წინ და პლებიური მეთოდებით სწყვეტდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის ამოცანებს მიუხედავად თვით მსხვილ ბურჟუაზიის გაცოფებულ წინააღმდეგობისა. მსხვილი ბურჟუაზია მეთაურობდა რევოლიუციას მხოლოდ პირველ ეტაპებში, შემდეგ კი, უდიდეს გამწვავების ხანაში, უმძიმეს განსაცდელთა ცეცხლში, უდიდეს საფრთხის ჟამს, მან უღალატა რევოლიუციას და შექმნა კონტრ-რევოლიუციონურ **ჟირონდის** ბანაკი.

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ გვიჩვენა **მასსების რევოლიუციონურ ბრძოლის,** მასიური გმირობის, მასიურ ენტუზიაზმის მაგალითები. 1789 წლის 14 ივლისს პარიზის მასებმა იერიშით აიღეს მრისხანე ფეოდალური ბასტილია, რომლის ბნელ სარდაფებში ლპებოდენ საფრანგეთის საუკეთესო მოღვაწეთა მთელი თაობანი. თითქმის ქალაქის ღარიბ მოსახლეობასთან ერთდროულად აღსდგა საფრანგეთის გლეხობაც. მოედო ცეცხლი ფეოდალურ კოშკებს, დაიწყო აგრარული რევოლიუცი, გლეხებმა „თვითნებურად“ და იწყეს ბატონყმურ სიგელების დაწვა. ხანძრების შუქით განათებულმა, დამფრთხალმა ნაციონალურმა კრებამ 1789 წლის 4 აგვისტოს „ისტორიულ ღამეს“ დააჩქარა დაეთმო ფეოდალურ პრივილეგიების მცირე ნაწილი, რათა გადაერჩინა ძველი წყობილება.

რევოლიუციონური წვრილი ბურჟუაზია აწარმოებდა სახელოვან ომს მეფე—„ლუი კაპეტთან“, „სასახლის გაიძვერებთან და ხრიკების ოსტატებთან“, როიალისტებთან, „ფელიანტებთან“, „ბრისოტიანელებთან“, ჯაშუშებთან, ვანდეელ შუანებთან, ხუცებთან. მან ძალით დააბრუნა ვერსალიდან პარიზში ლუი მე-16 და მარიამ—ანტუანეტა, „მებულკე და მისი ცოლი“, როდესაც მათ ვერსალის ბაღების ჩრდილებში განიზრახეს რევოლიუციის დასახრჩობ თოკის დაგრეხა. მან ხელი შეუშალა მეფის გაქცევას, და როდესაც გაიგო, რომ ის უცხოელ ზუბრებთან ერთად დახრჩობას უმზადებდა რევოლიუციას, ეშაფოტზე გაგზავნა იგი.

დევიზი „გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“, რომელიც მარქსმა გამოაცხადა ყველა ძლევამოსილ რევოლიუციების დევიზად, წარმოიშვა 1789—1794 წლ. რევოლიუციონურ ქარიშხალში. რევოლიუციონური საფრანგეთი არ შედრკა არც მაშინ, როდესაც უცხოეთის რეაქციამ გადასწყვიტა ინტერვენციის მოწყობა და მთელ საფრანგეთზე გადაიარა კონტრ-რევოლიუციონურ ამბოხებათა ტალღამ. უამრავი მსხვერპლით, უკანასკნელ ძალღონის მოკრებით, ძალთა არაადამიანური დაჭიმვით, რევოლიუციონური **ხალხი** აკეთებდა ყველაფერს, რომ გაესრისა კონტრ-რევოლიუციონური ბუდე და მოეგერიებია მტრების შემოტევა. პარიზის სექციები თავის თავზე კისრულობდენ **ჯარისთვის** ტანთსაცმელის, საცვლების და ფეხსაცმელების მიწოდებას, აწყობდენ **ხორბლის** დაფქვას, თვალყურს ადევნებდენ მტკიცე ფასების დაცვას, ქალაქის სურსათით მომარაგებას, სწერდენ **რევოლიუციონურ** არმიის ვოლონტერებს. **როდესაც** აღარსად შეიძლებოდა **გვარჯილის** ყიდვა თოფის წამლისათვის, ფხეკდენ გვარჯილის ნარჩენებს ძველ სარდაფების კედლებზე. პარიზის ღარიბი მოსახლეობა—ეს რევოლიუციის მასა—მუდამ იყო ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მრუდე შეუწყვეტლად მიისწრაფოდა **მაღლა 1789 წლიდან** 1794 წლამდე. მაგრამ რამდენადაც მაღლა მიიწევდა რევოლიუცია, მას სულ უფრო და უფრო სცილდებოდენ **სოციალური** ფენები და პოლიტიკური **ჯგუფები,** რომლებიც ასე თუ ისე იყვენ დაკავშირებული ძველ წესწყობილებასთან, ან დატვირთული იყვენ მსხვილი საკუთრებით. რევოლიუციის პირველ დღეების მოტკბო სცენებიდან, „მეფის და ხალხის გაერთიანების“ სცენებიდან, „ლამურეტის კოცნის“ კომედიიდან მალე კვალიც კი აღარ დარჩა. არა მარტო საშუალო და წვრილმანი თავადაზნაურობა, არამედ მაშინდელი მანუფაქტურულ-სამრეწველო ბურჟუაზიაც ჩამოშორდენ ბრძოლას, რომელიც „მეტის-მეტად შორს“ წავიდა.

კონვენტიდან იდევნებიან და შემდეგ ეშაფოტზე იგზავნებიან ჟირონდისტები, სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენელნი; ხელისუფლება ხდება **წვრილბურჟუაზიის რევოლიუციონურ დიქტატორად.** მაგრამ მეთაურ ჯგუფების ასეთი მოკვეთის შემდეგაც კი, მკაცრ იაკობინურ დისციპლინის მიუხედავად, ხშირი „წმენდის“ მიუხედავად,—რევოლიუციონური ბანაკი მაინც კიდევ წარმოადგენს მეტისმეტად ამორფულ სოციალურ მასას და გამოხატავს სხვადასხვა კლასიურ ფენების გავლენას. მემარჯვენე ფრთაზე იმყოფებოდა **დანტონი,** ფაქტიურად კონვენტიდან განდევნილ ჟირონდის „სრულუფლებიანი წარმომადგენელი“. ცენტრს, რომელიც ეყრდნობოდა წვრილბურჟუაზიის ზედა ფენებს და საშუალო ბურჟუაზიას, მეთაურობდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ყველაზე უფრო პოპულიარული ბელადი—**რობესპიერი.** უფრო მარცხნივ მოთავსდენ **„შომეტისტები“** და **„ჰებერტისტები“,** პარიზის თვითმმართველობის—კომუნის მოღვაწენი. უკიდურესი მემარცხენეები იყვენ პარიზის სექციების ბელადები, რომლებიც წარმოადგენდენ პარიზის ღარიბ მოსახლეობას და „პროლეტარიატის წინამორბედთ“, ეგრედ წოდებული „ცოფიანები“, ჟაკ **რუ** და სხვები.

ხან მიყრუებული, დროგამოშვებით კი აშკარა ბრძოლა ყველა ამ ჯგუფებს შორის სწარმოებდა 1793—1794 წლების განმავლობაში. დაამარცხა რა მემარცხენეებთან და „ცოფიანებთან“ დაკავშირებით ჟირონდისტები, რობესპიერი შემდეგ უკავშირდება დანტისტებს და იწყებს ბრძოლას ცოფიანების წინააღმდეგ. რობესპიერი აქაც გამარჯვებული გამოდის. მაშინ პარიზის დაბალი ფენები გაურბიან რობესპიერის დიქტატურას. უდიდეს ნგრევის მდგომარეობაში, რომელიც წარმოიშვა, როგორც სამეურნეო კავშირების რევოლიუციონურ დაშლის და საომარ მდგომარეობის შედეგი, რობესპიერის ხელმძღვანელობის სოციალური ბაზა ძლიერ **ვიწროვდება.** კიდევ ორი დაკვრის შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ—დანტონის და ჰებერტისტების სიკვდილით დასჯა,—რობესპიერი თითონ იღუპება გილიოტინაზე. **(9 ტერმიდორი IV წლისა**—1794 წლის ივლისი). კონვენტის „ჭაობის“ სახით ჩნდება ტერმიდორიანული რეაქცია. იხსნება თეთრი ტერორის ეპოქა, რომელიც დროგამოშვებით სწყდება რევოლიუციონურ აფეთქებებით, მოძრაობის მრუდე ეცემა ძირს. საფრანგეთი ნელ-ნელა ეშვება თვრამეტ ბრიუმერისაკენ. 1799 წ. „18 ბრიუმერს“ „საფრანგეთის მხსნელად“ თეთრ ცხენზე მჯდომარე შემოდის „კეისარი“—**ნაპოლეონ ბონაპარტე.** 1801 წ. ის ცხადდება იმპერატორად.

5. ორი რევოლიუცია: 1793—1794 წლ. და 1917—27 წლ.

ზემოხსენებულიდან აშკარა უნდა იყოს, თუ როგორ „მაგარ ბრალდებას“ წარმოადგენს საკ. კ. პ. ცეკასთვის ტერმიდორიანობის დაწამება. ტერმიდორიანობაში ბრალის დადება ეს არ არის რაიმე „გადახრის“ ან „გადახვევის“ მხილება. ტერმიდორიანობაში ბრალის დადება არის ბრალის დადება კონტრ-რევოლიუციონერობაში, ვინაიდან ტერმიდორი იყო კონტრ-რევოლიუციონური ლახვარი, ჩაცემული საფრანგეთის რევოლიუციის ზურგში.

რა თქმა უნდა, არის ზოგი რამ **საერთო** ჩვენი რევოლიუციის და საფრანგეთის რევოლიუციის შორის. არის მთელი რიგი **ფორმალურ** მზგავსებათა, არის მთელი რიგი საერთო კანონზომიერებათა, რომლებიც შეეფერებიან ყოველ დიდ რევოლიუციონურ კრიზისს (სოციალურ შეკავშირებათა დაშლა, კლასიურ ბრძოლის გამწვავება, მასიური მოძრაობა, რევოლიუციონური დიქტატურა და ტერორი, მოვლენათა გიგანტური ტემპი და სხვ.).

არის საერთო ბოლშევიკებსა და იაკობინელებს შორისაც: ორივე იყვენ **გადაჭრით მოქმედი რევოლიუციონერები** თავის ეპოქისათვის. ამ მნიშვნელობით ბოლშევიკები წარმოადგენენ მონტანიარების მემკვიდრეებს, **„პროლეტარულ იაკობინელებს“.** მაგრამ უკვე ამ განსაზღვრაში არის ჩამარხული **კაპიტალური განსხვავებაც,** რომლის წაშლა არაფრით არ შეიძლება. ეს განსხვავები პირდაპირ უკავშირდება განსხვავებას **ბურჟუაზიულ** და **სოციალისტურ რევოლიუციებს შორის.**

ჩვენ რევოლიუციაშიაც და საფრანგეთის დიდ რევოლიუციაშიაც ჩვენ გვაქვს კოლოსალური გაქანების მასიური მოძრაობა; მაგრამ ჩვენი რევოლიუციის მასების მოძრაობა არის განუზომლად **უმაღლესი** და თვისებრივად **სხვა ტიპის.** საფრანგეთის რევოლიუციის „გაბედული მოქმედება“ გამოხატავდა რევოლიუციონურ **წვრილ ბურჟუას** გაბედულობას და, როგორც ასეთი, აუცილებლად უნდა შემოფარგლულიყო წარმოების ბურჟუაზიული წესით. პირიქით: ბოლშევიზმის რევოლიუციონური გაბედული მოქმედება არის ყველაზე უფრო მოწინავე კლასის—**პროლეტარიატის** უკიდურესი გაბედულება.

ჩვენ რევოლიუციასაც და საფრანგეთის რევოლიუციასაც აქვთ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, ერთიც და მეორეც წარმოადგენენ საერთაშორისო რევოლიუციონურ **კერას.** მაგრამ საფრანგეთის დიდი რევოლიუცია—ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის ეპოქის რევოლიუცია—წარმოადგენდა **ბურჟუაზიულ** რევოლიუციების იმპულსს სხვა ქვეყნებისათვის, ბურჟუაზიულ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ომების უდიდეს ფაქტორს. ჩვენი საბჭოთა კავშირი და ჩვენი რევოლიუცია კი—იმპერიალიზმის ეპოქის და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის რევოლიუცია—წარმოადგენს **სოციალისტურ** რევოლიუციის უდიდეს სტიმულს **და** კერას; ამასთანავე ეს კერა სტიქიური კი არ არის, არამედ მას აქვს ისეთი მძლავრი საორგანიზაციო იარაღი, როგორიცაა ლენინის **კომუნისტური ინტერნაციონალი.** რა თქმა უნდა, მე-18 საუკუნის მიწურულში ლაპარაკიც არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, „კომინტერნის“ შესახებ. რამდენადაც ვიცით, დღემდე ვერც ერთმა იმათგანმა, ვისაც უყვარს ჩვენი რევოლიუციის „აღწერა“ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის „ეტაპების“ მიხედვით, კიდევ ვერ შესძლო მოეძებნა მე-18 საუკუნეში „რაიმე მზგავსი“ ისეთ „უბრალო“ მოვლენისა, როგორიცაა კომინტერნი.

თვალში გვეცემა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის და ჩვენი რევოლიუციის სამეურნეო ტეხნიკურ საფუძვლების მკვეთრი განსხვავება. იმ დროის საფრანგეთში არ იყო **არც ერთი** რკინის გზა, თითქმის სულ **არ იყო** მანქანები, მუშები აწარმოებდენ „ბრძოლას მანქანების წინააღმდეგ“. *) მაგრამ აქედან გამომდინარეობს **მამოძრავებელ** სოციალურ **ძალთა** განსხვავება (იქ—წვრილი ბურჟუაზია; ჩვენთან—პროლეტარიატი), **პოლიტიკის** განსხვავება და ეგრედ წოდებულ „სოციალურ იდეალების“ განსხვავება. ყველა ამ განსხვავებათა მიფუჩეჩება ნიშნავს **საუკუნეთა** განსხვავების მიფუჩეჩებას!

ძალიან საინტერესოა ორივე რევოლიუციის, ასე ვსთქვათ, „სოციალურ ტოპოგრაფიის“ შედარება. ჩვენთან მოძრაობის ბერკეტს და კერას წარმოადგენდენ და წარმოადგენენ **ინდუსტრიალური** პროლეტარული ცენტრები. (პიტერი, მოსკოვის სამრეწველო რაიონი, ურალი, დონის ბასეინი და სხვ.). იაკობინიზმის ციხესიმაგრეს კი წარმოადგენდა ინდუსტრიალურად ჩამორჩენილი **წვრილ-ბურჟუაზიული პარიზი** რომელიც აწარმოებდა ულმობელ ბრძოლას ჟირონდის დასაყრდენ ინდუსტრიალურ ქალაქების წინააღმდეგ, აწარმოებდა ბრძოლას ჟირონდის წინააღმდეგ, რომელიც ატარებდა „სამრეწველო ინტერესების პოლიტიკას“.

ზედმეტი არ იქნებოდა, რომ „ანალოგიების“ მეტისმეტად გულმოდგინედ მოყვარულნი შეიგნებდენ, რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი და საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ანალოგია კრიტიკას ვერ უძლებს.

როგორც სოციალურ-კლასიური, ისე საერთაშორისო კონტექსტიც ჩვენთან **სრულიად სხვაა,** ვიდრე ეს იყო საფრანგეთში მე-18 საუკუნის დასასრულ. ორივე ამ კონტექსტის „არევა“ წვრილმან პოლიტიკურ თამაშის გულისათვის, ნიშნავს მარქსიზმის **აბუჩად აგდებას.**

პროლეტარული „იაკობინიზმი“ **განუზომელად** აჭარბებს მე-18 საუკუნის ისტორიულ იაკობინელებს. იაკობინელებს ჰქონდა დისციპლიანიანი ორგანიზაციები. მაგრამ იაკობინურ დიქტატურის ეს „ორგანიზაცია“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება **ბოლშევიკურ პარტიის** მაღალ ორგანიზაციას, რკინისებურ დისციპლინიან, „იდეურად—მონოლიტურ“ მილიონიან პარტიის, ლენინის მიერ აღზრდილ პროლეტარულ პარტიის ორგანიზაციას. ჩვენი პარტიის იდეოლოგია ისე განსხვავდება წვრილ-ბურჟუაზიულ იაკობინელების იდეოლოგიისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. განა შეიძლება ლენინიზმის რაიმე „შედარება“ იაკობინელების თუნდაც უკიდურეს მემარცხენე, წვრილ ბურჟუაზიულ-უტოპისტურ „იდეალებთან“, იმ იაკობინელების იდეალებთან, რომელთაც ახასიათებდა წვრილ-ბურჟუაზიული ოცნებები გათანაბრების და „მიწასთან დაბრუნების“ შესახებ და მისწრაფება ამქრულ წესებისადმი? განა რობესპიერი მისი „უმაღლეს არსების კულტით“ შეიძლება დავაყენოთ ლენინთან, ლენინთან,—როგორც პოლიტიკოსთან, როგორც ბელადთან და როგორც თეორეტიკოსთან, რომელმაც უდიდესი მანძილით დააწინაურა რევოლიუციონური მარქსიზმი?

მაგრამ გადავიდეთ საკითხზე ტერმიდორის შესახებ.

რა იყო ტერმიდორიანულ გადატრიალების მთავარი, ე. ი. **სამეურნეო** საფუძველი, ან, სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, რა იყო იაკობინურ დიქტატურის დაღუპვის მიზეზი?

ფაქტები უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ტერმიდორს ადგილი ჰქონდა სამეურნეო დაცემის ხანაში, ფასების წარმოუდგენელ ზრდის და ასიგნატების დაცემის ხანაში რაც დიდხანს გაგრძელდა 9 ტერმიდორის შემდეგაც.

ტერმიდორი იყო „რეფლექსი“, სამეურნეო **დაცემის** ნაყოფი; **ჩვენ** კი ვდგევართ **სამეურნეო ზრდის** ხანაში. უკვე აქედან აშკარა უნდა იყოს, როგორ სულელურ მდგომარეობაში ვარდებიან ტერმიდორის ახლანდელი მანიაკები. უკვე აქედან არის აშკარა, რომ ის საშიშროებანი, რომლებიც **წამოჭრილი** არიან პროლეტარიატის დიქტა[illegible] წინაშე, პრინციპიალურად **სრულიად** სხვა ხასიათის უნდა იყვნენ, ვიდრე საშიშროებანი, რომელთა გამოც დაიღუპა ტერმიდორის ეშაფოტზე იაკობინური რევოლიუცია.

ტერმიდორი გამოხატავდა რობესპიერის დიქტატურის **სამეურნეო გა[illegible]რებას.** რობესპიერის დიქტატურა მარცხდა, და უნდა დამარცხებულ[illegible] კიდეც, ვინაიდან მოექცა მსხვი[illegible] რონდისტულ ბურჟუაზიის სცილ[illegible] „ცოფიანთა“ ხარიბდას შორის. ჟ[illegible] დისტული ბურჟუაზია მოითხოვდ[illegible] რიზის ბრბოსთვის“ ლაგამის ამოდ[illegible] „ცოფიანები“ კი—პურს მშიერთათვ[illegible] და ფასების დაკლებას საქონელზე. [illegible] ბების მსვლელობამ გაამართოვა რობესპიერი.

იაკობინურმა დიქტატურამ ვერ შესძლო **გლეხობასთან** შეთანხმება. ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის მისთვის საბედისწერო გამოდგა. შეძლებული და საშუალო გლეხობა ილაშქრებ[illegible] და რევოლიუციის გაღრმავების წინააღმდეგ, რადგანაც იგი უკმაყოფილო იყო იძულებითი დაბალი ფასების არსებობით პურზე, ღარიბი გლეხობა კ[illegible] ვერ ღებულობდა მიწას, რომელსაც იტაცებდენ სპეკულიანტები და მდიდარი სოფლები.

მაშინ, როდესაც ჩვენთან პროლეტარულმა დიქტატურამ შესძლო **შეთანხმებით ცხოვრება გლეხობასთან** და **მჭიდროთ დაკავშირებულია** მასთან თითქმის **10 წლის** განმავლობაში— ეს არის ფაქტი, რომელსაც აქვს უდავოდ **მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა!**—იაკობინური დიქტატურა მალევე [illegible] ტვრა ქალაქის და სოფლის ა[illegible] ნიზმს. *)

მე-18 საუკუნის საფრანგეთის [illegible] ლიუციონურმა წვრილმა ბურჟ[illegible] ვერ შესძლო მოეპოვებია „მტკი[illegible] კავშირე“ სოფლად. მან ვერ [illegible] დიდი ხნით გამხდარიყო **ჰეგ**[illegible] ხელმძღვანელ დასაწყისად სოფლ[illegible] მართ, ამისთვის მას არ ჰქონდა [illegible] დო რესურსები, შესაფერი ფ[illegible] წვრილბურჟუაზიულ იაკობინუ[illegible] ტატურას არ გააჩნდა „მბრძანებ[illegible] ლობების“ ის სისტემა, რომელ[illegible] საბჭოთა კავშირის გამარჯვებუ[illegible] ლეტარიატს. **იაკობინურ** დიქ[illegible] არ გააჩნდა არც ბანკები, არც ნ[illegible] ლიზაციაქმნილი მრეწველობ[illegible] მსხვილი ტრანსპორტი. იაკობ[illegible] არც კი დასიზმრებია, და არც [illegible] ზე დასიზმრებოდა, რაიმე, ლენი[illegible] ოპერატიული გეგმის „მზგავსი“.

1793—1794 წლების საფრანგეთში არ იყო „სააღმშენებლო ხანა“, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. წვრილბურჟუაზიული იაკობინელები ბრწყინვალედ ასრულებდენ ძველი წესრიგის რევოლიუციონური **ნგრევის საქმეს.** ამ მნიშვნელობით იაკობინიზმი იყო „დესტრუქტიული“, დამნგრეველი, რითაც განსხვავდებოდა ბოლშევიზმისა და ლენინიზმისაგან, რომლებიც „დესტრუქტივიზმს“ ათანხმებენ „კონსტრუქტივიზმთან“, დადებით სოციალისტურ მშენებლობასთან. **არავითარი ნეპი** საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაში **არ ყოფილა.** უდიდესი სისულელე იქნებოდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაში გვეძებნა ნეპის „მზგავსი რამე“, ვინაიდან ნეპი არის გამარჯვებულ **პროლეტარიატის** „ერთად-ერთი სწორი სამეურნეო პოლიტიკა“ (ლენინი), 1793—1894 წლებში კი **არ იყო** გამარჯვებული პროლეტარიატი.

იაკობინური დიქტატურა **დაიღუპა,** ვინაიდან თვით მის არსებაში იყო მისი დაღუპვის ჩანასახი. წინააღმდეგობანი რევოლიუციის **ობიექტიურ-ბურჟუაზიულ** ხასიათსა და მის **მამოძრავებელ ძალთა** შორის ჩამოყალიბდენ ტერმიდორის ფორმებში.

იაკობინელებმა განიცადეს უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური ტრაღედია. ისინი ბრწყინვალედ აწარმოებდენ რევოლიუციონურ ომს. მაგრამ ომი ავტომატიურად **ამდიდრებდა** სპეკულიანტებს მონარდეებს, ინტენდანტებს, მონოპოლისტებს, მევახშეებს, ე. ი. ამდიდრებდა იაკობინურ დიქტატურის „შინაგან“ მტრებს, აძლიერებდა **მსხვილ** ბურჟუაზიის პოზიციებს წვრილ ბურჟუაზიასთან შედარებით.

პარიზის მასები—იაკობინელების მთავარი რევოლიუციონური დასაყრდენი—მოითხოვდენ პურს **და** ფასების დანიხვრას, მაგრამ იაკობინელები უძლური იყვენ ინფლიაციის წინა[illegible] დეგ, რომელიც შლიდა ფასების მო[illegible] რიგების იაკობინელთა პოლიტიკას. [illegible] კობინელებმა სცადეს ბრძოლის და[illegible] ბა სასურსათო **სპეკულიანტებთან,** [illegible] შორის ის ხმებიც კი გაისმა, რომ სა[illegible] როა კაპიტალების დაგროვების შ[illegible] ღუდვა. მაგრამ იაკობინელები იძულ[illegible] ბული იყვენ მიეყიდათ „ნაციონალ[illegible] ქონება“ სპეკულიანტებისათვის, განემტკიცებიათ მთავარი თავისი [illegible] რი.

იაკობინელების დადებითი ს[illegible] ნეო პროგრამა რეაქციონური [illegible] თავისი დამნგრევი მუშაობით [illegible] ნი გზას უკაფავდენ მსხვილ კაპ[illegible] ტურ წარმოებას. ჟირონდისტე[illegible] დარებით იაკობინელები წარმ[illegible] **უფრო დაბალ** სამეურნეო პ[illegible] ამიტომაც დამარცხდენ ისინი. [illegible] წარმოება დაემორჩილა, და აუც[illegible] ლად უნდა **დამორჩილებოდა,** მსხვილ წარმოებას. **რობესპიერმა** ადგილი „დაუთმო“ ნაპოლეონს.

ჩვენ კი **ასეთი წინააღმდეგობა,** წინა[illegible]გობა რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა **და** მის ობიექტიურ შინაარსს შორის—**არა გვაქვს.** პროლეტარ[illegible] რევოლიუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა **არის** პროლეტარიატი, რომელსაც **უპყრია მბრძანებელი მაღლობები,** მის **განკარგულებაშია ბერკეტების** მთელი **სერია გლეხობაზე** ზეგავლენის მოსახდენად და ის წარმოადგენს **წარმოების უმაღლეს წესს,** როგორც გლეხობასთან, ისე ბურჟუაზიასთან შედარებით.

---

*) ქალაქ რუანის ინტერესები და მექარხნეების ინტერესები უერთდებიან ღარიბ მუშათა სავსებით კანონიერ მოთხოვნილებას, მოთხოვნილებას ინგლისურ **მექანიკურ სართავი დაზგების ხმარების აკრძალვის შესახებ,**—ვკითხულობთ ჩვენ ერთ- ერთ ნაკაზში.

*) სხვათა შორის. ერთ-ერთ საბუთად ჩვენ[illegible] რევოლიუციის შესადარებლად მოჰყავთ შემდეგი: მე-18 საუკუნეში საფრანგეთის მოსახლეობის აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენდა სოფლის მოსახლეობა, „დაახლოებით“ ასეთი[illegible] მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. „სოფლების“ რიცხვის უბრალო არითმეტიკულ[illegible] შედარება „ქალაქელების“ რიცხვთან მარქს[illegible] მის თვალსაზრისით უაზრობაა. საქმე იმა[illegible] თუ როგორ ქალაქზე, როგორ სოფელზე [illegible] ლაპარაკი. ფეოდალურ ციხე-ქალაქს, ხელ[illegible] ნურ - გილდიურ ქალაქს, ბურჟუაზიულ[illegible] პროლეტარულ ქალაქებს — ყველა აქვ[illegible] განსხვავებული და თავისებური [illegible] ბა სოფელთან.

მიდორი და „ტერმიდორები" ტერიანელები, რობესპიერის მომხრენი, „ცოფიანები" ოპოზიცია

ყვანილი მოსაზრებანი ნათლად მტკიცებენ, რომ ორი რევოლიუციის მსგავსება" არის მეტად დიდი შეუბამობა, როგორც კი შეიძლება წარვიდგინოთ.

ჩვენ გვაქვს ორი პრინციპიალურად ანსხვავებული რევოლიუცია. ჩვენი ლიუცია საფრანგეთის დიდ რევოკიასთან შედარებით — რადიკალსხვაგვარია. იგი სხვა ეპოქაში მისი მამოძრავებელი ძალები რია; კლასები სხვაგვარია, სხვართიერთობაში იმყოფებიან; სხვა საერთაშორისო პირობები; საე, დაბრკოლებანი, წინააღმდეგო სხვაგვარი უნდა იყოს და მართსხვაგვარი ლაპარაკიც კი არ შება „ტერმიდორზე", რომელიც უშოდ გამოსახავს საფრანგეთის ისტულ ტერმიდორს.

გრამ თუ ასეთი პრიმიტიული, ორი რევოლიუციის პირობათა გაიგივე ანალოგია შეუსაბამობაა.—იქნებ აშვებია ორივე რევოლიუციის შეება პირობითად, იქნებ დასაშვებია აღება შედარებითი სახით, —ამასავე წინასწარ იქნას გათვალისწინეული ეპოქების და სოციალური პირობების სხვადასხვაობა, წვრილი ბურჟუაზიის ადგილას დასმულ იქნას პროლეტარიატი, იაკობინელთა ადგილას — ბოლშევიკები, რობესპიერის წვრილბურჟუაზიული დიქტატურის ადგილას —პროლეტარული დიქტატურა. იქნებ მეტად შედარებითი მნიშვნელობით ს კანონიერი დაისვას საკითხი „ტერდორზე", როგორც რეალურ საფრთხეზე, რომელიც მოელის პროლეტარულ დიქტატურას? თუ იაკობინურ წვრილბურჟუაზიულ დიქტატურის ის[illegible] ტერმიდორს ელის [illegible] რატომ არ შეიძლება, რომ „ტერმიანულ" ჩიხში მოემწყვდეს [illegible]იტარიატის დიქტატურა სა[illegible]?

გავერკვეთ ამაში.

უფრო ვულგარული წარმოდგენა ტერმიდორზე ისეთია, რომ ტერმიდორს აცხადებენ რევოლიუციის ყოვლად დამარცხების სინონიმად; მე-9 [illegible] იყო იაკობინური დიქტატურის დამარცხება; პროლეტარულ დიქტატურამაც შეიძლება განიცა[illegible] (ვსთქვათ, სამხედრო იმპერიალისტური [illegible] ანადურების გამო); მაშასადამე, [illegible] გველის „ტერმიდორი" [illegible] თავის თავად ცხადია, [illegible]ის ასეთი „განმარტება", [illegible] რომ ვსთქვათ, უაზრობაა. თქმა იმისა, რომ რევოლიუციის ყოველგვარი დამარცხება არის ტერმიდორი, „ღრმაზროვანი" „ჭეშმარიტების" წარმოსთქმას ნიშნავს: დამარცხება არის დამარცხება. ისტორია ჩვენ რევოლიუციის დამარცხების ბევრ მაგალითებს მოგვცემს. მაგრამ მხოლოდ გიჟ კრეტინს შეუძლია, რომ ყველა ამ დამარცხებებს „ტერმიდორი" უწოდოს.

ცხადია, რომ ამაში არ არის „უმთავრესი აზრი" ოპოზიციის მტკიცებისა ტერმიდორის შესახებ. ამგვარად, ეს ვულგარული ვარიანტი უვარგისია.

ტერმიდორის ანუ ტერმიდორიანული საფრთხის ჩვენი რევოლიუციის პირობებთან შეფარდების მეორე ვარიანტი ასეთია: ამბობენ რომ არ ნიშნავს ყოველგვარ დამარცხებას, მაგრამ იგი ნიშნავს „თანდათანობითი" დამარცხებას, ისტორიულ აგონიას, უბრალო თვალით შეუმჩნეველ „დაღუპვას"-ო (რობესპიერის - დიქტატურის დაღუპვა 1794 წ. საფრანგეთში; ჩვენში ეხლა, ოპოზიციის აზრით, ოქტომბრის რევოლიუცია „იღუპება"). და მართლაც, ხშირად სწორედ ამგვარად სახავენ ტერმიდორის „გზას". პროფესორ. უსტრიალოვმა სანტიმენტალურ ფერადებში დაასურათა ტერმიდორის გზა"; იგი ვრცლად შეეხო „აზროვნებისა და გრძნობის ევოლიუციას" დაწყებული სპარტანული იაკობინიზმიდან და გათავებული ბონაპარტისტული ცეზარიზმით, იდილიურ თანდათანობით მანერით ხატავს ტერმიდორს. ულტრამემარცხენე „კომუნიზმის დროშა"-ც. მოვიგონოთ ის ადგილი, სადაც ჩვენ მოვიყვანეთ ციტატა: „საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ტერმიდორიანელები ისევე დამარცხდენ კონტრევოლიუციისაგან, როგორც მათ ამაზე ადრე დაამარცხეს რევოლიუცია". მაშასადამე, ულტრამემარცხენეთა აზრით, მე-9 ტერმიდორი ჯერ კიდევ არ იყო რევოლიუციის დამარცხება, ტერმიდორიანელები ჯერ კიდევ არ იყვენ კონტ-რევოლიუციონერები. ოპოზიცია ამხ. ტროცკის კალსე აგვიწერს ტერმიდორს, როგორც ნდელი ბოლშევიკების" მშვიდო„გამემარჯვენებას", რომელნიც ჩნევლად დაექანენ ნაპოლეონისე ნეონეპისაკენ.

მაგრამ ტერმიდორის ასეთი მშვიდო ნ-თანდათანობითი განმარტება სრუ ო არ არის სწორი. ეს განმარტება რით ეწინააღმდეგება ნამდვილ დორს, ისტორიულ ფაქტებს და ქსისტულ ახსნას. ისტორიულ ორს საერთო არაფერი აქვს იანულ უსტრიალოვისებურ, ონურ აღწერასთან. ნამდვილად ტერმიდორი და მოვლენები, ც მას წინ უძღოდა და თან იყო გამწვავებული კლასობრივის და პარტიების ბრძოლის ა. ნამდვილად კი, მე-9 ტერ იყო არა მშვიდობიანი, არამედ მეტად „დრამატიული", ბურჟუაზიული კონტ-რევოლიუციის სისხლიანი აქტი წვრილბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული ისტორიკოსებიც კი (მათ შორის ოლარი) აღიარებენ, რომ ტერმიდორის ეპოქა იყო „თეთრი ტერორის" ეპოქა, წინააღმდეგ წითელი — იაკობინური ტერორისა. ტერმიდორიანული რეაქციის წინააღმდეგ ამხედრდა წვრილბურჟუაზიული არიბი ელემენტები და მაშინდელი მუშები. (პარიზი, ტულონი, აჯანყება ლოზუნგით: "პური და „მე-III წლის კონსტიტუცია" და სხ.). ასეთ სურათს არაფერი აქვს საერთო „მაშინდელ ბოლშევიკების" მშვიდობიან„გამემარჯვენებასთან". ბურჟუაზიული ტერმიდორის ადაქცევა თანდათანობით იდილიად ნიშნავს ისტორიის გაყალბებას, მის „რეტს" უკანა რიცხვით წვრილი ფრაქული ბრძოლის გამართლებისათვის.

გრამ რადგანაც ეს ასეა, მაშასადაარყოფილია მეორე „ვარიანტი": დორი, როგორც „თანდათანობიმარცხება.

ვარიანტი. ტერმიდორი, როდაგვარება". „ტერმიდორი" ფხელობით, ამ აზრით იხმარება ციის ყველა დოკუმენტებში, რებში, წერილებში, ლაპარაკ და ბრო

ში. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც აკვიატებული „ანალოგია" მარცხით თავდება.

გადაგვარების საფრთხე, უეჭველია, არის ჩვენი დიქტატურის გზაზე. ეს საფრთხე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, მას უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარი საშუალებით და ყოველი ძალღონით. ჩვენ ქვემოთ სპეციალურ თავში შევჩერდებით გადაგვარების საფრთხეზე, პროლეტარული დიქტატურის დაბრკოლებებზე, და დაუპირდაპირებთ ერთმანეთს პარტიისა და ოპოზიციის თვალსაზრისს ამ საკითხში. მანამ კი მოვიყვანთ ზოგად მოსაზრებებს იმის დასამტკიცებლად, რომ გადაგვარების საფრთხე, რომელიც მოელის ყოველგვარ პროლეტარულ დიქტატურას და „ტერმიდორის საფრთხე", არავითარ შემთხვევაში არ არის ერთი და იგივე.

უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ პროლეტარული დიქტატურის გადაგვარების რეალური საფრთხე დაკავშირებულია საწარმოო ძალების ზრდასთან, და იმ გარემოებასთან, რომ საწარმოო ძალთა ზრდის ფორმა არ არის სასარგებლო პროლეტარიატისათვის (კულაკი, კერძო კაპიტალი). გადაგვარების პრობლემას ჩვენ კონკრეტიულად ვსვამთ, როგორც სამეურნეო **ზრდის** სიძნელეთა პრობლემას. ამასთან ერთად ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ტერმიდორს ადგილი ქონდა სამეურნეო **დაცემის** ნიადაგზე. სწორედ ამიტომაც ანალოგია 1927 წ. და 1794 წ. შორის, ვერ აღწევს მიზანს.

მაგრამ ყველაზე უფრო მთავარი რამ მდგომარეობს იმაში, რომ საფრანგეთის მე-XVIII საუკუნის **ტერმიდორი** სრულიად **არ იყო გადაგვარება.** როცა ჩვენ ვსვამთ საკითხს პროლეტარული დიქტატურის გადაგვარების შესახებ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ პროლეტარიატი, მის მეთაურთა, მის ხელმძღვანელ ორგანოთა, მებრძოლ კადრთა სახით, **ბურჟუავდება, წვრილბურჟუავდება, „მეშჩანდება"** და სხ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ გადაგვარებას განიცდის, ე. ი. სხვაგვარ კლასობრივ სახეს იღებს, მთელი სოციალურ - ეკონომიურ ორგანიზმი. დაბოლოს, როცა ვლაპარაკობთ „გადაგვარებაზე" ან „გადაშენებაზე" ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ადგილი აქვს სოციალუ - ეკონომიურ **რეგრესს,** რომ საზოგადოება **უმაღლესი** სამეურნეო ორგანიზაციიდან (სოციალისტური) გადადის **უმდაბლეს** (ბურჟუაზიული ან რომელიმე სხვა ექსპლოატატორული) ორგანიზაციაზე. მაგრამ როცა წვრილი ბურჟუაზია „ბურჟუავდება", ე. ი. იქცევა მსხვილ ბურჟუაზიად, ეს არის **არა გადაგვარება, არამედ ნორმალური განვითარება,** ეს არის სოციალურ-ეკონომიური **პროგრესი.** ტერმიდორი გამოხატავდა საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის მსხვილი ბურჟუაზიის წინაშე უკან დახევის ფაქტს, **დაბალი** სამეურნეო პრინციპის **მაღალ** სამეურნეო პრინციპის წინაშე უკან დახევის ფაქტს. წვრილბურჟუაზიული ეკონომიკის **კაპიტალისტური** ეკონომიკისათვის დამორჩილების ფაქტს. ტერმიდორი, სოციალურ-სამეურნეო თვალსაზრისით იყო წინსვლა, და არა გადაგვარება, თუმცა **პოლიტიკურად** იგი ნიშნავდა **რეაქციას.** ეს იყო ერთი წინააღმდეგობათაგანი, რომელშიაც ჩაიხჩო იაკობინური დიქტატურა. რობესპიერის დასჯა გილიოტინით არ გამოხატავდა გადაგვარებას. ტერმიდორი არ იყო გადაგვარება. აი, ამიტომ უარყოფილი უნდა იქნას ეს ანალოგიაც: ტერმიდორი — გადაგვარების საფრთხე.

რამდენადაც ეს ასეა, შეიძლება წინასწარ ვივარაუდოთ, რომ უაზრო აღმოჩნდება **მეოთხე** ანალოგიაც; ეს ანალოგია მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს შინაპარტიული ურთიერთობა საკავშირო კომპარტიაში 1927 წ. შეიძლება „დავამსგავსოთ" პარტიულ-ჯგუფობრივ ურთიერთობას კონვენტში 1794 წელში. მართლაც, ოპოზიცია ჩვენს შინაპარტიულ მექანიკას „ამსგავსებს" **ტერმიდორის მექანიკას,** 1927 წლის პოლიტიკური ივლისი — 1794 წ. პოლიტიკური ივლისი.

დაუჯეროთ ოპოზიციონერებს და მათი რჩევის მიხედვით, საკავშირო კომპარტიის წევრები და ცეკას წევრები გამოვაწყოთ მე-XVIII საუკუნის დასასრულის ფრანგულ ტანსაცმელში. დავიცვათ თანმიმდევრობა და ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

ოპოზიცია პარტიას ბრალს სდებს ტერმიდორიანობაში, საკავშირო კომპარტიის ცეკას სთვლიან ტერმიდორიანულად, ცეკას მომხრეებს უწოდებენ ტერმიდორიანელებს.

მაგრამ თუ ცეკას მომხრენი არიან ტერმიდორიანელები, მაშინ ოპოზიცია, — ხომ მართალია? — გამოდის რობესპიერის მომხრეთა როლში. „ანალოგია" თითქმის მზად არის. მაგრამ საჭიროა ერთი წუთით დავფიქრდეთ ამაზე, და ეს ანალოგია მყისვე ჰაერში ჩამოეკიდება. ვინაიდან რობესპიერის დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ იგი იყო **ხელისუფლების სათავეში,** მას ეჭირა ხელმძღვანელობის საჭე. რობესპიერი **არ იყო ოპოზიცია.** პირიქით, რობესპიერის „ტირანიის" წინააღმდეგ ილაშქრებდა „ჭაობი" და კონვენტის მემარჯვენე და მემარცხენე ნაწილი. თვითონ რობესპიერი დაუნდობლად ებრძოდა ოპოზიციას, მაშინდელ, — უწოდოთ მას ოპოზიციონურად, — „ფრაქციებს" და „ჯგუფებს". ამ ბრძოლის ერთი აქტი იყო 22 პრერიალის მძინვარე ტერორისტული აქტი. სამწუხარო მდგომარეობა იქნებოდა ოპოზიციონერებისათვის. ისინი ვერ „შეედრებიან" რობესპიერის მომხრეებს, თუ ისინი დარჩებიან იმათ, რაც არიან, ე. ი. **ოპოზიციად.** მაგრამ თუ ასე, თუ ოპოზიციონერები არ არიან რობესპიერის მომხრენი, მაშინ ცეკას მომხრენი არ არიან ტერმიდორიანელები.

მაგრამ იქნებ ოპოზიციისათვის უფრო სასიამოვნოა „შეედაროს" არა რობესპიერს (რომელიც არ იყო მემარცხენე) არამედ კონვენტის მემარცხენე ნაწილს და „ცოფიანებს". დავაკმაყოფილოთ მისი სურვილი. მაგრამ აქაც საჭიროა თანმიმდევრობა. თუ ანალოგიაა, ანალოგია უნდა იყოს ბოლომდე! თუ ოპოზიცია არის — „მემარცხენენი" და „ცოფიანები", „მაშინ, — ხომ მართალია" ცეკას მომხრენი არიან რობესპიერის მომხრენი. მაგრამ როგორ? როგორ შეიძლება, რომ ისინი ერთ და იმავე დროს იყვენ „ტერმიდორიანელები"?! თუ ჩვენი ცეკა არის „რობესპიერული", მაშინვე **იხსნება** ბრალდება მისი ტერმიდორიანობის შესახებ.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის. „პასაჟი" კიდევ უფრო მეტად სკანდალურია. მართლაც. ჩვენ დაუშვით, რომ ჩვენი ოპოზიციონერები **არიან — „მემარცხენეები"** და „ცოფიანები",*) ხოლო რობესპიერის მომხრენი არიან ცეკას მომხრენი. მაგრამ **ვინ ჩამოაგდო** რობესპიერი? კონვენტის ჭაობმა — „ტერმიდორიანელებმა"? დიახ, მან ჩამოაგდო. მაგრამ **არა მარტო მან.** ბრძანება რობესპიერის დაპატიმრების შესახებ გაიდა მემარჯვენეთა. ჭაობის და მემარცხენე რადიკალ იაკობინელების. სიკვდილით დასჯილ ჰებერტისტების მომხრეთა ხმებით. **მემარცხენენი დაეხმარენ ტერმიდორიანელებს.** ამასთან ერთად დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთმა **პარიზის რადიკალურმა** სექციამ, რომელიც „ცოფიანთა" დასაყრდენს **წარმოადგენდა, გრავილიერების სექციამ გაილაშქრა აჯანყების წინააღმდეგ** რობესპიერის დასაცავად და მხარი დაუჭირა **ტერმიდორიანულ კონვენტს!** სხვანაირად, რომ ვსთქვათ, თუ ოპოზიცია თავის თავს „ამსგავსებს" მემარცხენეებს, მაშინ იგი 1794 წ. ისტორიულ გეგმაში **ტერმიდორიანული** გამოდის.

ორში ერთი:

ან ოპოზიციას სურს შეიმოსოს რობესპიერის სამოსელში. მაშინ მან უნდა უარჰყოს თავისი თავი. დაკეცოს ოპოზიციონური დროშა და დაბრუნდეს მთლიანი პარტიის წიაღში.

ან ოპოზიციას სურს შეედაროს კონვენტის მემარცხენე ნაწილს. მაგრამ საეჭვო „ტერმიდორის სუნი" გამოდის თვით მისგან, და მაშინ იგი ვარდება უნტერ-ოფიცერის ცოლის სავალალო მდგომარეობაში, რომელმაც თავისი თავი თვითონ გაასამართლა.

ან უკანასკნელი, ერთად ერთი სწორი გამოსავალი არის: თავი უნდა დაანებონ მენშევიკურ გორასკოპზე თამაშს, უნდა შესწყვიტონ მთელი ეს ლაპარაკი ტერმიდორის შესახებ.

7. იყო თუ არა ოქტომბრის რევოლიუცია სოციალისტური?! ტროცკი და „ნეონეპი"

მაშასადამე, ოთხივე დებულება შემცდარი აღმოჩნდა. ტერმიდორი — დამარცხება; ტერმიდორი — თანდათანობითი დამარცხება; ტერმიდორი — „გადაგვარება"; ტერმიდორის მექანიკა-პოლიტიკური ბრძოლის მექანიკა საკავშირო კომპარტიაში 1927 წ. — ყველა ეს ანალოგიები აღმოჩნდა უმეცრული, უაზრო, უსუსური, მარქსისტული თვალსაზრისით.

არის მხოლოდ ერთად ერთი გზა, რომელზედაც ანალოგიას ტერმიდორთან ერთგვარი შედარებითი მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის **მენშევიზმის გზა,** რომელიც დაკავშირებულია ოქტომბრის ცნობასთან — „მაინც" **ბურჟუაზიული რევოლიუციასთან.**

ამისთვის საჭირო არ არის, რომ ჩვენი რევოლიუცია გამოვაცხადოთ საფრანგეთის დიდ რევოლიუციის განმეორებად. ამისათვის საჭიროა, რომ ეს „მსგავსება" ცნობილ იქნას მხოლოდ და მხოლოდ შედარებითად, თუნდაც ათასი შენიშვნით.

„მსგავსება" ასეთია:

იაკობინური დიქტატურის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მან უშიშრად პლებეიური მეთოდებით დააშინა და თავის წინააღმდეგ აამხედრა მაშინდელი ბურჟუაზია და ამასთანავე ძირიან-ფესვიანად აღგავა ძველი ფეოდალური წესწყობილება. მაგრამ როცა ეს მოახდინა, განზე გადგა და კარები გაუღო ეკონომიურად უფრო პროგრესიულ მსხვილ ბურჟუაზიას.

ჩვენი რევოლიუციის აზრი, — ამტკიცებენ მენშევიკები, — მიუხედავად „ბოლშევიკური დიქტატურისა", ანალოგიურია. საბჭოთა კავშირში, რომელიც „მოუმწიფებელია" სოციალისტური რევოლიუციისათვის, ასევე აუცილებლად ეხჩება **ტერმიდორიანულ ჩიხში.**

თუ ჩვენი პროლეტარიატი არ მომწიფებულა სოციალისტური რევოლიუციისათვის, თუ მან „ადრე" აიღო ძალაუფლება; თუ ჩვენს ქვეყანაში არ არის სამეურნეო - ტეხნიკური წინასწარი პირობები სოციალიზმის აღმშენებლობისათვის, — მაშინ როგორი „ისტორიული მისია" უნდა ქონდეს ჩვენს დიქტატურას? პროლეტარიატი იღებს ხელში ძალაუფლებას; ახორციელებს რევოლიუციონურ დიქტატურას; ქვეყანას არჩენს თეთრებისაგან და უცხოეთის ინტერვენციისაგან; ძირიან-ფესვიანად ანადგურებს ბატონ-ყმურ ნაშთებს. მთელს ძველს რეჟიმს, სავსებით ანგრევს ფეოდალურ წესებს. ძველის ნგრევასთან ერთად პროლეტარიატი მიაბიჯებს წინ, გაცილებით უფრო წინ, ვიდრე იაკობინელები; იგი სცდილობს სოციალიზმის დამყარებას, გულმოდგინეთ უწყობს ხელს სოციალისტური მეურნეობის „ობიექტიურად მოუმწიფებელ ყლორტებს, ვაი, რომ იგი ამით აწარმოებს მხოლოთ **ეკონომიურად რეაქციონურ** პოლიტიკას, რომელიც აბრკოლებს საწარმოო ძალთა განვითარებას, იმგვარადვე, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის იაკობინელები იყვენ ეკონომიურად რეაქციონერები დადებით პროგრამაში. მოუმწიფებელ პროლეტარიატს არ შეუძლია შეუდგეს ნამდვილი „სოციალისტური წარმოების მოწყობას", მას ჯერ კიდევ არ ძალუძს უმაღლესი სოციალისტური პრინციპის განხორციელება, იგი ჩიავდება ტეხნიკურ - ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო და გზას უთმობს ბურჟუაზიას, რომელიც **უმაღლეს** სამეურნეო პრინციპს ანსახიერებს ამ ეპოქისათვის. „მომწიფებული" ბურჟუაზია უფრო ძლიერი გამოდის, ვიდრე „მოუმწიფებული" პროლეტარიატი. პროლეტარული დიქტატურა ეჩხება **„ტერმიდორს",** რომელიც ნიშნავს „მოუმწიფებელი" და ამიტომ ჩამორჩენილი პროლეტარიატის უკანდახევას სამეურნეო მხრივ მომწიფებული და მომქმედი მსხვილი ბურჟუაზიის წინაშე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა მართლა „ძალიან ადრე" აიღო ძალაუფლება ოქტომბერში, მაშინ შეიძლება პარალელის გატარება ჩვენი რევოლიუციისა და საფრანგეთის დიდი რევოლიუციის შორის. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის სწორი ოპოზიციის მთელ აურ-ზაური. ამ შემთხვევაში ტერმიდორის გამო მართლაც უნდა ჩამოვრეკოთ ყველა ზარები, „გავაფრთხილოთ" ამის შესახებ პარტია, მივსცეთ საშიში „სიგნალები". ველოდოთ მის აუცილებელ მოსვლას.

ამის აღიარება ნიშნავს ჩვენი რევოლიუციის „ობიექტიურად" **ბურჟუაზიული** ხასიათის აღიარებას. მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ოქტომბრის გადატრიალება „საბოლოო ინსტანციაში" იყო **არა სოციალისტური გადატრიალება,** არამედ მსოფლიო ომის „ტრაღიკული შედეგი". მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ **მართალი იყო** სოციალ - დემოკრატია ბოლშევიკური „უტოპიზმის" კრიტიკაში. მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი რევოლიუცია არ არის სოციალისტური რევოლიუცია.

აქამდე უკვე მივიდა, ეს უკვე აშკარად სთქვა „მამაცმა" საპრონოვმა. ტროცკისტულმა ოპოზიციამ „დაილაპარაკა" ტერმიდორზე, მაგრამ ვერ ბედავს კიდევ აშკარად „დაილაპარაკოს" „სავალალო" სიტყვები ოქტომბერზე, მაგრამ იგი ამისაკენ მიდის, მიდის აჩქარებული ნაბიჯებით. მხოლოდ არათანმიმდევრობა,—რომელიც უდიდესი ნაკლია პოლიტიკაში,—უშლის მას ხელს, რომ ანის თქმის შემდეგ („ვიღუპებით ტეხნიკურ - ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო" — ტერმიდორის „სუნი სდგას"), სთქვას ბანი (ჩვენი რევოლიუცია **ბურჟუაზიულია**). თუ იგი ტერმიდორზე ლაპარაკობს, როგორც რეალურ საფრთხეზე, როგორც მომხდარ ფაქტზე, თუ იგი ამაში სინდისის ქვეშ დარწმუნებულია, მაშინ **ნამდვილი თვალთმაქცობა,** ცარიელი სიტყვებია მისი აღიარებანი იმის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლიუცია სოციალისტური ხასიათისაა, რომ ჩვენი ხელისუფლება პროლეტარული ხასიათისაა. ტერმიდორის შესახებ ძახილი და ამავე დროს ჩვენი რევოლიუციის სოციალისტური ხასიათის აღიარება ნიშნავს შენიღბულ თაღლითობას ბოლშევიკების წინაშე.

„ანალოგია" ტერმიდორთან უკვე არის გადახრა, ეს აშკარა **დაქანებაა მენშევიზმისაკენ.**

ოპოზიციას ჩვევია ხანდახან გაკვირვებით შემოგვეკითხოს „დიახ, ჩვენ, ოპოზიცია, არ ვეთანხმებით პარტიას, შეიძლება ვცდებით კიდეც რამეში, მაგრამ რა არის აქ სოციალ - დემოკრატიული? ამ გულუბრყვილო კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი ჩვენი თემის ფარგლებშიაც.

აი მთელი ეს „საფრანგეთის დიდი" ანალოგია, მთელი ხმაური ტერმიდორის გარშემო, ჩვენ მიერ ბოლშევიკურ პარტიისათვის ტერმიდორიანობაში ბრალის დადება — განა არ არის ეს ნამდვილი, შეუფერავი, სოციალ - დემოკრატიზმი? ჩვენი არ გჯერათ? — ჩაიხედეთ მაშინ სარკეში, წაიკითხეთ „სოციალისტური ვესტნიკი", ჰკითხეთ დალინებს, დანებს, აბრამოვიჩებს, — ისინი გეტყვიან, რა არის ამაში „მათი", ნამდვილი სოციალ - დემოკრატიული! მათ ხომ დიდი ხანია იმღერეს ტერმიდორის სიმღერა.

მაგრამ თუ მართალი არიან ისინი, თუ რევოლიუცია განწირულია ტერმიდორისათვის, თუ ეს სიმღერა „ეხმატკბილება ეპოქას", მაშინ მართალი არ არიან ბოლშევიკები. **მაშინ მართალია მარტოვი, და არა ლენინი!** მაშინ დიადი ისტორიული შემოწმება გადაწყვეტილია მენშევიზმის, და არა ბოლშევიზმის სასარგებლოდ. მაშინ სასწავლად, თავის მოსახრელად, უნდა წავიდეთ მენშევიკებთან. სხვა გამოსავალი ოპოზიციისათვის არ არსებობს: **ან ბოლშევიზმი, ან მენშევიზმი!**

თუ რამდენად აურია გზა-კვალი მენშევიკურმა „ეშმაკმა" ჩვენს ოპოზიციას, ამას გვიჩვენებს ერთი საინტერესო გარემოება. ოპოზიციას სავსებით სწორად მიაჩნია ჩვენი რევოლიუციის აღწერა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის „ეტაპების მიხედვით". ოპოზიციას მიაჩნია, რომ ჩვენი რევოლიუციის ძირითად ეტაპებთან, მის წარსულში და მის შესაძლებელ პერსპექტივაში, რამოდენიმედ შეფარდებული და სიმეტრიულია საფრანგეთის დიდი რევოლიუციის სათანადო ეტაპები.

ამხ. **ტროცკის** სახით ოპოზიციამ განაცხადა, რომ „ნეონეპს", რომელიც ჩვენ გვემუქრება, საფრანგეთის ისტორიაში შეეფერება „ნაპოლეონის ეტაპი"; სწორედ „ნეონეპის ეტაპი", რომლისკენაც ვითომ მიდის პარტია, არის „ნაპოლეონის ეტაპი".

„მათ (ტერმიდორიანებს. **დ. მ.**) მიაჩნდათ, რომ რევოლიუციის გამარჯვების გზაზე სდგანან „რამოდენიმე ცალკე პირთა ინტერესები", მათ არ ესმოდათ, რომ ეს „ცალკე პირები" გამოხატავდენ მაშინდელი დროის ქვედა ფენების რევოლიუციონურ სტიქიას. ეს „რამოდენიმე პირი" გამოხატავდა იმ სტიქიას, რომელიც მიდიოდა **„ნეონეპის" წინააღმდეგ, ნაპოლეონის წინააღმდეგ.**

ერთი შეხედვით გეჩვენება, რომ მთელი ეს „აღწერა ეტაპების მიხედვით" და „ნეონეპის" მიმსგავსება ნაპოლეონისათვის — წარმოადგენს მეტისმეტად გულუბრყვილო ვარჯიშობას გონებამახვილობაში. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ეს „ბოროტი" აზრით არის აღსავსე.

გავყვეთ ამხ. **ტროცკის** და აღვწეროთ ჩვენი რევოლიუცია საფრანგეთის დიდ რევოლიუციის ეტაპების მიხედვით. მაგრამ შევხედოთ, როგორ სავალდებულო პოლიტიკურ დასკვნებს მივიღებთ ამ ყალბ ანალოგიიდან.

ავიღოთ ორივე რევოლიუციის უფრო „სიმეტრიული" ეტაპები. **ეტაპი პირველი.** ჩვენთან — თებერვლის რევოლიუცია; საფრანგეთის დიდ რევოლიუციაში მას, როგორც სჩანს, „შეეფერებიან" მოძრაობის პირველი ეტაპები. რევოლიუციონური „გაზაფხული", ნაციონალურ და საკანონმდებლო კრებათა ხანა. **მეორე დიდი ეტაპი.** ჩვენთან — ოქტომბრის გადატრიალება და სამხედრო კომუნიზმი; საფრანგეთში — მონტანიარების ბატონობა კონვენტიდან ჟირონდისტების განდევნის მომენტიდან, წვრილბურჟუაზიულ რევოლიუციონურ დიქტატურის ხანა. თავისებური საინფლიაციო სამხედრო - განმანაწილებელი მეურნეობა (ფასების მოწესრიგება და სხვ.), რომელთაც აქვთ მთელი რიგი ფორმალურად მგზავსი ნიშნები ჩვენს სამხედრო კომუნიზმის ხანასთან. **ეტაპი მესამე.** საფრანგეთში — ტერმიდორი. თუ რა „უნდა შეეფერებოდეს" მას ჩვენთან — ეს ჯერ-ჯერობით კითხვის ქვეშ დავტოვოთ. **ეტაპი მეოთხე.** საფრანგეთში — ნაპოლეონის ხანა; ჩვენთან მას, როგორც განმარტა ამხ. ტროცკიმ, შეეფერება „ნეონეპის" ხანა, რომლისკენაც მიგვყავართ ცეკას „დამღუპველ" პოლიტიკას.

რაღა „უნდა შეეფერებოდეს" ასეთ შემთხვევაში ჩვენთან საფრანგეთის დიდი რევოლიუციის **ტერმიდორიანულ ეტაპს,** რა არის **მისი** პარალელური და სიმეტრიული? აბსოლიუტიურად აშკარაა — ეს არის **ნეპი.** თუ ნაპოლეონის ეტაპის „ანალოგს" წარმოადგენს „ნეონეპი", ტერმიდორის „ანალოგს" წარმოადგენს **ნეპი,** რომელიც ჩვენს ისტორიაში, ოპოზიციის სქემით, ნეონეპის წინამორბედია. ესე იგი, ნეპი სიმეტრიულია ტერმიდორი, **ნეპი** — ეს არის **თავისებური ტერმიდორი,** „ნეპოტერმიდორი" როგორც ოხუნჯობენ მენშევიკები. გამოდის, რომ ისევ მართალი იყო **მარტოვი, და არა ლენინი;** მაშ მართალი ყოფილა, რომ ჩვენ „ეკონომიურ ტერმიდორიდან მივდივართ პოლიტიკურ XVIII ბრიუმერისაკენ" (მარტოვი), ნეონეპისაკენ, „ნაპოლეონის ეტაპისაკენ". გამოდის რომ ნეპი მართლაც წარმოადგენს უკანდახევას... ნაპოლეონისაკენ. და თუ ნეპი არის ტერმიდორი, ყველა მწუხარეთა „ანალოგია" საბედისწეროდ უნდა გავრძელდეს. **ლენინი,** რომელმაც „შემოიღო" ნეპი, ყოფილა... **ტერმიდორიანელი!** ოპოზიცია ისევ ებმება უსტრიალოვ - მარტოვის თაგვის მახეში.

* *

მაგრამ ტერმიდორის მთელი ამ მენშევიკურ - ოპოზიციონურ ფილოსოფიიდან აუცილებლად გამოყვანილი იქნას პოლიტიკური დასკვნები, რომლების გამოყვანას ვერ ბედავს ოპოზიცია, მაგრამ რომლებიც დიდი ხანია გამოიყვანა მენშევიზმმა. ვინაიდან თუ პარტიისადმი წაყენებულია ბრალდება ტერმიდორიანობაში, თუ ჩვენი ცეკა ითვლება ტერმიდორიანულ ცეკად — საკავშირო კომპარტიისა და მის ცეკას წინააღმდეგ საჭიროა **ულმობელი ბრძოლა.** თუ სახელმწიფოს მართავს „ტერმიდორიანული" (ე. ი. კონტ-რევოლიუციონური) პარტია, როგორღა შეიძლება ამ სახელმწიფოს დაცვა? ასეთ სახელმწიფოს დაცვა შეუძლებელია. მას უნდა ვუსურვოთ **დამარცხება.** მის წინააღმდეგ უნდა ავჯანყდეთ. გავახსენოთ, როგორ აჯანყდა პარიზის ღარიბი მოსახლეობა ტერმიდორიანელების.

მენშევიკური თეორიას მიჰყავართ მენშევიკურ პრაქტიკაზე. „ანალოგიის" ლოღიკა მომაკვდინებელი აღმოჩნდა. ოპოზიცია ყველა მუშტებს ურახუნებს მენშევიკების კარებს.

ვიმეორებთ, ტერმიდორის საკითხი — არ არის „წვრილმანი", არ არის „აკადემიური" საკითხი. ის ოპოზიციის მიერ დასმულია **პოლიტიკურად.** ტერმიდორის საკითხში. როგორც წყლის წვეთში, ისახება მთელი ტროცკისტულ - ოპოზიციონური ფილოსოფია ჩვენი რევოლიუციისა (პერმანენტულ რევოლიუციის თეორია — ვიღუპებით ტეხნიკური ჩამორჩენილობის გამო: ჩვენი რევოლიუცია ბურჟუაზიულია, — უკან ვიხევით ტერმიდორისაკენ!). ეს ფილოსოფია გადაჭრით უნდა იქნეს უკუგდებული, ვინაიდან პარტიას ეჭვი არ შესდის ლენინის გზის სისწორეში, ეჭვი არ შესდის იმაში, რომ ჩვენი რევოლიუცია სოციალისტურია, იმაში, რომ ჩვენ არ ვიღუპებით ტეხნიკურ ჩამორჩენილობის გამო, რომ ჩვენ გვაქვს ყველა შანსები გამარჯვებისათვის. ტერმიდორიანული ანალოგია უნდა მოვიცილოთ, როგორც **სრულიად უაზრო.** მხოლოდ მასლეტიზმით გატაცებულ პოლიტიკურ ეკლეკტიკოსებს შეუძლიათ „იმკითხაონ" ოქტომბრის მომავლის შესახებ და იმ მიზნით გამოიწვიონ მე-18 საუკუნის სულები.

ტერმიდორის „ანალოგია" ყველა კეთილსინდისიერ „გზადაბნეულ" ოპოზიციონერების წინაშე გარკვეულად აყენებს კითხვას **არჩევანის შესახებ.** ვის უნდა გაჰყვენ, ვინ არის მართალი?

ოპოზიციონური მკითხავები თუ პარტია?

ბოლშევიზმი თუ მენშევიზმი?

ლენინიზმი თუ ტროცკიზმი?

ლენინი თუ მარტოვი?

ან მართალია **მარტოვი** — და მაშინ გაუმარჯოს „ტერმიდორიანულ" ანალოგიას; ან მართალია **ლენინი** — და მაშინ ჯანდაბას მთელი ის მენშევიკური ანალოგია!

ასე და **მხოლოდ** ასე სდგას კითხვა.

(შემდეგი იქნება)

დ. მარეცკი.

---

*) ხუმრობისათვის ვაფრთხილებთ ოპოზიციას, რომ მისი „თვითშედარება" „ცოფიანებთან" ვერ გამოდის კარგად. „ცოფიანების" ბელადები ჟაკ რუ, წინააღმდეგ ჩვენი ოპოზიციისა, იყო ფასების დაკლების მომხრე და იბრძოდა ინფლიაციის წინააღმდეგ!

ჟენევის საზღვაოს დახურვა

ერთმანეთს აკისრებენ პასუხისმგებლობას

ბერლინი, 5 აგვისტო. სამთა კონფერენციის 4 აგვისტოს სხდომაზე გადაწყდა კონფერენციის გადადება განუსაზღვრელ ვადით. დელეგაციის ხელმძღვანელებმა განუმარტეს თავის მთავრობებს შეხედულებები და **ერთი მეორეს აკისრებენ პასუხისმგებლობას კონფერენციის დამარცხებაში.** დელეგაციების ხელმძღვანელთა გამოსვლის შემდეგ, ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარემ **გიბსონმა** გამოაქვეყნა ყველა დელეგაციების მიერ მიღებული დეკლარაცია, რომელიც კონფერენციის დადგენილებით ოფიციალურად იქნა ჩათვლილი. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებში კონფერენციამ მიაღწია დროებით შეთანხმებას. შემდეგ მოკლედ არის გაშუქებული სხვადასხვა დელეგაციების თვალსაზრისი და აღნიშნულია, რომ **კონფერენციის დამარცხება გამოიწვია ინგლისისა და ამერიკის შეუთანხმებლობამ კრეისერებისა და მათი შეიარაღების საკითხში.** დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ, დაიხურა კონფერენციის სხდომა, რომელიც ერთ საათზე ცოტა მეტს გაგრძელდა.

ამით ფორმალურად დასრულდა განიარაღების სამთა კონფერენცია. **გერმანულ გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები აღნიშნავენ ინგლისისა და ამერიკის სამხედრო მრეწველობის წარმომადგენელთა აქტივობის გაძლიერებას, რომლებმაც ხელი შეუწყვეს კონფერენციის დამარცხებას.** (ადს).

ახალი საზღვაოს იმედი

ლონდონი, 5 აგვისტო. ინგლისური გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ საზღვაო კონფერენციის დახურვას ჟენევაში და ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ ადრევე შეიძლებოდა კონფერენციის ჩაშლის წინასწარმეტყველება. კონსერვატიული „ტაიმსი" ხაზს უსვამს იმას, რომ კონფერენცია გადადებულია და არა ჩაშლილი, და გამოსთქვამს იმედს, რომ კონფერენცია განახლდება. (ადს).

ინგლისის მუშებს სურთ

დელეგაციის გამოგზავნა საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 5 აგვისტო. „სედნეი უორკერ" აქვეყნებს ინტერვიუს დევისთან სამხრეთ-უელსის მემაღაროეთა, (მემარცხენე, ბელადი სრულიად ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის წევრი), რომელშიც დევისი ენერგიულად იცავს წინადადებას ოქტომბრის ათის წლის თავისათვის საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გაგზავნის შესახებ. დელეგაცია მუშების მიერ უნდა იქნას არჩეული. დევისი წინადადებას იძლევა, რომ ადგილებზე მოწვეულ იქნეს მუშათა ყველა ორგანიზაციების კონფერენცია საბჭოთა კავშირში გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად. რაც შეეხება ფინანსიურ საშუალებებს, დევისი წინადადებას იძლევა, რომ „სენდეი უორკერ"-მა დაიწყოს შემოწირულებათა შეგროვება, დელეგაციის გაგზავნისათვის, დევისი აუცილებლად სთვლის საორგანიზაციო კომიტეტის შექმნას.

ვენის ამბების შემდეგ

ავსტრიის ბურჟუაზია იარაღდება

ვენა, 5 აგვისტო. რეაქციონური ორგანიზაციების მოწყობა და მათი შეიარაღება გრძელდება. ვენაში აწარმოებენ მიღებას ბურჟუაზიულ „სამოქალაქო გვარდიაში". „აბენდ"-ის ცნობით, ტიროლის მთავრობის მეთაური შტუმპფი სახელმწიფო ხარჯზე აწარმოებს ფართე კამპანიას „სამოქალაქო თავდაცვის" რეაქციონური ორგანიზაციის სასარგებლოდ და მოუწოდებს გლეხებს ამ ორგანიზაციაში შესასვლელათ. ტიროლის ყველა ბურჟუაზიული გაზეთებიც ბეჭდავენ თავის ფურცლებზე მოწოდებას ამ ორგანიზაციაში შესვლის შესახებ. „სამოქალაქო თავდაცვის" ხელმძღვანელები ადგენენ პროფკავშირთა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელი მუშაკების „შავ სიას". (ადს).

დახმარება ვენის ამბების მსხვერპლთა ბავშვებს

ვენა, 5 აგვისტო. 4 აგვისტოს ბერლინში გაიგზავნება 40 ბავშვი—15—16 ივლის მომხდარ ამბების დროს დახოცილ მუშების შვილები. ბავშვებს აგზავნის რემედასი.

ვენის პოლიციამ აკრძალა კომუნისტების კრებები

ვენა, 5 აგვისტო. ვენის პოლიციამ აკრძალა მეორე კრების მოწვევა, რომელსაც აწყობდა ავსტრიის კომპარტია ომის საშიშროებასთან ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ. (ადს).

ამერიკა პრეზიდენტის არჩევნების მოლოდინში

ფასიან ქაღალდების დაცემა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. კულიჯის განცხადებამ, რომ ის „არ ცდილობს" კვლავ იქნეს არჩეული პრეზიდენტად მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატების საფონდო ბირჟაზე გამოიწვია ფასიან ქაღალდების კურსის სწრაფი დაცემა. ფასიან ქაღალდების დიდი რაოდენობით შეძენის წყალობით ბანკებმა შესძლეს ფასიან ქაღალდების კურსის წინანდელ დონემდე აწევა. დემოკრატები და პროგრესიული რესპუბლიკანელები, და აგრეთვე კულიჯის მოსალოდნელი მოქიშპენი რესპუბლიკანელების რეაქციონურ ფრთიდან, მომავალ არჩევნებში კულიჯის კანდიდატურის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ კულიჯის გადაწყვეტილება საბოლოოა. პრესა ერთხმად ამტკიცებს, რომ ყველაზე უფრო ძლიერი კანდიდატი პრეზიდენტის ადგილზე ამჟამად გუვერია. (ადს).

ამერიკის პროფკავშირების დელეგაცია

მოემგზავრება საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 5 აგვისტო. ჩამოვიდა ამერიკის პროფკავშირების დელეგაცია, რომელიც მიემგზავრება საბჭოთა კავშირში. დელეგაციის თავმჯდომარე მაურერმა განაცხადა, რომ დელეგაცია საბჭოთა მთავრობას არ მიუწვევია.

„მე მაინც ვფიქრობ,—განაცხადა მაურერმა,— რომ დელეგაციას კარგად შეხვდებიან და თავისუფალი მგზავრობის ნებას მისცემენ საბჭოთა კავშირში". (ადს).

საბჭ. კავშირი და უცხოეთი

ცდილობენ ლიკვიდაცია მოუხდინონ კონფლიქტს

ვენა, 5 აგვისტო. მთავრობასთან ახლო მდგომი „შტუნდე" უძღვნის წერილს ავსტრია - საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. გაზეთი სწერს: „ავსტრიის [illegible] იქნებოდა შე[illegible]ლახული, რომ ავსტრია - საბჭოთა კავშირის ინციდენტი ამოწურულიყო ავსტრიის მთავრობის ლოიალური განმარტებებით. ლანგიელის და რაპპორტის დაპატიმრება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის უფლებების დარღვევას. ამ მოვლენის აშკარა ცნობა, არავითარ შემთხვევაში არ დაამცირებდა ავსტრიის მთავრობის ავტორიტეტს".

პარლამენტის წრეების ცნობებით დაიწყო დაწვრილებითი მოლაპარაკება ზეიპელის და ზეიცს შორის, ავსტრია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ. (ადს).

„ლენა გოლდფილდსი" საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 5 აგვისტო. „ლენა გოლდფილდს"-ის სააქციო კომპანიის მეპაეთა კრებაზე, კომპანიის თავმჯდომარემ გერბერტ გვედალამ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ განაცხადა: „მე მახარებს განცხადება, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩვენს შორის მეტად მეგობრული ურთიერთობა არსებობს. საბჭოთა მთავრობა ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის სავაჭრო და ფინანსიურ ვალდებულებას" (ადს).

ამხ. დავითიანი

საბჭოთა წარმომადგენელი სპარსეთში

მოსკოვი, 6 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: განთავისუფლოს ამხ. იურენევი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან სპარსეთში და დანიშნოს ამ თანამდებობაზე ამხ. დავთიანი. ა(დს).

თავდასხმა

საფრანგეთის კომპარტიის ცეკაზე

პარიზი, 5 აგვისტო. პოლიციამ იმ მიზნით, რომ დაეპატიმრებია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ტორესი, რომელსაც მისჯილი აქვს ციხე, ალყა შემოარტყა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას შენობას. მიუხედავათ ამისა, ტორესმა მაინც მოახერხა გაქცევა. (ადს).

მაკდონალდი კმაყოფილია

ლონდონი, 5 აგვისტო. შოტლანდიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანო „ფორუორდში" მაკდონალდმა მოათავსა წერილი, რომელშიაც კმაყოფილებას გამოსთქვამს „ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის კონფერენციის მიერ ანტიკომუნისტური ხასიათის გადაწყვეტილებების გამო".

გაფიცვა უნგრეთში

ვენა, 5 აგვისტო. საგაფიცვო მოძრაობა უნგრეთში ფართოვდება. **ლითონის მრეწველობაში გაფიცულთა რიცხვი აღემატება 10.000 კაცს.** ჩეპელის მანქანების და მამზადებელ ქარხანაში, სადაც მუშებს გამოცხადებული ქონდა იტალიანური გაფიცვა, გაიფიცა მარტენსის საამქროს 4.000 მუშამ. გაფიცვის საპასუხოდ დირექციამ გამოაცხადა ქარხანაში მომუშავე ყველა 7.000 მუშის ლოკაუტი. გუშინ გაფიცვა გამოაცხადეს ფიუნფკირხის სახაზინო მაღაროს 1.800 მემაღაროეებმა. გაფიცვა გამოწვეულია ადმინისტრაციის მიერ მუშების მოთხოვნილებების უარყოფით ხელფასის 30 პროცენტით გადიდების შესახებ.

ბუდაპეშტში გაფიცულია მუშების 17 პროცენტი. **საგაფიცვო მოძრაობა დაიწყო პროფკავშირთა ბიუროკრატიის სურვილების წინააღმდეგ.** პროფკავშირთა ხელმძღვანელები ცდილობენ ყველგან შეაჩერონ მუშები გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისაგან, მაგრამ მუშები კრებებზე ხვდებიან მათ სასტიკი პროტესტით. მუშები აღშფოთებული არიან ხელმძღვანელების მოქმედებით (ადს.)

ქაღალდის მრეწველობა საქართველოში

(შამგონის ქაღალდის ფაბრიკა)

ჩვენი მრეწველობის ზრდის საყოველთაო სწავლების შემოღებისა და ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების გამო, გაიზარდა ქაღალდის მოთხოვნილებაც. ჩვენი, საკავშირო ქაღალდის ფაბრიკები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას და ამიტომ ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს 6 მილიონი ფუთი ქაღალდი, რაც დიდ ხარჯებს იწვევს.

ამიტომ, სპეციალურად საგაზეთო და საბეჭდი ქაღალდის დამმზადებელ ფაბრიკების აშენებასთან ერთად, ჩვენი ქაღალდის მრეწველობა უნდა შეეცადოს, რომ ეს წარმოებები დაუახლოვოს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სამომხმარებლო რაიონებს, სადაც, ამასთან ერთად, ხელსაყრელი ეკონომიური პირობები იქნება ასეთი წარმოებების მოწყობილობისათვის. ერთ-ერთ ასეთ დამოუკიდებელ სამომხმარებლო რაიონს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელიც, იმის გამო, რომ ის დაშორებულია ქაღალდის ცენტრალურ ფაბრიკებს, იძულებულია თვითეულ ფუთ ქაღალდში გადაიხადოს მარტო სარკინისგზო ფრახტი მოსკოვი - თბილისი — 96 კაპ., ხოლო ლენინგრადი - თბილისი — 1 მ. 06 კაპ.

მდიდარი ნაძვნარი და სოჭიანი ტყე, უამრავი იაფი საწვავი მასალა, იაფი ჰიდროენერგიის მიღების შესაძლებლობა და მთელი რიგი დამხმარე მასალა, რაც საჭიროა ქაღალდის წარმოებისათვის ამიერ - კავკასიაში, — აი ყველა ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საქმის განვითარებას და მის სარგებლიანობას. ამჟამად ამიერ - კავკასიაში იხარჯება 500—600.000 ფუთი ქაღალდი. ამას უნდა დაუმატოთ ქაღალდის მოთხოვნილების ნორმალური ყოველწლიური ზრდა. ამიტომ მომავალი ფაბრიკის წლიური პროდუქცია ნავარაუდევია განისაზღვროს 1.000.000 ფ. ქაღალდით.

მომავალი ფაბრიკა დაამზადებს წლიურად 900.000 ფ. სხვადასხვანაირ ქაღალდს და 100.000 ფ. კარტონს. ქაღალდის ფაბრიკისათვის ყოველწლიურად საჭიროა 2.500.000 კუბ. ფუტი ხის მასალა, რაც იმ 1.500.000 კუბ. ფუტი ხის მასალასთან ერთად, რომელიც სჭირდება მომავალ ფაბრიკის მახლობლად არსებულ ხე-ტყის სახერხ ქარხანას, შეადგენს სულ 4.000.000 კუბ. ფუტს.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მასალების მიხედვით, ენგურის რაიონის სატყეო აგარაკის (ჩუბისხევის აგარაკი) მოედანი უდრის 161 ათას ჰექტარს, აქედან ტყითაა დაფარული 67.287 ჰექტარი, ხოლო მთიანი ადგილი — 26.192 ჰექტარი. სოჭი შეადგენს 74,5 პროც-ს, ხოლო ნაძვი—12,8 პროც-ს.

ენგურის რაიონს ყოველწლიურად შეუძლია 5.687.242 კუბ ფუტი ხე-ტყის მასალის მოცემა, რასაც თამამად შეუძლია დაფაროს როგორც შამგონის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მოთხოვნილება, ისე მომავალი ქაღალდის ფაბრიკის მოთხოვნილებაც. ფაბრიკის ადგილას, სადაც მოწყობილი იქნება სატყეო ბირჟა, ხე-ტყე მოზიდული იქნება მდინარე ენგურით.

ფაბრიკას წელიწადში მოუნდება 100.000 ტონა ორთქლი, რასაც დასჭირდება 965.000 ფ. ნახშირი. (ტყიბულის ქვანახშირი მოზიდული იქნება რკინისგზით).

იმის გამო, რომ ქაღალდის წარმოებაში ორთქლი იხმარება სხვადასხვა საქმისათვის, ე. ი. ჯერ მექანიკური წევის, ხოლო შემდეგ თერმიული საჭიროებისათვის, ამიტომ განზრახულია ჯერ ორთქლის გადამუშავება უკანასკნელი კონსტრუქციის, მაღალი (30 ატმოსფერა) წნევის ტურბინებში, ხოლო შემდეგ უკვე გადამუშავებული ორთქლის გამოყენება თერმიული მიზნებისათვის (ადგილის ხელსაყრელი კლიმატიური პირობების გამო, ფაბრიკის შენობას არ დასჭირდება გათბობა).

ამ შემთხვევაში ყველაზე ხელსაყრელია უკანასკნელი კონსტრუქციას მაღალი წნევის ორთქლის ტურბინის დადგმა. ეს ტურბინა იქნება 7 ატმოსფერის წნევის და 2-ნახევ. ატმოსფერის უკუწნევის ორთქლის ტევადობისა, გარდა ამისა მას ექნება სათანადო ქვაბი, რომელსაც შეეძლება 30 ატმოსფ. წნევის ორთქლის გამომუშავება და ორთქლის გახურება 400°-დე ცელზიით.

ასეთ პირობებში შეიძლება 9.500.000 კილოუატ - საათის მიღება, ხოლო ფაბრიკას კი სულ დასჭირდება 24.250.0000 კილოუატ-საათი. მაშასადამე იმ ენერგიის გარდა, რაც საკუთრად ფაბრიკას ექნება, მას გარედან დასჭირდება კიდევ 15.000.000 კილოუატ - საათი.

ამ დანაკლისის შევსების მხრივ ფაბრიკას დიდ სამსახურს გაუწევს აბაშის ჰიდრო - ელსადგური, რომელსაც შეუძლია პირდაპირი გადაცემით მიაწოდოს ფაბრიკას დამატებით საჭირო ენერგია, ნახევ. კაპეიკის ღირებულებით თვითეული კილოუატ-საათი. წარმოებისათვის საჭირო მასალა, როგორც, მაგალითად, რკინალდანი, საკირე ქვა დასხვ., რაც საკმაოდ მოიპოვება ამ რაიონში, მოზიდული იქნება რკინისგზით. თუ ვივარაუდებთ, რომ ფაბრიკა იმუშავებს სამ და, ნაწილობრივ, ოთხ ცვლად და იმის მიხედვით, თუ რამდენად ფართედ იქნება დაყენებული წარმოება, ფაბრიკას დასჭირდება 1.200 მუშა - ხელი, აქედან 527 მწარმოებელი, ამდენივე დამხმარე, ხოლო დანარჩენი — მოსამსახურენი. ფაბრიკის პროექტით გათვალისწინებულია მუშათა სამოსახლოს გაშენება, სულ უკანასკნელი 600 კაცისთვის მაინც, თუ ვიანგარიშებთ, რომ მუშების 50 პროც. ადგილობრივი მცხოვრებნი — თავისივე სახლებში იცხოვრებენ. მთელი ფაბრიკა დაჯდება დაახლოვებით 10.000.000 მანეთი, ამასთან ასი ფუთი ჩვეულებრივი ხარისხის ქაღალდის საშუალო ღირებულება, თავისი საწარმოო, ზედნადები, საამორტიზაციო ხარჯებით და პროცენტული დანარიცხებით კაპიტალზე — იქნება 420 — 450 მანეთი. ფაბრიკის აშენება განზრახულია შამგონის რაიონში. ფაბრიკის ასაშენებელი ადგილის შერჩევის დროს წამოყენებული იყო ორი ვარიანტი — შამგონი ან ჯვარი—შემდეგი მოსაზრებებით.

ფაბრიკის ასაშენებელი ადგილის შერჩევის დროს მხედველობაში იყო მიღებული შემდეგი ძირითადი პირობები: 1) ხე-ტყის მოზიდვა, 2) ტრანსპორტი, 3) წყლის კანალიზაციის პირობები, 4) სასმელი წყლის მომარაგება, 5) მუშათა საკითხი, 6) საწვავი მასალისა და ენერგეტიკის საკითხები. ორივე ვარიანტის განხილვის დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა ხე-ტყის მოზიდვის საკითხს, რომელიც ამასთან ერთად დაკავშირებულია ჰიდრო - ტეხნიკურ მშენებლობასთან, ტრანსპორტსა, წყალის მომარაგებას და საცხოვრებელ პირობებთან.

გავარჩიოთ ცალ-ცალკე თვითეული საკითხი.

თვითღირებულების კალკულიაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში მთავარ როლს თამაშობს ხე-ტყის ღირებულება, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ელემენტებს, როგორც, მაგალითად: ელექტრო - ენერგიის ღირებულება, საერთო - საქარხნო ხარჯები ან და ზედნადები ხარჯები, ყველა ესენი ცოტად თუ ბევრად ერთნაირი აღმოჩნდენ ორივე ვარიანტისათვის.

შამგონის ვარიანტის განხილვამ გამოარკვია შემდეგი: „ხე-ტყის მოზიდვა ჯვარამდე სწარმოებს მდინარე ენგურით, ასევე ჯვარიდან შამგონამდე, როდესაც მდინარე არ არის დამშრალი და იძლევა ხე-ტყის დაცურების საშუალებას; დანარჩენ დროს კი სწარმოებს გზაში დარჩენილ ხეების შეკვრა ტივებათ და მოზიდვა შამგონში; ხე-ტყის მოზიდვა მდინარის ნაპირიდან სატყეო ბირჟამდე (½—2½ ვერსამდე) სწარმოებს კამეჩების საშუალებით.

ასეთი წესით ერთი კუბ. ფუტი ხე-ტყის მოზიდვა ჯვარიდან შამგონამდე ჯდება 6—8 კაპეიკამდე.

გზაში ჯვარამდე ხე-ტყის ნაწილი (10—15 პროც). იკარგება, ხოლო მდინარის მიმწოდებელი ტოტის გაყვანა კი შამგონში, ხშირი დასილვის გამო, დაკავშირებულია საექსპლოატაციო ხარჯებთან.

დამატებით საექსპლოატაციო ხარჯებს იწვევს ხე-ტყის მოზიდვა მდინარის ნაპირიდან სატყეო ბირჟამდე". (საქ. ს. მ. უ. ს. კომისიის დასკვნა).

ჯვარის ვარიანტის განხილვამ გამოარკვია შემდეგი: „გადაზიდვა ხდება ტყის საშვები ღარების საშუალებით პირდაპირ მდინარეში ან არა და მდინარის ტოტის გადაყვანით იმ ადგილისაკენ, სადაც მექანიკური მოწყობილობებით შეიძლება ხე-ტყის მიზიდვა დანიშნულ ადგილას.

ხე - ტყის მიზიდვა ბირჟამდე სწარმოებს მდინარის საშუალებით, რაც სათანადოთ ამოკლებს საექსპლოატაციო ხარჯებს, ხე-ტყის დაცურების ხარჯს ჯვარიდან შამგონამდე და იძლევა მუშა - ხელის დაზოგვის საშუალებას. რკინისგზის შტოს გაყვანა ზუგდიდიდან ჯვარამდე საშუალებას იძლევა, რომ მთელი ხე-ტყე ჯვარიდან შამგონამდე მიზიდულ იქნას რკინისგზით. მაშინ 1 კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალის მიზიდვა არ დაჯდება 3,5 კაპეიკზე მეტი. ამით ვე თავიდან იქნება აცილებული ხე-ტყის დაკარგვის (10—20 პროც.) შესაძლებლობა, რაც მოგვცემს 2,5 კაპ.—4,5 კაპეიკამდე ეკონომიას 1 კუბ. ფუტ ხის მასალაზე".

(კომისიის დასკვნა)

ამნაირად დაახლოვებითი გამოანგარიშებით, შამგონის ვარიანტი იწვევს შემდეგ ზედმეტ ხარჯებს: ჰიდროტეხნიკურ მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები — 350.000 მან. (საშუალო ღირებულებათა სხვაობა), ჰიდროტეხნიკურ დადგმულობათა საექსპლოატაციო ხარჯები — 170.000 მან. და ხე-ტყის დასაცურებელი ხარჯი — 220.000 მან. მაგრამ შამგონს სამაგიეროდ უდგება მთავარი სარკინისგზო მაგისტრალი სათანადო მისასვლელი გზებით, რაც საშუალებას იძლევა, რომ საფაბრიკო გზა შეუერთდეს მათ; გარდა ამისა აქვე მახლობლად იმყოფება ახლად აგებული და უკვე ამუშავებული შამგონის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც წლიურად ამზადებს 1.500.000 კუბ. ფუტ ხე-ტყის მასალას, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს კარტონის დამზადებისათვის მომავალში და რაც აადვილებს ხე-ტყის მასალის დამზადებას, მისი დახარისხების მხრივ.

ჯვარის ვარიანტი კი მოითხოვს რკინისგზის ახალ შტოს გაყვანას ზუგდიდიდან 36 კილომეტრის მანძილზე. რაც დაახლოვებითი ხარჯთ აღრიცხვით დაჯდება 2.000.000 მანეთი. წყალის მომარაგება შამგონში მოითხოვს უფრო მეტ საექსპლოატაციო ხარჯებს, რადგან საჭირო იქნება წყალსაქაჩი სადგურის მოწყობა მდ. რუხის წყალიდან ან ენგურიდან წყალის ასაყვანად აუზებში, რომლებიც 20 მეტრით მაღლა მდებარეობენ რუხის წყალის კალაპოტის წყლის დონეზე.

ამ მხრივ ჯვარის ვარიანტი შედარებით უკეთეს პირობებშია, რადგან წყალის აყვანა უფრო ნაკლებ სიმაღლეზეა საჭირო. ორივე რაიონის ადგილობრივი კონფიგურაცია ერთნაირად მისადგომია საფაბრიკო შენობებისთვის, მარტო იმ განსხვავებით, რომ მუშათა სამოსახლო შამგონში შეიძლება გაშენებულ იქნას. იმავე რაიონში, სადაც იქნება საფაბრიკო შენობები და სატყეო ბირჟა.

ამიტომ, მიღებულია მხედველობაში შემდეგი:

1) ჯვარის ვარიანტი მოითხოვს რკინისგზის შტოს გაყვანას ზუგდიდიდან 36 კილომეტრის მანძილზე, რაც იწვევს 2.000.000 მან. ხარჯს და რასაც არ მოითხოვს შამგონის ვარიანტი, რადგან მას აქვს უკვე გზა მაგისტრალი;

2) შტოს ასაშენებელი ხარჯი მხოლოდ ვარაუდითია და ის კიდეც შეიძლება გაიზარდოს;

3) გზათა სახალხო კომისარიატი შეიძლება წლებში არ გადასდებს თანხებს ამ შტოს გასაყვანად;

4) ამ თანხის გამოყოფა არ შეიძლება ფაბრიკის საამშენებლო ბიუჯეტიდან;

5) უკვე აშენებული და ამუშავებული შამგონის ხე-ტყის სახერხი ქარხნის გადატანა ჯვარში იწვევს საკმაოდ მოზრდილ ხარჯებს, მაშინ როდესაც შამგონის ვარიანტი განთავისუფლებულია ასეთი ხარჯებისაგან;

6) ტყიბულის ქვანახშირისა და ქაღალდის წარმოებისათვის საჭირო დამხმარე მასალის მიზიდვა ჯვარში იწვევს ზედმეტ ყოველწლიურ ხარჯს 36.806 მანეთის რაოდენობით, ხოლო შამგონის ვარიანტის ზედმეტი ხარჯი, გამოწვეული ხე-ტყის მიზიდვისა და წყალის მომარაგების პირობებით, 36.806 მან. გარეშე, შეადგენს 212.284 მანეთს, რაც ჰიდროტეხნიკურ ნაგებობათა საექსპლოატაციო ხარჯთან—170.000 მანეთთან ერთად, შეადგენს სულ 382.284 მანეთს. ეს კი აძვირებს ქაღალდს 8 პროც-ით, ე. ი. 1 ფუთს—38 კაპეიკით (ეს გაძვირება დროებითია—შტოს გაყვანამდე), იმ დროს, როდესაც სარკინისგზო ფრახტი 96 კაპ. მოსკოვი—თბილისი და 1 მან. და 06 კაპ. ლენინგრადი-თბილისი, თითქმის სამჯერ დიდია.

7) ხე-ტყის მოზიდვა მდინარით შეიძლება ხელსაყრელ პირობების დროს;

8) ორივე რაიონის ადგილის კონფიგურაცია ერთნაირად შესაფერებელია ფაბრიკის შენობებისათვის;

9) დაბოლოს, ჯვარი არ წარმოადგენს ისეთ ზონას, რომელიც შეიძლება მთიანად ჩავთვალოთ, სადაც მალარიით დაავადმყოფება იშვიათია;

10) ასეთი მსხვილი სამრეწველო ობიექტის აგება ახალ ელემენტს შეიტანს ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაში და წინ წასწევს მალარიასთან ბრძოლის საქმეს, ხოლო თანხების გადაუდებლობას ჯვარის შტოს გასაყვანად შეუძლია სულ სხვა მდგომარეობაში ჩააყენოს ფაბრიკის აგების საკითხი.

ყველა ამ პირობების გათვალისწინების შემდეგ, ტეხნიკურად შესაძლებლად და ეკონომიურად მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ფაბრიკის აშენება შამგონში, მაგრამ იმ აუცილებელი პირობებით. რომ მომავალში, ფაბრიკის ექსპლოატაციის პროცესში, გაყვანილი იქნება ეს შტო, რითაც შემცირდება საექსპლოატაციო ხარჯები, რადგან რკინისგზით ხე-ტყის მოზიდვა ჯვარიდან შამგონამდე ყოველ ერთ კუბიკურ ფუტ ხე-ტყეზე მოგვცემს 2½—4½ კაპ. ეკონომიას.

არც შეეხება შტოს გაყვანამდე ხე-ტყის დაკარგვას მისი მოზიდვის დროს მდინარის საშუალებით, ამ დაკარგვის პროცენტის შემცირება შეიძლება საქმის რიგიანი დაყენებით. ხოლო დასაბუთება, თითქოს შამგონის რაიონი უფრო მალარიულია ჯვარის რაიონთან შედარებით, რამოდენიმედ გაზვიადებულია, თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომლებშიც გვიხდება მრეწველობის განვითარება არა მარტო ჩვენი კავშირის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც.

ხშირად ეკონომიურ პირობებს თან არ სდევს კარგი კლიმატიური პირობები, რის გულისთვის არ შეიძლება საქმის შეფერხება.

ინჟ. ზ. ვოლოხი.

პარტიული ცხოვრება

ყველა სამაზრო და საქალაქო კომიტეტების საგიტ. საპროპ. განყოფილებებს

პარტგანათლების ქსელის მუშაობის ხარისხის ამაღლების და გაუმჯობესების მიზნით საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტ. განყოფილება საჭიროდ სცნობს პროპაგანდისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, რისთვისაც ის აწყობს გადასამზადებელ კურსებს, რომელზედაც გატარებული იქნება სულ 80 კაცი.

სოფლის მოძრავი, სტაციონალური და ქალაქის შემოკლებული პოლიტცოდნის სკოლების პროპაგანდისტების გადასამზადებლად ეწყობა სამი სხვადასხვა სახის კურსები. კურსები ეწყობა: 1. სოფლის მოძრავ სკოლების 35 ხელმძღვანელთათვის ორ ჯგუფად: რუსულ და ქართულ ენებზე.

2. სოფლის სტაციონალური სკოლების 20 ხელმძღვანელთათვის ქართულ ენაზე.

3. ქალაქის შემოკლებულ სკოლების 20 ხელმძღვანელთათვის—ქართულ ენაზე

კურსებზე გავლილ იქნება შემდეგი საგნები: პოლიტეკონომია, ეკონომპოლიტიკა, ლენინიზმი პარტგანათლება და თვითგანვითარების მეთოდიკა, პოლიტცოდნის სკოლის პროგრამები, ქალთა შორის მუშაობის მეთოდები კომკავშირის პოლიტგანათლების სისტემა.

ყველა საგიტ. საპროპ. განყოფილებები ვალდებული არიან ეხლავე მიიღონ ზომები, შეარჩიონ პროპაგანდისტები მხოლოდ სტაციონალური, შემოკლებული სკოლების კურსებისათვის, რომელნიც თბილისში უნდა იყვნენ 20 აგვისტოს, მოძრავი პოლიტსკოლის ლექტორებად უნდა გამოგზავნონ ცენტრო-პარტსკოლა დამთავრებულნი, ან მომზადებით მათი თანაბარი ამხანაგები, აგრეთვე 20 აგვისტოსათვის.

ვინც დანიშნულ დროზე არ გამოცხადდება, კურსებზე არ მიიღება. სტაციონალური და შემოკლებული სკოლების პროპაგანდისტებიდან უნდა იქნან გამოგზავნილი კურსებზე ისეთები, რომლებიც გადამზადების შემდეგ აუცილებლად იმუშავებენ პარტგანათლების დარგში—ერთი წლის განმავლობაში მაინც. (მაზრებს ამასთანავე ეგზავნებათ მოძრავ პოლიტსკოლის გამოსაგზავნ ლექტორთა სიები).

ცეკას აგიტ. პროპ. განყ. გამგე **თათარაშვილი.**

ქუთაისის ოპოზიციონერთა განცხადება

საერთაშორისო და საშინაო სიძნელეთა წინააღმდეგობის მომენტში პარტიაში წამოჭრილ გადასაწყვეტ საკითხთა ირგვლივ თავი იჩინა ახალმა ოპოზიციონურმა ბლოკმა ამხ. ტროცკის და ზინოვიევის მეთაურობით, რომელიც აცდა სწორ ლენინურ ხაზს და დაეშვა რა წვრილ-ბურჟუაზიულ გზაზე, ხელს უწყობს პარტიის ძალების დაქსასვას და მის დასუსტებას.

პარტიაში ოპოზიციის მიერ სადაოთ გამოცხადებულმა საკითხებმა, როგორიც იყო: სოციალიზმის აშენების საკითხი ერთ ქვეყანაში, ჩვენი მრეწველობის ხასიათის, საკითხი ინგლის რუსეთის კომიტეტის არსებობის შესახებ. საკითხი ჩინეთის რევოლიუციის ხასიათისა და ტაქტიკის შესახებ, მუშებისადმი ხელფასის მომატება და გლეხების დაბეგვრა, საბჭოების გადარჩევა, წასულ წელში ბიუროკრატიზმი და ეკონომიის რეჟიმის საკითხებმა ჩვენც მიგვიზიდა ოპოზიციონერთა რიგში და ქვემო აღნიშნული ხელის მომწერები ბრძოლას ვაწარმოებდით პარტიის ცეკას წინააღმდეგ.

ოპოზიციონერთა მიერ გამართულ ბრძოლის მიმდინარეობის უნიადაგო შედეგებმა ჩააფიქრა ოპოზიციის ბელადები, რასაც მოჰყვა 1926 წლის 16 ოქტომბრის განცხადება, რომ პარტიაში ფრაქციულობა მიაჩნიათ დაუშვებლათ და შემდეგში ხელს აიღებენ ასეთზე. მაგრამ განცხადება ისე დარჩა დაწერილი შავად თეთრ ქაღალდზე და კლავინდებურ ბრძოლას აწარმოებენ პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ.

ჩვენ ოპოზიციის მუშაობას ვერ შეურიგდებით ყოველ შემთხვევაში მათი განცხადების შემდეგ, ისიც იმ დროს, როდესაც ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გართულებულია და ოპოზიციის მიერ სადაოთ გამოცხადებული საკითხები, დღეს ჩვენთვის ნათელი და გამორკვეულია, რის შემდეგ ჩვენ ვრჩებით პარტიის უმრავლესობასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ კომინტერნის, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ხაზს.

ჩვენ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მოუწოდოთ ყველა იმ ამხანაგებს ოპოზიციიდგან, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ ოპოზიციის იდეოლოგიურ და ფიქციულ შეხედულება - მუშაობიდან, რათა ჩვენთან ერთად დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ყოველგვარი ფრაქციული იდეოლოგიური ბრძოლა პარტიის შიგნით და გვერდში ამოუდგენ ლენინურ ცეკას.

ყოფილი ოპოზიციონერები:

1) ივანე ავთანდილის ძე ახათიანი № 0858135 სტაჟი 1917 წ.
2) გრიგოლ კონსტანტინეს ძე ხუროძე პარტ კანდიდატი 1925 წ. ბილ. № 6764.
3) ონისიმე ალექსის ძე ხობუა პ.-სტ. 1917 წ. პ.-ბ. № 0858119.
4) ვასილი ამბაკოს ძე თათეიშვილი 1917 წ. პ.-სტ. № 0858325.
5) ალექსანდრე ტარასის ძე მაღლაკელიძე ა. ლ. კ. კ. 1921 წ. № პ.-წ. 1926 წ. № 0858666.
6) გიორგი ლავრენტის ძე მენაბდე № 896688.
7) რუბენ ნიკიფორეს ძე შალამბერიძე ა. ლ. კ. კ. წევრი 1923 წ. ბილეთის № 41905 პარტკანდიდატი 1926 წ. № 12096.
8) ილია ალექსის ძე მასხულია 1917 წ. მან. № 0858330.
9) ირადიონ დიმიტრის ძე სოხაძე 1917 წ. მან. № 0858920.

კომკავშირის 10 წლის თავისათვის

3 აგვისტოს საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკაში შესდგა საქართველოს ლენინურ კომკავშირის არსებობის ათი წლის თავის ჩამტარებელ კომისიის სხდომა. კომისიამ დაამუშავა გეგმა დღესასწაულის საზეიმო ჩატრებისათვის და გამოიმუშავა ლოზუნგები ამ დღისათვის.

საქ. ა. ლ. კ. კ. არსებობის ათი წლის თავის დღესასწაული უდა ჩატარდეს, როგორც მასიური მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის დღესასწაული, იგი უნდა დაუკავშირდეს საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს.

ძირითად ლოზუნგებათ ათი წლის თავზე იქნება შემდეგი:

ლოზუნგები

1. საქართველოს ლენინური კომკავშირი ათი წელია მტკიცედ სდგას რევოლიუციონურ სადარაჯოზე, მთელი მუშათა ახალგაზრდობის კომკავშირის რიგებში.

2. დიადი და გმირული გზები განვლილი საქ. ლენინურ კომკავშირის მიერ, ერთი საუკეთესო ფურცელია მსოფლიო ახალგაზრდობის რევოლიუციონურ მოძრაობაში. მაღლა ლენინის დროშა მტკიცე ნაბიჯებით: წინ სოციალიზმის საბოლოო გამორკვევებისაკენ.

3. ათ წლიანი რევოლიოციონური გზა, რომელიც განვლო საქ. ლენინურმა კომკავშირმა და მახასიათებელია მისი ფოლადისებური რიგებისათვის.

4. ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელობით ლენინური კომკავშირი გამოიბრძმედა ბრძოლაში ლენინიზმის გადახრებთან.

5. ლენინური კომკავშირი აქტიური და საიმედო მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა დიდი ოქტომბრის მონაპოვრის დაცვის სადარაჯოზე.

6. საქ. ლ. კომკავშირმა კონტრ-რევოლიუციონურ ორგაიზ. გამოსტაცა საუკეთესო ნაწილი მშრომელ ახალგაზრდობისა, მისცა მათ სწორი გზა, შევნებული ახალგაზრდობა დადგა კომკავშირის დროშის ქვეშ.

7. საქ. ლ. კომკავშირი ის ლაბორატორიაა, რომელიც ინტერნაციონალური გრძნობებით ზრდის მოზარდ თაობას.

8. საქ. კომკავშირი თავის ძმებთან აზერბეიჯანის და სომხეთის კომკავშირთან ერთად სპობს ძირფესვიანად მენშევიზმის, მუსავატების და დაშნაკების მემკვიდრეობის დარჩენილ შოვინიზმის ნაშთებს, გაუმარჯოს ა. კ. კომკავშირის ორგანიზაციათა ძმურ კავშირს! გაუმარჯოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას.

9. შრომის ნაყოფიერების აწევა ფაბრიკა ქარხნებში, სასოფლო მეურნეობის განვითარება კოოპერატიული გაერთიანების საფუძვლებზე.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ჩვენი გამარჯვების საფუძველია.

10. კომკავშირელო, მტკიცედ დიიცავი საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები შინაურ და გარეშე მტროებისაგან!

11. ლენინური კომკავშირი მზად უნდა იყოს გადამწყვეტი ბრძოლისათვის მის მოსისხლე კლასიურ მტრებთან.

12. საქ. კომკავშირი უნდა გარდაიქმნას მებრძოლ ავანგარდათ, რომელსაც შეეძლება რევოლიუციონური სიმტკიცის და გმირული ბრძოლის უნარის გამოჩენა მომავალ ომში.

13. საქ. ლენინურ ა. კ. ათი წლის თავზე ამზადებს საუკეთესო თაობას პიონერ ორგანიზაციის სახით, რომელიც იწრთვნება და იზრდება ლენინური სულით მისი უშუალო ხელმძღვანელობით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გლეხობის სამკურნალო დახმარების გამოკვლევა

ქუთაისი, 3 აგვისტო. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ გამოიკვლია ქუთაისის მაზრის სამკურნალო დაწესებულებანი და გაეცნო გლეხობის სამკურნალო დახმარების დაყენების საქმეს. გამოკვლევიდან დამტკიცდა; რომ სამკურნალო დაწესებულებების შენობების უმრავლესობა არ შეეფერება თავის დანიშნულებას. საგრძნობია აგრეთვე ხელსაწყოებისა და ინვენტარის ნაკლებობა, და ბებია-ქალებისა და კბილის ექიმების სიმცირე.

კარგი დამოკიდებულებაა ექიმებსა და მოსახლეობას შორის. მოსახლეობა ნდობით ეკიდება ექიმებს და დახმარებისათვის აღარ მიმართავს ექიმბაშებს.

ზოგ საავადმყოფოებში განზრახულია საწოლების რიცხვის გადიდება და, არსებულ 10 სამკურნალო პუნქტს გარდა, კიდევ 30 პუნქტის გახსნა.

ხუთწლიან გეგმაში შეტანილია საავადმყოფოების აშენება 4 სოფელში. პირველ რიგში საავადმყოფო გაიხსნება ბაღდადსა და დიდ ჯიხაიშში. (ადს)

მშენებლობა

ახალციხე, 4 აგვისტო. სოფ. აწყურში უკანასკნელ ხანებში გამრავლდა სახალხო შენობების და ორგანიზაციების რიცხვი. მოწყობილია გლეხთა-ახალგაზრდობის თურქული სკოლა და სამკურნალო პუნქტი, შეაკეთეს ვეტერინალური პუნქტი, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, მუშკოოპი და სხვადასხვა ორგანიზაციების მთელი რიგი შენობები. ელექტრონის სადგურმა და ხე-ტყის ქარხანამ სოფელს მისცეს ქალაქის სახე. თავდება აგრონომიული პუნქტის აგება. ახლო ხანში გლეხთა სამაზრო კომიტეტი შეუდგება გლეხთა სახლის აგებას. გლეხთა სახლში მოაწყობენ კინოს და დადგამენ რადიო-მაუწყებელს (ადს).

სასოფლო-სამეურნეო არტელების ზრდა

თელავი, 4 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში მაზრაში ჩქარი ტემპით მიდის სასოფლო-სამეურნეო არტელების ზრდა. არტელების უმრავლესობა ეწყობა ვენახების დასამუშავებლათ. მიწად-მოქმედების განყოფილებაში აუარებელი განცხადება შემოდის, რომლითაც გლეხები ითხოვენ არტელებისა და კოლექტივების მოსაწყობად აგრონომების გამოგზავნას. უკანასკნელი კვირის განმავლობაში შესდგა 3 ახალი არტელი. (ადს).

წერილები

გლეხკორის დევნას არავის შევარჩენთ

გლეხკორს დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს: ის თვალყურს ადევნებს სოფლის ცხოვრებას და გაზეთების ფურცლებზე გამოაქვს ჩვენი სოფლის მიღწევები და ნაკლი. სოფელს ჯერ კიდევ ბევრი უარყოფითი მხარეები აქვს, ხდება ბოროტმოქმედებები ადგილი აქვს სხვადასხვა უკანონობას. გლეხკორი მოწოდებულია ამხილოს ყველაფერი ეს, ვამოაშკარაოს და მით ხელი შეუწყოს ახალი სოფლის გაჯანსაღებას.

გლეხკორიც დაურიდებლად, შეუპოვრად ამათრახებს თავისი კალმის საშუალებით სოფლის ორგულთ. თავის თავად ცხადია, ეს არ მოსწონს ბევრს იმათგანს, რომელთაც გლეხკორის კალამი ამათრახებს, ამიტომ არის, რომ ზოგიერთ სოფლებში ადგილი აქვს გლეხკორის დევნას, დაჩემებით, გალახვით, და დაშინებით და სხვა ასეთი საშუალებებით ცდილობენ ისინი გლეხკორის ჩუმებას.

სოფ. საგარეჯოში ვინმე ქურთიშვილი დახვედრია გლეხკორ გურგენიძეს. ჩაუგდია ხრამში და დაუბეჟია, „შენ რომ გაზეთში დამწერე, ციხეში იმიტომ ვიჯექი"ო. ეუბნებოდა და ურტყამდა ქურთიშვილი ამხ. გურგენიძეს. „ერთი კაცის მოკვლისათვის ორი წელიწადი ვიჯექი ციხეში, ეხლა გურგენიძეს მოვკლავ და კიდევ ჩავჯდებიო"-ო — ბრძანებს თურმე რაინდი ქურთიშვილი.

გლეხკორის დევნას სხვაგანაც ხშირად აქვს ადგილი. ამას თვალყური უნდა ადევნონ ადგილობრივმა ორგანოებმა და გლეხკორი თავის მფარველობის ქვეშ აიყვანონ, სოფლის წურბელებს, სოფლის შემწუხებლებს საშუალება არ უნდა მიეცეთ ბურთი ჩაუდვან პირში ჩვენი სოფლის მეთვალყურეებს - გლეხკორებს. სოფლის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ და გლეხკორის მდევნელს სასტიკი პასუხი მოსთხოვონ.

ქურთიშვილებს ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდება, თუ ისინი გაბედავენ ხელის აღებას გლეხკორის წინააღმდეგ.

პ—ია.

კოოპერატივი მოქმედობს

(ქიზიყი)

ქიზიყში წელს მოსავალი არ ვარგოდა, რისთვისაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იძულებულია სადმე შეიძინოს საკვები ხორბალი და ფქვილი.

ქვემო-მაჩხაანის კოოპერატივის გამგეობამ უკვე გაითვალისწინა ეს გარემოება და შეუკვეთა ცეკავშირის სამი რონოდა ფქვილი, გომის კოოპერატივს სამი რონოდა ხორბალი, ახალ სოფლის კოოპერატივს ერთი რონოდა ხორბალი და ერთიც ქერი თვეში.

მიღებულ ფქვილს, ხორბალს და ქერს ქვემო-მაჩხაანის კოოპერატივი თავისი განყოფილებების საშუალებით გაანაწილებს წევრთა შორის, რომელთა რიცხვი ამ ბოლო დროს გაორკეცდა, კოოპერატივს განყოფილებები აქვს შვიდს მოზრდილ სოფელში.

მოსახლეობაც ამოძრავდა, ქვემო-მაჩხაანის კოოპერატივში უკვე შემოდის ანაბარები საკვები ხორბლის შეძენის მიზნით.

ორი კვირის განმავლობაში შემოსულია ანაბარების სახით ათას მანეთამდე.

კოოპერატივის მიბაძვით სასოფლო-სამეურნეო ბანკსაც, განზრახვა აქვს შეიძინოს ქიზიყის მცხოვრებთათვის ხორბალი და ფქვილი.

გარდა ამისა საჭიროა იგი, ახლავე შეუდგეს შაბიამან გოგირდის შეძენას, რომ მომავალშიაც არ განმეორდეს წლევანდელი ამბები, როდესაც ბანკს მაისშივე შემოაკლდა და წევრებს შაბიამანის ყიდვა მოუხდა კერძო მოვაჭრეთაგან.

ჭალარა.

სამკითხველო, თუ საპატიმრო

(სოფ. მუხური, ზუგდიდის მაზრა)

მუხურის თემის ქოხ-სამკითხველოს არ აქვს საბჭოს ერთ ოთახში. სამკითხველოში შესვლა საკუთარი ბინა. იგი მოთავსებულია სოფლის მხოლოდ აღმასკომის ოთახიდან შეიძლება. სამკითხველოს ოთახი მეორე საქმისათვის არის კიდევ გამოყენებული. როდესაც აღმასკომმა ვინმე უნდა დააპატიმროს, მაშინ იგი აუცილებლად პატიმარს სამკითხველოში მოათავსებს, ჩვენში სამკითხველოს ბინა ითვლება ერთისა და იმავე დროს სამკითხველოდ და საპატიმროდ.

ლუგელა.

საღამო სამკითხველოს სასარგებლოდ

(სოფ. ნაგომარი, გურია)

ნაგომარის სამკითხველო მოთავსებულია მივარდნილ ალაგას ერთს პატარა შენობაში. შიგ, გაზეთით სარგებლობა მაშინ შეიძლება, თუ ერთი ან ორი მეტი არავინ იქნება, თუ მესამე მოემატა შენობის სივიწროვის გამო დასადგომსაც ვერ იშოვი. განზრახულია სამკითხველოს შენობის აგება. ამ მიზნით 9 ივლისს ადგილობრივი დრამწრის მიერ გაიმართა საღამო, რომლის შემოსავალი გადიდებულია სამკითხველოს სასარგებლოდ.

ფერიქ.

წერილებიდან

კინჩხა, (ქუთაისის მაზრა) კინჩხის გლეხკაცობა დიდ გაჭირვებას განიცდის უექიმობით. ყველა საექიმო პუნქტზე ძალზე დაშორებულია. ძლიერ გავრცელებულია სხვადასხვა ავადმყოფობა. მარტო ტუბერკულიოზით დაავადებულთა რიცხვი უდრის 40 პროც.-ს. მცხოვრებთ გადაშენება მოელით, თუ დროზე არ იქნება მიღებული ზომები.

ამას წინად გაზეთების საშუალებით კინჩხელმა გლეხკაცობამ გაიგო, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას განუზრახავს საექიმო პუნქტის გახსნა თემში თავის ხარჯზე. ეს სასიხარულო საქმეა. იმედია წითელი ჯვარი დააარსებს საექიმო პუნქტს და დაგვინიშნავს ექიმს.

ავერიან ქაროსანიძე.

სალეწი მანქანა (საგარეჯოს თემი). საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ თემკომის ინიციატივით შეისყიდა სალეწი მანქანა „ლანცი"-ს სისტემისა. ეს მანქანა ამხანაგობას უჯდება 5.750 მანეთი, ამჟამად მოცემულია ამხ.მიერ მთელი ღირებულების 25 პრ.

დღეში დაახლოვებით ვაილეწება 500 ფუთი ხორბალი.

გარსიაშვილი.

— **იუბილეები გადავიხადოთ.** (ახალციხე). მიმდინარე 1927 წელს დიდი მნიშვნელობა აქვს ახალციხის მაზრისთვის. წელს სრულდება 75 წელი, რაც პირველი წარმოდგენა დასდგა ადგ. სცენის მოყვარულთა წრემ და პირველად ქართული სკოლა გაიხსნა რაბათში. 50 წელი შესრულდა, რაც ახალციხიდან აბასთუმანში გზა ტკეცილი გავიდა და აბასთუმანი ოფიციალურად გამოცხადდა კურორტად და სხ.

ზემოხსენებულ კულტურულ-დაწესებულებათა დაარსებიდან საიუბილეო წლის თავის აღსანიშნავად ამ შემოდგომისათვის უნდა ავირჩიოთ ერთი დღე საერთო დღესასწაულის გადასახდელად.

მუშათა ცხოვრება

მისაბაძი ოსტატი

წარმოების აწევა და აყვავება შეუძლიან,—საქმის ცოდნას, დაკვირვებას, ერთგულებას და სიყვარულს მისდამი.

ერთი ასეთი ოსტატთაგანი არის ამხ. ი. ა. ჩილინგარიშვილი. ხელობით ჩამომსხმელი უმთავრესად თუჯისა: თუჯის ჩამოსხმას ხერხი და ცოდნა უნდა თორემ,— ზოგიერთი ხელოსანი ჩამოასხამს და ისეთი მაგარი გამოვა, რომ ვერავითარი სათლელი იარალი ვერ მოუდგება, რომ გათალოს და გამოაშალიშოს. ხშირად ზეინკლები, და უმთავრესად კი ხარატები, თავსა და ბედს იწყევლიან ხოლმე გაჩარხვა გადამუშავების დროს.

ამხ. ჩილინგარიშვილმა, რომელიც უბრალო ჩვეულებრივი ხელოსნების წრიდან არის გამოსული თავის 32 წ. გამოცდილებით და დაკვირვებით, იმდენად განავითარა თავის ხელობა, რომ მისის ხელმძღვანელობით,—სადაც ის ჩამომსხმელთა საამქროს ოსტატადაა არის: ამხ. კალინინის სახელობის ლითონტრესტის მეორე სამექანიკო ქარხანაში საუკეთესო ხარისხის თუჯს ასხამენ, რომლითაც კმაყოფილნი არიან როგორც ხელოსნები, რომელთა ხელშიც გადადის გადასამუშავებლად ისე შემკვეთელნი. ამიტომაც ზემოდ ხსენებული ქარხანა ითვლება ერთ ერთ საუკეთესო ქარხნად, რომელშიც ყოველგვარი შეკვეთები პირნათლად სრულდება, შემკვეთელნი კმაყოფილნი რჩებიან, ვინაიდან ხარისხობრივად თავის სიმაღლეზე მდგომი შეკვეთები მზადდება.

ი. ა. ჩილინგარიშვილი

საჭიროა ასეთების წახალისება, რათა სხვებმაც წაბაძონ; რომლითაც ფართედ გაშლის ფრთებს ჩვენი ახალგაზრდა წარმოება და წინ წავა სწრაფის ნაბიჯით.

შაქრო ნავთლუღელი.

„ვოლოკიტა"

(ახალ აბასთუმნის სახერხი ქარხანა, ზუგდიდის მაზრა)

საქ. ტყის მრეწველობის ტრესტმა მიმართა 16 ივლისს იმავე ტრესტის სვანეთის რაიონს 660 კ. ფუტი დახერხილი პირ. ხარის. მასალის დასამზადებლად, როგორც საექსპორტოდ დაკვეთილი „ზაკგოსტორგი"-ს მიერ: ზომებით მასალა იყო ადვილი დასამზადებელი და ვადის მხრივაც შესაფერი (ერთი თვის ვადით).

ცენტრის დაკვეთა მიღებისთანავე გადაეცა 22 ივლისს ახალ ქარხნის გამგეს, რომელსაც დაევალა ყურადღებით და დროზე დაემზადებინა ეს მნიშვნელოვანი დაკვეთა, როგორც სანიმუშო-საექსპორტო. მაგრამ გამგეს არ აინტერესებდა თურმე საექსპორტო მასალის დამზადება; მას უფრო ადგილობრივ დაკვეთის შესრულება ჰყვარებია და რაიონს აცნობა, რომ ის ვერ შესძლებს „ზაკგოსტორგი"-ს დაკვეთის შესრულებას, რადგანაც ქარხანა დაკავებულია ს. მ. უ. ს. აღმშენებლობის კომიტეტის დაკვეთით; ფაქტებმა კი სულ სხვა გამოაშკარავეს, თურმე აღმშენებლობის კომიტეტის დაკვეთის გარეშე მოქ. გოგიჩაიშვილი ამზადებს ადგილობრივ დაკვეთას.

რაიონიდან კვლავ მიეცა განკარგულება ქარხანას „ზაკგოსტორგი"-ს დაკვეთის აუცილებელ შესასრულებლად. ამ მიმოწერამ, გასტანა 16 ივლისიდან 1 აგვისტომდე. სრული ნახევარი თვე; დაკვეთის შესასრულებლად კი დარჩა მხოლოდ 12 სამუშაო დღე.

რად დასჭირდა მოქ. გოგიჩაიშვილს ასეთი „ვოლოკიტა"; ყველგან ბიუროკრატებს სდევნიან და ის აქ ჩემობს ფეხის მოკიდებას?

ისარი.

ღირსეული მუშაკი

შორაპნის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, ქ. ჭიათურაში მცხოვრებ უმფროსი მემანქანე ამხ. ვასილ არჩაიას შრომის ორდენით დაჯილდოვებაზე.

აღნიშნული ამხ. 25 წლის განმავლობაში ემსახურება თავის სპეციალურ ხელობას და გამოიჩინა საქმისადმი ერთგულება. თავის 25 წლის მუშაობით დიდი ღვაწლი შეიტანა, როგორც ელსადგურის მემანქანემ თავის დარგში.

განზრახულია მას ქალ. ჭიათურაში გადაუხადონ 25 წლის იუბილე.

მ. გამყრელიძე

უნდა გააკეთოთ

ყველა მუშები ყოველთვის ვალდებული ვართ გულდადებით ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას სრული რვა საათის განმავლობაში.

ვასრულებთ ამას ზოგიერთები შრომის ბირჟიდან მოვლინებულები სამუშევრად?

მე ვიცი ზოგი ძლიერ ცუდად იქცევა.

საქმეს ვუჭირვებთ იმათ, ვინც აწესრიგებს გაგზავნ-გამოგზავნის საქმეს, ბირჟაში რომ იმათაც ჩვენ, როგორც უსაქმოდ დარჩენილები მოგვაქციონ სათანადო ყურადღება და მოგვინახონ ადგილი

როცა უკვე მოვიკალათებთ ადგილზე, გავეცნობით ადგილკომს, ადმინისტრაციას, შრომის კომისიას, მორჩა, შემდეგ ჩვენ თუ ამათმა მაინცდამაინც არ გაგვახსენეს ჩვენი მოვალეობა, საქმის გაკეთებით თავს არ ვიწუხებთ.

რა არის მიზეზი?!

თქვენ ხშირად მუშა-ქალებიდან გაიგონებთ: „ჩვენ დროებითი ვართ!?!

რას ნიშნავს ეს!!

თუნდაც ერთი დღით ვიყოთ, რატომ უნდა დაგვავიწყდეს, როდესაც რომელიმე მივლინებაში, თუ ავადმყოფობის დროს წასული ამხანაგის მოვალეობას ვიღებთ უნდა შევასრულოდ ის, რასაც ასრულებდა დროებით წასული—ამხანაგი!?

შრომის ბირჟის გამგეობებმაც უნდა აუხსნან წინდაწინ დროებით სამუშაოზე გაგზავნილებს, მუშებს, თუ რა უნდა გააკეთონ და როგორ უნდა გააკეთონ.

ჩვენთან დროებით მოსულ მუშა ქალს ავალებენ რომელიმე საქმიანობას და ის ყველას, უფროსს თუ უმცროსს ასე უპასუხებს:

„მე დროებით ვარ და რაში უნდა გავაკეთო?"

არ გააკეთებთ და „წაბრძანდებით!" ლებულობს სამართლიან პასუხს.

დათიკო ლოლობერიძე.

სხვაგანაც უნდა მოეწყოს შეჯიბრება

ამას წინად თბილისის ბევრ ფაბრიკა-ქარხნებში ჩატარებული იქნა შეჯიბრება საუკეთესო ახალგაზრდა მუშაზე. ასეთი შეჯიბრება ჩატარდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, კოლოფების ფაბრიკაში, და სხვა წარმოებებში. შეჯიბრებში მონაწილეობდენ ყველა ახალგაზრდა მუშები.

შეჯიბრებმა გამოაშკარავა ახალგაზრდობის მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, და ხელი შეუწყო ამ უარყოფითი მხარეების გამოსწორებას. სადაც ადგილი ქონდა დღეებისა და მუშა-საათების გაცდენას, იქ ხელი შეუწყო ასეთის შემცირებას. მაგალითად, მთავარ სახელოსნოში აპრილში გაცდენილა 2821 მუშა საათი, შეჯიბრის დროს ეს ციფრი შემცირდა 1555-მდე. თავის თავად ცხადია, რომ აქან ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების აწევას და ამასთან ერთად წარმოების ხარისხის გაუმჯობესებასაც.

თუ სადმე გამწვავებული იყო მდგომარეობა ახალგაზრდობასა და ადმინისტრაციას, ან ხელოსანთა შორის, მოვარებული იქნა მათ შორის ურთიერთობა. გარდა ამისა ხელი შეუწყო ახალგაზრდობის კვალიფიკაციის აწევას და სხვა. ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ზოგიერთი მუშა-ახალგაზრდები წინად ზერელედ უყურებდენ თავის საქმეს, შეჯიბრებამ უსათუოდ ხელი შეუწყო მათ დაინტერესებას წარმოებისადმი.

აუცილებლად საჭიროა, რომ ასეთი შეჯიბრები სხვა ქალაქებშიაც მოხდეს, ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს თბილისის გამოცდილება. გარდა ამისა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საუკეთესოდ მიჩნეული მუშები შესაფერისად იქნენ დაწინაურებულნი. ზოგი მათგანი წამოყენებული უნდა იქნენ უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ზოგი გაგზავნილი უნდა იქნენ სხვადასხვა ტეხნიკურ სასწავლებლებში კვალიფიკაციის აწევის მიზნით. ეს წახალისება მუშა-ახალგაზრდების, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების გაძლიერებას მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშებით.

მუშათა ქრონიკა

— **შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები.** საქ. პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილება ყველა პროფორგანიზაციების ხაზით შეუდგა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში საქმის წარმოების მოგვარებას.

— **პროფაქტივი.** მეეტლეთა კავშირის ც. გ. ამაია კავშირიდან თბილისის საბჭოში მისამაგრებლად გამოჰყო 20 კაცის შემადგენლობით პროფაქტიური მუშაკები.

— **თვითმფრინავის ასაშენებლად.** სამშენის ადგილკომმა გაიღო თვითმფრინავის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 140 მანეთი.

— **სასროლო წრის დაარსება.** ხაშურის უბკავშირმა მიზან შეწონილად სცნო ზესტაფონის, ხარაგოულის, შორაპნის და ბორჯომის კლუბებთან სამხედრო და სასროლო წრის დაარსება.

— **დოტაცია.** საკლუბო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქ პროფსაბჭომ მისცა სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოს დოტაციის სახით 300 მანეთი.

— **წითელი კუთხის მოსაწყობად.** სამტრედიის რკინის გზის საუბნო კომიტეტმა დამატებით გაიღო ტყიბულის ადგილკომის წითელი კუთხის მოსაწყობად 300 მანეთი.

— **ექსკურსია მოსკოვში.** საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ აგვისტოს თვის 17 რიცხვისათვის აწყობს მუშათა მასიურ ექსკურსიას ქ. მოსკოვში.

ინგლისელი პიონერები თბილისში

ზაჰესში

გუშინ დილით ინგლისელი პიონერები კომკავშირის წარმომადგენლების და საქართველოს პიონერთა ორგანიზაციების ხელმძღვანელების თანხლებით გაემგზავრენ ზაჰესის დასათვალიერებლად.

ბავშვებმა დაათვალიერეს ზაჰესის სათავის ნაგებობანი, არხი და საგენერატორო სადგური. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე საგუბარზე გადმოშვებულმა წყალვარდნილმა. ლენინის გრანდიოზული ძეგლის წინ რამდენიმე წუთს განცვიფრებული იდგენ.

პატარა სტუდენტებს თან დაჰყვებოდა ინჟინერი, რომელიც უხსნიდა ყოველი შენობის და მანქანა-დადგმულობის დანიშნულებას.

ბავშვები გულდასმით ათვალიერებდენ ყველაფერს და ასეთივე ყურადღებით ისმენდენ ახსნა-განმარტებებს, რომელიც სწრაფად შექონდათ თავიანთ უბის წიგნებში.

დასასრულ პიონერებმა თავის გამყოლებთან ერთად გადაიღეს სურათი.

კომკავშირის ცეკაში

მცირეოდენი დასვენების შემდეგ ბავშვები ესტუმრენ საქართველოს კომკავშირის ცეკას. აქ ისინი მიიღო ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგემ. გაიმართა საუბარი პიონერთა მოძრაობის შესახებ საქართველოს და ამიერ-კავკასიაში. თავის მხრით ინგლ. პიონერებმა დამსწრეებს გააცნეს კომკავშირის და პიონერთა მოძრაობა ინგლისში.

პიონერთა კოლექტივებში

კომკავშირის ცეკადან დაბრუნების შემდეგ პიონერები გაემართნენ ქალაქის სხვადასხვა რაიონებში პიონერთა კოლექტივების დასათვალიერებლად. [illegible] კოლექტივში პატარა სტუმრებმა დაჰყვეს 20—30 წუთი. კითხულობდენ კოლექტივის წევრთა რაოდენობას პიონერთა ჰასაკს, კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ხასიათს, კოლექტივის ყოველდღიურ საქმიანობას, დამოკიდებულებას კომკავშირისა და პარტიულ ორგანიზაციებთან და სხვა.

პიონერები ეწვიენ აგრეთვე თბილისის პიონერთა კლუბს.

ქალაქში

საღამოს პიონერებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. ავიდენ ფუნიკულიორზედაც, საიდანაც დიდხანს დაჰყურებდენ გაჩირაღდნებულ ქალაქს.

დღეს

დღეს, ინგლისელი ბავშვები დაათვალიერებენ საბავშვო-სამოსწავლო დაწესებულებებს, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებს, რომლის ნახვაც გუშინ ვერ მოასწრეს. საღამოს ინგლისელი ბავშვები თავის გამყოლებით გაემგზავრებიან ბათომისაკენ, იქიდან კი—ყირიმში.

წითელ ჯარში

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა სამხედრო სამსახურში

მოსკოვი, 6 აგვისტო. რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანება 1905 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევის შესახებ ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

„1905 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, — ნათქვამია ბრძანებაში, — საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდან 1-ლ ნოემბრამდე. გაწვევის დანამდვილებითი ვადა თვითეულ ოლქში უნდა დააწესონ სამხედრო ოლქების რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოებმა.

1905 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევასთან ერთად, გაწვეული არიან აგრეთვე 1903 და 1904 წლ. დაბადებული მოქალაქენი, რომელთაც გაუთავდათ ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით მიცემული შეღავათის ვადა და აგრეთვე ის მოქალაქენი. რომლებსაც სწავლისა ან სხვა მიზეზით გაგრძელებული ჰქონდა გაწვევის ვადა და ეს ვადა კი ეხლა გაუთავდათ". (ადს).

გრძელვადიან შვებულებაში გადარიცხვა

მოსკოვი, 6 აგვისტო. რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანება მუშურ-გლეხური წითელი არმიის საკადრო შემადგენლობიდან სამსახურის ვადა დასრულებულ იმ უმცროს მეთაურ და ძირითადი შემადგენლობის დათხოვნის შესახებ გრძელვადიან შვებულებაში მიმდინარე წლის შემოდგომაზე, რომლებსაც უმსახურნიათ განუწყვეტლივ 2, 3 და 4 წელიწადი და რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებოდათ 1926, 25 და 24 წლებში. დათხოვნილი არიან აგრეთვე გრძელვადიან შვებულებაში ის პირნი 1926 წლის გაწვევისა, რომლებსაც განუწყვეტლივ ერთი წელი უმსახურნიათ (თანახმად კანონისა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ) და ჩაუბარებიათ გამოცდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სათადარიგო მეთაურის სახელწოდებაზე; მოხალისენი და ვადაზე მეტად სამსახურში დარჩენილნი, რომელთაც გაუთავდათ სამსახურის ვადა და რომლებიც განაცხადებენ სამსახურიდან დათხოვის სურვილს.

„დათხოვა გრძელვადიან შვებულებაში მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობიდან, გარდა სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს და ცხენოსანი რაზმის ნაწილებისა,—ნათქვამია ბრძანებაში, — უნდა ჩატარდეს მიმდინარე წლის 25 სექტემბრიდან 1-ლ დეკემბრამდე. დათხოვნა სანაპირო რაზმიდან და სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს ნაწილებიდან მოხდეს შემდეგ ვადებში: სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტ სამმართველოს ჯარის ნაწილებიდან 1928 წლის 15 იანვრამდე, ხოლო სანაპირო რაზმებიდან — იმავე წლის 1-ლ აპრილამდე. საბჭოთა კავშირის მცველი ცხენოსანი რაზმის ჯარებიდან დათხოვნა ჩატარდეს 1-ლ დეკემბრიდან 1-ლ იანვრამდე.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე გრძელვადიან შვებულებაში დასათხოვი წითელარმიელები, რომლებიც მოისურვებენ უმაღლეს სასწავლებლებში ან მუშფაკებში შესვლას 1927—28 სამოსწავლო წელს, ვადაზე ადრე უნდა იქნან გათავისუფლებულნი, თანახმად საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებისა № 358" (ადს).

1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის მიიღოს ზომები გასული წლის ნარჩენების შესაკრეფად და საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლის გასაძლიერებლად.

ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ცაკებმა და სახ. კომსაბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ საბიუჯეტო უფლებების ახალი დებულებების თანახმად 1926—27 წლის ბიუჯეტის შესრულების დროს სრული შეფარდება იქნეს ბიუჯეტის საგასავლო და საშემოსავლო ნაწილის შესრულების შორის.

საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობისა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ გასავალზე მეტი დახარჯვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ თვით რესპუბლიკებს, რომელთაც ასეთ შემთხვევაში სათანადოთ შეუმცირდებათ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი.

1927—28 წლის საკონტროლო ციფრები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის სწორი შედგენისა და აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოებში მისი განხილვის დაჩქარების მიზნით, ა.-კ. ცაკმა დაავალა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის 1927—28 წ. ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების დამტკიცებისთანავე სასწრაფო წესით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების ბიუჯეტების საკონტროლო ციფრები 1927 28 წლისათვის.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უნდა დაუგზავნოს საერთო დირექტივები 1927—28 წლის ბიუჯეტის შედგენის შესახებ და ამავე დროს დაავალოს, რომ ბიუჯეტის შედგენის დროს, რაც შეიძლება შეამცირონ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები.

დირექტივაში აღნიშნული უნდა იქნეს აგრეთვე სოციალურ-კულტურული ხარჯების გადიდების საჭიროება ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებისა და ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ბუნებრივი ზრდის საშუალებით.

„სოფლის კავშირი"

თამბაქოს თესვის კამპანია

„სოფლის კავშირი" შეუდგა თამბაქოს თესვის კამპანიას. თამბაქოს „სოფლის კავშირი" თესავს სასოფლო სამ. საკ. ამხ-ბების საშუალებით, რომლებთანაც უკვე დადებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულებების თანახმად, თამბაქოთი დაითესება გურიაში 50 დესეტინა, სამეგრელოში 428 დეს. და კახეთში 550 დეს. თამბაქოს დასათესათ ამხ-ბებს ეძლევათ ავანსი 280 მანეთის რაოდენობით დესეტინაზე. ავანსი მიეცემათ ნაწილობრივათ — ამ თავითვე 100 მან., დანარჩენი ორ ნაწილად ოქტომბრის დასაწყისამდე. აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტი მეთამბაქოებს ავანსათ აძლევს დესეტინაზე 600 მანეთს და რომ ამ გარემოებამ უკმაყოფილება არ გამოიწვიოს მეთამბაქოებს შორის აღძრულია შუამდგომლობა უმაღლეს ორგანოთა წინაშე ავანსების გათანაბრების შესახებ.

თხილი

„სოფლის კავშირმა" დასდო სას. სამ. საკ. ამხ. ბებთან ხელშეკრულებები თხილის დამზადების შესახებ. გურიის რაიონი დაამზადებს 18.000 ფუთ თხილს, სამეგრელო 10.000 ფუთს და იმერეთი 7.000 ფუთს. გარდა ამისა, „სოფლის კავშირი" დადებს ხელშეკრულებას კიდევ 15000 ფუთი თხილის დამზადების შესახებ. დამამზადებელ ამხანაგებს მიეცემათ ავანსი ფუთზე ორი მანეთის რაოდენობით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ყოფა-ცხოვრების ელექტროფიკაცია

ელექტრონის ენერგია გამოყენებას პოულობს არა მარტო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, არამედ ადამიანის ჩვეულებრივ შინაურ ცხოვრებაშიაც. ელექტრონის ენერგიის როლი და მნიშვნელობა მოწინავე ქვეყნების ქალაქის ცხოვრებაში მეტად დიდია. ტელეფონი, ტრამვაი, მეტროპოლიტენი ელ-ავტომობილები, ელ-სინათლე, რადიო და სხვა ყველაფერი ეს კულტურულ ქალაქის მცხოვრების განკარგულებაშია.

უკანასკნელ ხანებამდე ელენერგიით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განათებას, ტელეფონს და ზარს, ადამიანი უმთავრესად სარგებლობდა სახლის, ოჯახის გარეშე, მაგრამ ამ ბოლო ხანებში იქ, სადაც ელ-ენერგიის ტარიფი არაა მაღალი, ელექტრონის ძალა დიდ გამოყენებას პოულობს სახლის, ოჯახის მრავალ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. საზღვარგარეთ მრავალ სართულიან ქვითკირმოწყობილ სახლებში ერთი სართულიდან მეორეში ასასვლელათ მოწყობილია ელექტრონის ლიფტები, ბინების გასაწმენდად—დაგროვილ მტვერისგან—მტვერ-შემწოვი მანქანები და სხვა. ამერიკაში ერთმა ელექტრო-ფირმამ ააშენა სახლი, სადაც მოსამსახურეების მოვალეობას ასრულებდა ელექტრონის ძალა. კარების გაღება-დაკეტვა, ოთახების დასუფთავება-დალაგება, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის დაწმენდა, საჭმლის მომზადება. ყველაფერი ეს კეთდებოდა ელექტრონის ძალის საშუალებით.

აქ მოყვანილ სურათზე ცხადათ ჩანს, თუ როგორ მრავალმხრივ შეიძლება გამოყენებული იქნეს ელექტრო ძალა ოჯახის საჭიროებისათვის; ოჯახის, შინაურ საჭიროებისათვის ელენერგიის იმ ტარიფით მიწოდება, როგორიც არსებობს ელექტრონის სინათლეზე, არაა ხელსაყრელი მომხმარებლისათვის, მაგრამ იქ, სადაც ელექტრონის ენერგიის მიღება არაა ძვირი და ტარიფიც საერთოთ არაა მაღალი, სადგურები იაფად აწოდებენ ელექტრონს შინაურ საჭიროებისათვის. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ელექტრონის ენერგიის გამოყენებამ ოჯახში მიიღო გიდრავლიურ ენერგიით მდიდარ კანადაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში. კანადის უმრავლეს პუნქტებში ტარიფი ელენერგიაზე ისე მცირეა, რომ კანადის მცხოვრებს 20 კაპიკათ შეუძლია იხმაროს: ელექტრონის ფილა საჭმლის მოსახარშათ—6 საათი, შესაწვავათ—2 სათ; ელექტრო უთო—6 საათი, მტვერ შემწოვი მანქანა—40 საათი და თმის დასახუჭუჭებელი მაშა—200 საათი. ამავე ქვეყანაში ყოველ 17 მცხოვრებზე ერთი ელექტრო-უთო და 8,8 მილიონ მცხოვრებზე 100.000 ელექტროფიკაცია ქმნილი სამზარეულოა. შვეიცარიაში ელსადგურებიდან მიღებულ ენერგიის ნახევარი შინაურ საჭიროებისათვის იხარჯება. შვეიცარიაში, სადაც 3.800.000 მცხოვრებია, განათებაზე იხარჯება—160 მილიონი კილოვატსაათი, ელექტრო სამზარეულოებზე—80—100 მილიონი, წყლის ადუღებაზე—50 მილიონი, ელექტრო უთოებზე—20 მილიონი. შვეიცარიაში 200.000 ელექტროფიკაციაქმნილი სამზარეულოა და თითქმის ყველა სოფლებში, რადგან ქალაქებში გავრცელებულია გაზის სამზარეულოები. ყოველ 10 მცხოვრებზე ერთი ელ-უთო მოდის. ასევე ფართოთაა დაყენებული საქმე ნორვეგიაში, სადაც ელ-ენერგიის ფართო გავრცელებას ხელს უწყობს ენერგიის ტარიფიკაციის თავისებური სისტემა და სიიაფე ენერგიისა: დახარჯულ, მოხმარებულ ენერგიის საანგარიშოთ ნორვეგიაში ხმარობენ არა ელენერგიის რაოდენობის მრიცხველებს, არამედ ელდენის მზღუდველებს. აბონენტი აცხადებს, რომ ის საჭიროებს ამდენ და ამდენ ენერგიას და მას დაუდგამენ ისეთ ხელსაწყოს, რომელიც სწყვეტს დენს, როდესაც დახარჯული იქნება ენერგიის დაკვეთილი რაოდენობა. ასეთ რაოდენობაზე არსებობს განსაზღვრული ფასი და ენერგიის დახარჯვა მას შეუძლია გინდ მცირე ხანში და გინდ დიდხანს. დაუშვათ მომხმარებელს ბინაზე აქვს 100 ვოლტის ჭინვის, 25 სანთლიანი 10 ლამპა. თუ მომხმარებელი ბინაზე იქონიებს ელდენის მზღუდველს, ნორვეგიის ტარიფის მიხედვით წლის განმავლობაში გადიხდის დაახლოვებით 12 მანეთს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მომხმარებელი იმ დროს, როდესაც ენერგიას არ ხარჯავს განათებაზე, ე. ი. დილით ან მაშინ, როდესაც ყველა ლამპები არაა ანთებული, ენერგიას გამოიყენებს სხვა საჭიროებისათვის სადგური ამით არაფერს არ კარგავს, რადგან თავისი ტარიფი მან ისე გამოიანგარიშა, რომ ყოველი ხარჯი დაფარული იქნება იმისდამიხედვით, თუ როგორ და როდის მოიხმარს ენერგიას აბონენტი. მაგრამ აბონენტი ხედავს რა თუ როგორი სარგებლობა მოაქვს ელექტრონის ენერგიის გამოყენებას სხვადასხვა შინაურ, ოჯახურ საჭიროებისათვის მომავალ წლისთვის ზრდის მოთხოვნილებას და ამით აიხსნება, რომ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ ახალი აბონენტები არ მომატებია სადგურებს, ელენერგიის მოხმარება ნორვეგიაში სამჯერ გაიზარდა. მაგრამ შეიძლება ისეთი შემთხვევა იქნეს, როდესაც მომხმარებელს მეტი ელდენი სჭირდებოდეს ვინემ შეიძლება მიღებული იქნეს მზღუდველის კონტროლის ქვეშ. მაშინ მომხმარებელი ტელეფონით ატყობინებს სადგურს, რომ ამა და ამ დღეს მას მეტი ენერგია ესაჭიროება. სადგური აგზავნის მონტიორს, რომელსაც მოქმედებიდან გამოჰყავს მზღუდველი და მომხმარებელს შეუძლია მოიხმაროს ზედმეტი ელექტრონის ენერგია. ამ შემთხვევისათვის ის იხდის მხოლოდ დამატებით ფასს.

ა. ზ—ძე.



ელექტროფიკაციაქმნილი სამზარეულო და სასადილო.

1. ელექტრონის პლიტა; 2, 3, 4 და 5 — საჭმლის სახარში და მოსახრაკავი ჭურჭელი; 6—ელექტრონის სამოვარი; 7—პირსაბანი; 8—სეპარატორი; 9 — საყავე; 10—პურის საჭერი მანქანა; 11—ხორცის საკეპი მანქანა; 12—ელექტრონის საათი; 13—ვენტილიატორი; 14—რადიო; 15—ელექტრონის ბუზის საჭერი მოწყობილობა; 16, 17, 18 და 19—საჭმლისა და ჩაის გასათბობი მოწყობილობა; 20—წყლის ჭურჭელი; 21—ფეხის სათბობი; 22—ელექტრონის საათი.

სხივები—სიცოცხლის წყარო

სულ ახალ-ახალ საოცრებებს აწყდებიან მეცნიერები ულტრა-იისფერი სხივების ბუნების შესწავლის დროს. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ორმა ბიოლოგმა-ექსპერიმენტატორმა **რ. ლილლიმ** და **მ. ხინრიჩმ** ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოაქვეყნეს ცნობა თავისი შესანიშნავი ცდების შესახებ ულტრა-იისფერი სხივების დარგში. მძლავრი სამკურნალო სხივების საშუალებით მათ გაუნაყოფიერებელი კვერცხიდან მიიღეს ცოცხალი ორგანიზმები. ზღვის ზღარბის კვერცხები მოაქციეს ულტრა-იისფერი სხივების გავლენის ქვეშ 5—10 წუთის განმავლობაში, და მეცნიერების განცხადების მიხედვით, მათში გაჩნდა ჩანასახები.

„ტელეფონების ქალაქი"

ბელის ტელეფონის კომპანიამ (ამერიკაში) მხოლოდ ერთი გასული წლის განმავლობაში გააშენა ნიუ-იორკის გარეუბანში—ბრონქსში—მთელი ქალაქი, რომელიც შესდგება ერთი ტიპის ექვს სართულიანი სახლებიდან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახლების აგების მთელ პროცესს, სამუშაოთა მექანიზაციის გამო, მოუნდა მხოლოდ სამოცი დღე. კომპანიას განზრახული აქვს ააგოს იქვე 100-ზე მეტი ასეთივე სახლი, რისთვისაც გადიდებულია 100 მილიონი დოლარი.

კომპანია ამ შემთხვევაში ორ მიზანს ისახავს: კაპიტალების მოგებით დაბანდება და კომპანიის ბრუნვის გადიდება სატელეფონო ქსელის მოწყობით მომავალ ქალაქში.

სახლების აგებამდე კომპანია აწყობს საკუთარ ცენტრალურ სატელეფონო სადგურს, რითაც თავიდან იცილებს სხვა სატელეფონო კომპანიების მეტოქობას.

გაახალგაზრდავების კიდევ ერთი წესი

ჯერ კიდევ ი. ი. მეჩნიკოვი ახდენდა შემდეგ ცდებს: იგი იღებდა ცხოველების ორგანიზმიდან ღვიძლის ქსოვილების ნაწილაკებს, წითელ სისხლის ბურთულებს, სპერმატოზოიდებსა და სხვ. და შეჰყავდა ისინი სხვა სახის ცხოველის სისხლში, მთელ რიგ ასეთ შეზაპუნებათა შემდეგ, მეორე სახის ცხოველის სისხლის შრატს ეძლეოდა შხამიანი თვისება იმ ქსოვილების ელემენტების მიმართ, რომლებიც შეზაპუნებული იქნენ სისხლში: შემდგომ შეზაპუნებათა შემდეგ ეს ელემენტები იშლებოდენ და ითქვიფებოდენ სისხლში.

ამრიგად დამზადებულ „ციტოქსიურ" შრატს მეჩნიკოვი უშხაპუნებდა სისხლში მესამე ცხოველს. აღმოჩნდა, რომ ამ შრატის დიდი დოზები განმანადგურებელ გავლენას ახდენდენ იმ ქსოვილებზე, რომელთა უჯრედები იყვნენ მსგავსი იმ ელემენტების უჯრედების, რომლებიც შესაშხაპუნებელ მასალას წარმოადგენდენ.

მაგრამ ასეთი შრატის მცირე დოზები არა თუ არავითარ ზიანს არ აყენებდნენ შესაფერ ქსოვილებს, არამედ, პირიქით; აძლიერებდენ მათ მოქმედებას.

სისხლის ეს საინტერესო თვისება, დადასტურებული მეჩნიკოვის შემდეგ: უცხოელ და რუს მეცნიერების მთელ რიგ შრომებით, თავისებურად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა, კანის სნეულებათა ექიმმა—სპეციალისტმა კაპმა.

მოხუცებულობის გზაზე დამდგარ კანის სიცოცხლის უნარიანობის ამაღლება—ასეთი ამოცანა დაისახა კაპმა 16 წლის წინად და გადასწყვიტა გადაეჭრა ეს ამოცანა „ციტოქსიური" შრატის საშუალებით. ცხოველებზე ცდების შემდეგ კაპმა ცდები გადაიტანა ადამიანებზე. მიმდინ. წლის დასაწყისში მან გამოაქვეყნა თავისი შრომის შედეგები, რომელიც დაიბეჭდა გერმანიის ერთ ერთ მეტად ავტორიტეტულ საექიმო ჟურნალში.

მოხუცებული გარეგნულ თვისებებს—ნაოჭებიანობას, სიმშრალეს—შეეფერება შინაგანი ცვლილებებიც, რომელთა შენიშვნა შეიძლება მიკროსკოპით: კანის ბუსუსების გაპრტყელება, გარეგანი ფენის (ეპიდერმისის) გათხელება ცალკე უჯრედებში სქელდება გარეგანი გარსი; უჯრედების დაყოფის ნიშნები ნაკლებაა ან სულ არ არა, მათში ჩნდება ბუშტულები და სხვა. კანის სწორედ ამ შინაგანმა ნიშნებმა მიიპყრეს კაპის ყურადღება თავისი ცდების შედეგების შეფასების დროს.

პირველი შედეგები კაპმა მიიღო ბებერ ზღვის გოჭებზე, ციტოქსიური შრატის ყოველდღიური შეშხაპუნების შემდეგ. მათ თანდათანობით გაუსქელდათ ეპიდერმისი, გაუმრავლდათ ასეთ უჯრედების რიცხვი, რომლებიც იყოფოდენ და გაუქრა მოხუცებულობით გამოწვეულ ცვლილებათა ნიშნები. განსაკუთრებით გაიზარდა იმ უჯრედების რიცხვი, რომლებიც იყოფოდენ ადამიანზე ცდების დროს: ბებრებს, რომელთა კანში სრულიად ვერ პოულობდენ უჯრედების ფიგურებს, შეშხაპუნების შემდეგ ჩქარა ჩნდებოდენ ასეთები, რამოდენიმე ცალობით მიკროსკოპის ხედვის თითეულ არეში

გარეგნულად ასეთი მოხუცები აშკარად გაახალგაზრდავდენ: მათი კანი გასწორდა, გარბილდა, უფრო ელასტიური შეიქნა. მრავალ შემთხვევაში მათ სრულიად გაუქრა ნაოჭები სახეზე. შეიცვალა კანის ფერიც, დაიწმინდა, ერთ ფეროვანი შეიქნა.

„ციტოქსიური" შრატის გამაახალგაზრდავებელმა თვისებამ განსაკუთრებით იჩინა თავი სილიკატებთან შეერთების დროს.

ასეთი პრეპარატი, რომელსაც ავტორმა უწოდა „ნოვოპიტელ", ამჟამად მზადდება საფაბრიკო წესით—სითხის ან ტაბლეტკების სახით და მათი გამოცდა სწარმოებს ზოგიერთ კლინიკებში.

გამოცდის შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული თუ ეს ცდები სანახევროდ მაინც აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, ამით იქნება შემუშავებული გაახალგაზრდავების ახალი მეთოდი, რადგან მსგავსი წესებით შესაძლებელი გახდება შესაფერი ზეგავლენის მოხდენა შინაგან ორგანოებზედაც.

უნდა დაუმატოთ, რომ ექ. კაპი „ნოვოპიტელით" სარგებლობდა კანის ზოგიერთ ავადმყოფობათა მკურნალობის დროსაც. ახალმა პრეპარატმა შესანიშნავი შედეგები გამოიღო ოპერაციის შემდგომი ჭრილობების მიმართ. გაქრილი ადგილი „ნოვოპიტელის" ზეგავლენით ისე შეეზარდა, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა ოპერაციის ადგილს.

ექ. ზ. მერიმსკი.

საბჭოთა მსუბუქი აეროპლანით

მოსკოვიდან—ბერლინში

კონსტრუკტორი ამხ. რაფაელიანცი

საკავშირო სამხედრო-საჰაერო აკადემიის (მოსკოვშია) თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების უჯრედი—პირველი პიონერი საბჭოთა მსუბუქი აეროპლანების (ავიეტკების) მშენებლობის დარგში—1926 წ. კონსტრუქტორ რაფაელიანცის პროექტის მიხედვით შეუდგა მსუბუქი აეროპლანის აგებას.

უჯრედი სახელოსნოების მუშებთან ერთად ერთ წელიწადზე მეტს მუშაობდა აეროპლანის აგებაზე და მიმდინარე წლის გაზაფხულზე აეროდრომზე პირველად გამოჩნდა ორ-ადგილიანი, ტილო-გადაკრული ხის ავიეტკა „რაფ", რომელზედაც დადგმულია 55 ძალიანი მოტორი.

პირველმა გამოცდებმა ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. ავიეტის სისწრაფე აღწევდა 130—140 კილომეტრს საათში. აფრენა დედამიწიდან და დაშვება უნაკლოა. გამოჩენილ სპეციალისტების აზრით საბჭოთა ავიეტკა არ ჩამოუვარდება დასავლეთ ევროპის კონსტრუქციის ავიეტკებს.

მფრინავი **ხადოვსკი.** ძველი გამოცდილი პილოტი, რომელმაც ხუთი საათი იფრინა ამ ავიეტკით, აღტაცებულია „რაფ 2"-ის თვისებებით.

ამჟამად ავიეტკას განმეორებით ცდიან. გამოცდების დასრულების შემდეგ ავიეტკა გადაფრინდება მოსკოვიდან ოდესაში და შემდეგ მოსკოვიდან ბერლინში.

„რაფ 2"-ის სიიაფე და მისი მართვის სიმარტივე აყენებენ მას უკანასკნელი წლების განმავლობაში უცხოეთში დამზადებული მსუბუქი აეროპლანების პირველ რიგებში

კვამლთან ბრძოლა ამერიკაში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფაბრიკის მილებიდან ამოსულ კვამლს სიხარულით შეჰყურებდენ—ეს იყო თითქოს ეკონომიური კეთილდღეობის სიმბოლო.

ამჟამად კი შეხედულება კვამლზე არსებითად შეიცვალა. ახლა ყველამ იცის, რომ კვამლი წარმოებისათვის ზარალის წყაროა და ამიტომ ყოველგვარ ზომებს იღებენ, რათა ფაბრიკა-ქარხნებმა უკვამლოთ იმუშაონ.

კვამლის მიერ მიყენებული ზარალი სამგვარია: **პირველი**—მას თან მიაქვს ნახშირის უმცირეს ნაწილების არაჩვეულებრივად დიდი რაოდენობა და ამით წარმოებას აყენებს მნიშვნელოვან ზარალს; **მეორე**—იგი აფუჭებს ჰაერს და ავნებლათ ხდის მას ჯანმრთელობისათვის; და, **მესამე**—იგი მჭვარტლით ფარავს, სვრის შენობებს, რომელთა გაწმენდაზე დიდი თანხა იხარჯება.

ამერიკელებმა, რომლებიც კარგათ გაეცნენ კვამლთან ბრძოლის მთელ მნიშვნელობას, გამოიანგარიშეს, რომ ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ქალაქში—ჩიკაგოში, სადაც ყოველწლიურად წვავენ 30 მილიონ ტონა ნახშირს (62×30.000.000=1.860.000.000 ფუთი), ზარალი, გამოწვეული ნახშირის არაწესიერი დაწვით (კვამლიანობით) აღწევს უდიდეს ციფრს—დაახლოებით 42 მილიონ დოლარს (84 მილიონ მანეთს).

ყურადღების ღირსია ის ღონისძიებებიც, რომელთაც ამერიკელებმა მიმართეს ამ ზარალის თავიდან ასაცილებლათ. საქმეს ხელი მოჰკიდა ქ. ჩიკაგოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ. მან გამოუშვა დიდძალი ფურცლები და პლაკატები, რომლებშიც მოსახლეობას განუმარტავდენ, თუ რა ზიანი მოაქვს კვამლს და როგორ შეიძლება ამისი თავიდან აცილება. ეს ლიტერატურა ვრცელდებოდა მთელს ქალაქში და კერძოთ დაგზავნილ იქნა ფაბრიკა-ქარხნებში იმ მიზნით, რათა გაეკრათ საქვაბო განყოფილებებში, როგორც სახელმძღვანელო ცეცხლფარეშებისათვის. გარდა ამისა, შედგენილ იქნა სპეციალური რაზმი 27 სპეციალისტ-ინჟინერისგან, რომელსაც დაევალა ფაბრიკა-ქარხნების საქვაბო განყოფილებების დათვალიერება იმის შესამოწმებლად ადგილობრივ, თუ როგორ აწარმოებს სათბობ მასალის წვა და ინსტრუქციების მისაცემად ღუმელების შესაფერად მოწყობის და სათანადო ხარისხის საწვავი მასალის შერჩევის დარგში.

ჩიკაგოში ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ქალაქში არის 400.000 მილი ცალკე სახლებში (ერთ-ორ ოთახზე) და 55.000 მეტი მილი დიდ სახლებში და ფაბრიკა-ქარხნებში. ამას უნდა დაემატოს კიდევ 1.800 ორთქლმავლის (სწორედ ამდენი ორთქლმავალია მუდმივად ჩიკაგოს ფარგლებში, საშუალოდ) საკვამლებელი მილი. კვამლის ამ წყაროებისათვის თვალყურის სადევნებლად ქალაქში აგებულია 12 კოშკი, საიდანაც მორიგეები თვალყურს ადევნებენ კვამლს. როგორც კი შენიშნავენ, რომ რომელიმე მილიდან ნორმალურზე მეტი კვამლი ამოდის.ისინი დაუყოვნებლივ ტელეფონით აცნობებენ ვისაც ჯერ არს (ქარხანას, სახლის მმართველობას და სხვ.), რათა მიღებული იქნეს ზომები კვამლის შესაწყვეტად. უფრო ძნელია კვამლთან ბრძოლა ორთქლმავლებზე. აქ საკითხი წყდება მხოლოდ ელექტრონულ წევაზე გადასვლით.

ჩიკაგოს ჯანმრთელობის განყოფილების მიერ კვამლთან საბრძოლველად მოწყობილ საკონსულტაციო ბიუროს მუშაობამ მშვენიერი შედეგები გამოიღო. მიუხედავად ქალაქის არაჩვეულებრივად გაფართოებისა და მისი მრეწველობის ზრდისა (ორივე მომენტთან დაკავშირებულია საკვამლე მილების რიცხვის ზრდა), ქალაქის ჰაერი უფრო და უფრო თავისუფლდება კვამლისაგან და მაშასადამე უფრო ჯანსაღი ხდება, ჩიკაგო ამ მხრივ სანიმუშოა ამერიკის სხვა ქალაქებს შორის.

მუშა მუხარტოვის გამოგონება

მოსკოველმა მუშა-გამომგონებელმა მუხარტოვმა გამოიგონა ახალი, სრულიად უშიშარი „პრიმუსი".



დღემდე არსებული სისტემის პრიმუსებს მრავალი ნაკლი ჰქონდათ: ხშირად ფეთქდებოდენ, ანთების დროს დიდი ხმა ჰქონდათ.

მუშა მუხარტოვის მიერ გამოგონებულ პრიმუსში ყველა ეს ნაკლოვანებები თავიდან არის აცილებული.

პირველ ყოვლისა, პრიმუსის ქვედა-ნაწილს მან მისცა სულ სხვა ფორმა: დაამზადა ხვიისებურ სპილენძის მილებიდან. მილის ერთ თავში გაკეთებულია საქაჩავი, მეორე თავი—ბოლო კი პრიმუსის ასანთებ ნაწილში (горелка) თავსდება.

ამ მოხერხებული კონსტრუქციის წყალობით სავსებით არის აცილებული პრიმუსის აფეთქების საფრთხე.

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო-ტეხნიკურმა სამმართველომ შესაფერად დააფასა მუხარტოვის პროექტის დადებითი მხარეები და წინადადება მისცა მოსკოვის სამომხმარებლო საზ-ბის ქარხანას დამზადებინა „პრიმუსის" მოდელი მუხარტოვის ნახაზების მიხედვით.

მოდელი დაამზადეს და მისმა გამოცდამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო: პრიმუსი არ ხურდება და არც ხმა აქვს.

განზრახულია შეუდგენ ახალი პრიმუსების მასიურად დამზადებას.

მოცვი—დიაბეტის წინააღმდეგ

ექიმებმა **ალლენმა** და **მორისტონმა** ამერიკის ექიმთა ასოციაციის კრებაზე გააკეთეს მოხსენება მათ მიერ დიაბეტის (შაქრის ავადმყოფობის) წინააღმდეგ აღმოჩენილ ახალი საშუალების შესახებ. ამ პრეპარატს ეწოდება „მირტილინი" და დამზადებულია მოცვის მარცვლებიდან.

81 ავადმყოფიდან, რომელთაც უწამლეს „მირტილინით", 6 სრულიად განიკურნა, 26-ის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, 21 შემთხვევაში მკურნალობამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. „მირტილინი" ექიმ ალლენისა და მორისტონის განცხადებით, წარმოადგენს ინსულინის დამატებას შაქრის ავადმყოფობის მკურნალობის დროს.

მიტტაგ-ლეფლერი

გარდაიცვალა ცნობილი შვედი მათემატიკოსი. დაიბადა ის 1846 წ. იყო სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორი და მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის საპატიო პრეზიდენტი. ლეფლერის შრომები უმთავრესად შეეხება ფუნქციების თეორიას და მნიშვნელოვან დებულებებით ავსებს მის წინამორბედების შრომებს.

ავტომობილის გამძლეობა

თუ რა გამძლეობას იჩენენ თანამედროვე ავტომობილები, ამას ამტკიცებს შემდეგი არაჩვეულებრივი ცდა, რომელიც ერთმა ამერიკელმა სავტომობილო ფირმამ ჩაატარა მრავალრიცხოვან მაყურებლების თვალწინ:

ავტომობილმა განავითარა პირდაპირ გზაზე 110 კილომეტრის სიწრაფე საათში და ამ სისწრაფით აირბინა სამი მეტრის სიმაღლის გორაკზე, საიდანაც 15 მეტრი გაიარა ჰაერში მიწაზე დაშვების შემდეგ ავტომობილი განაგრძობდა გზას, ვითომ არაფერი მომხდარა.

რაზე იხარჯება ორთქლმავლის ენერგია

როგორც ვიცით, ორთქლმავალში დამწვარ სათბობი მასალის მიერ წარმოშობილ ენერგიიდან ნაყოფიერად იხარჯება მხოლოდ 5 პროცენტი. თუმცა უკანასკნელ ხანებში უცხოეთის ტეხნიკამ ბევრი რამ გააკეთა ორთქლმავალში წარმოშობილი ენერგიის რაც შეიძლება მეტი ნაწილის გამოსაყენებლად ნაყოფიერად, მაგრამ მაინც ორთქლმავალი დღემდი წარმოადგენს ყველაზე არაეკონომიურ მანქანას.

გზაში ლენინგრადიდან მოსკოვამდე ჩქარი მატარებლის ორთქლმავალში იწვება 13.000 კილო ნახშირი. ამ რაოდენობიდან მხოლოდ 600 კილოგრამი იხარჯება ორთქლმავლის მოძრაობაზე. მთელი დანარჩენი საწვავი მასალა არანაყოფიერად იკარგება: 6.000 კილო ქრება გამოშვებული ორთქლით და იხარჯება ხახუნის დაძლევაზე, 2000—მიდის კვამლის სახით, 1.800 კილო იყრება ფეჩიდან ნაცართან ერთად, 1200—ხმარდება ქვაბის კედლების გათბობას და გამოსხივებას და, დაბოლოს, 1.000 კილოგრამი იქცევა ნაცრად. ამრიგად, საწვავი მასალის თითქმის ნახევარი იკარგება დაწვის არადამაკმაყოფილებელი წესების გამო, დიდი რაოდენობა იკარგება თვით მანქანის ნაკლოვანებათა წყალობით და მხოლოდ ხუთი პროცენტი ხმარდება ორთქლმავლის მოძრაობას.

საქართველოს ცაკში

გლეხკომების მუშაობის გამოკვლევა

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გლეხკომების მუშაობა-საქმიანობის გამოსაკვლევათ თბილისის მაზრის სოფლებში და თემებში გუშინ გაგზავნა თავის ინსტრუქტორი.

გლეხკომები საამშენებლო ფრონტზე

სოფელ ერწოში (დუშეთის მაზრა) გლეხკომმა თავის ინიციატივით გამოიყვანა სამუშაოთ გლეხები და გააკეთა მდინარეზე ერთი დიდი ხიდი. ხიდის გასაკეთებლად გლეხების მიერ უფასოთ გაწეული შრომის გარდა, ერწოს გლეხკომმა თავის ფონდიდან ფულათ დახარჯა — 1.501 მანეთი.

მშენებლობა

ქუთაისის მაზრაში

ამჟამად ქუთაისის მაზრაში გაცხოველებული მშენებლობაა. კერძო მშენებლობის გარდა ადგილობრივი გლეხები თვითდაბეგვრისაგან შეკრებილ თანხებით აგებენ საზოგადოებრივ შენობებს. აკეთებენ გზებს, ხიდებს, და გაჰყავთ კანალიზაცია. სოფ. გოშში ოთხწლედი გადააკეთეს შვიდწლედათ. გლეხთა ახალგაზრდობისათვის გორაში შენდება სკოლა, რომლისთვისაც თვითდაბეგვრის საშუალებით შეკრებილია 6.000 მანეთი. სოფ. ამაღლებაში შენდება შვიდწლედი, რომლის ასაგებად ადგილობრივ თემის გლეხობამ შეაგროვა 11.000 მანეთამდი. ვანში მოაწყვეს სამკურნალო პუნქტი და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. რომელზედაც დაიხარჯა 15.000 მანეთი. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სოფ. ტობანიერში შენდება 38 ოთახისაგან შემდგარი შენობა, კულაშის თემში აშენებენ პარატა ელექტრო სადგურს. კუხში სწარმოებს თანხების შეგროვება სახალხო სახლის ასაგებად. ამას გარდა, აქვე შენდება მეორე შვიდწლედის შენობა, რომელიც დაჯდება 60.000 მანეთამდე. ასეთივე შენობა შენდება აგრეთვე დიდიჯიხაიში. მდინარე ჭკუშურზე აკეთებენ ბეტონის 15 საჟინიან ხიდს, რომელიც ერთმანეთს დააკავშირებს ვანისა და ტობანიერის თემს. ამას გარდა, სატელეფონო კავშირი ეწყობა ინეთისა, ფარცხანაყანევის, ქვიტირისა და მუხიანის შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია და დასაფასებელია ის გარემოება, რომ მთელი მშენებლობა ხდება გლეხობის ინიციატივით და საშუალებებით.

მეცხვარეთა შორის

მეცხვარეების მომარაგება

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსმა" წელს თავის წევრ მეცხვარეებს შეღავათიან პირობებში დაურიგა ხორბალი—10.000 ფუთი, ქერი—3.000 ფუთი, მარილი—8.000 ფუთი, ფარაჯა—1.000 ცალი, ნაბადი—300 ცალი. გარდა ამისა სხვადასხვა სამეურნეო იარაღი და ტანსაცმელი ღირებული 10.000 მანეთად.

მატყლი

„სოფლის კავშირს", დადებულ ხელშეკრულებით მწყემსმა წელს უნდა დაუმზადოს 25.000 ფუთი გაზაფხულის მატყლი. ამ ხელშეკრულებას „მწყემსი" უკლებლივ შეასრულებს.

დამზადება სამეურნეო წესით

ამ წლის იანვრიდან „მწყემსმა" შემოიღო მატყლის სამეურნეო წესით დამზადება. წინეთ მატყლს ამზადებდნენ აგენტების საშუალებით. რომლებიც ცდილობდნენ მეტი წონის მიღებას და მატყლის ხარისხს კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ახლად შემოღებულ სამეურნეო წესის დროს დამამზადებელი წონით არ არის დაინტერესებული და ამის გამო დამზადებულ მატყლის ხარისხმა საგრძნობლად აიწია.

თამბაქოს პლანტაციები

ლაგოდეხში

გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელს თამბაქოს პლანტაციების სივრცე მეტია. თამბაქოს ნათესების მდგომარეობა გასულ წლის ამავე პერიოდთან შედარებით უკეთესია. თამბაქოს ფოთლის პირველი შეკრეფა უკვე დაიწყო. პლანტატორებს წინდაწინვე აქვთ შეკვეთილი. თამბაქოს წლევანდელი მოსავალი. დამზადება მიმდინარე წელსაც მიღებული აქვს კოოპერატიულ ორგანიზაციებს და საკრედიტო ამხანაგობებს; ამჟამად სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საწყობში ინახება გასული წლის მოსავლის თამბაქოს მარაგი სულ 60 ათასი ფუთი, რომელიც ნაწილი დაკვეთილია და ამ მოკლე ხანში იქნება გასაღებული. თვითეული ფუთი თამბაქო გლეხებისაგან შეძენილია 15 მანეთათ. ამ ფასით გლეხები კმაყოფილი არიან. ლაგოდეხის თამბაქოს მთავარი გამსაღებელი არის სააქციო საზოგადოება „ტაბაკსირიე" რომელსაც დაკვეთილი აქვს გასული წლის მოსავლის 40 ათასი ფუთი.

მელიორაცია

ახალი სამუშაოები აჭარისტანში

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამთავრა და უმაღლეს ორგანოებში დასამტკიცებლად წარადგინა მომავალ სამელიორაციო - საირიგაციო სამუშაოების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

ამ გეგმით მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ხუთი ახალი სარწყავი არხის გაყვანა ზემო აჭარაში. ამ არხების საერთო სიგრძე იქნება 90 კილომეტრი, არხებით მორწყული იქნება დაახლოვებით 15 ათასი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა. იმავე გეგმით გათვალისწინებულია დიდი აჭარის, დისპონარეულის და ქედოგლინის არხების შეკეთება. ამ არხების საერთო სიგრძე უდრის 43 კილომეტრს.

იმავე წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ გამომუშავებულია პროექტი აჭარისტანის თერთმეტ სოფელში ახალი წყალსადენების გასაყვანად. დანიშნულია სპეციალური კომისია, რომელსაც ბათომის მაზრაში მინდობილი აქვს ყველა იმ რაიონების გამოკვლევა, რომელნიც სასმელი წყლის ნაკლობას განიცდიან. ამჟამად მიმდინარეობს აჭარისტანის დაჩარჩენი მაზრების გამოკვლევა, რომლის დამთავრებისათანავე შედგენილ იქნება სამუშაოების დაწვრილებითი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

გავშვთა კომისიები

ა.-კ. ცენტრ. აღმას. კ-მმა დაადგინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრ. აღმას. კომიტეტებს მიეცეს უფლება ნება დართონ ბავშვთა კომისიებს მოაწყონ სამრეწველო და სავაჭრო ხასიათის წარმოებები.

ა.-კ. ცაკის მიერ ასეთივე უფლებები ენიჭებათ ქალაქის და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთაც ამ დადგენილებით შეუძლიათ ნება დართონ უპატრონო ბავშვებზე მზრუნველ ორგანოებს მოაწყონ სამრეწველო და სავაჭრო ხასიათის წარმოებები.

საბიუჯეტო უფლებები

ამიერ - კავკასიის ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დაამუშაოს და წინასწარ განსახილველად წარუდგინოს ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს დებულების პროექტი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების და მასში შემავალ რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების შესახებ. პროექტი საბოლოოდ დამტკიცებული იქნება ამიერ - კავკასიის ცენტრ. აღმას. კომიტეტის უახლოეს სესიაზე.

გაუქმებული ელექტრო-სადგურები

ზაჰესის ამუშავებასთან დაკავშირებით თბილისში დაიხურა და აღარ მუშაობს 12 მსხვილი ელექტრო - სადგური. აღნიშნულ ელექტრო-სადგურებიდან თითქმის ყველა ელექტრო-მოწყობილობანი და დიზელები დაურიგდათ სხვადასხვა სამაზრო აღმასკომებს პროვინციაში ახალი ელექტრო - სადგურების ქსელის მოსაწყობად.

ძველი ელექტრო - სადგურების წესის შესახებ თბილისის ელექტრო - მოწყობილობათა სამმართველოს უფროსმა ამხ. **ცანავამ** ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— ამჟამად თბილისში კიდევ მუშაობს ნაწილობრივად მხოლოდ 3 სადგური. აქედან ყოფ. № 2 სადგური მუშაობს სრული დატვირთვით, ნაწილობრივად მუშაობს № 3 და № 6 სადგურები. ორი უკანასკნელი სადგური მუშაობს უმთავრესად სხვადასხვა წარმოებათათვის და ზოგიერთ დაწესებულებათათვის დღისით სინათლის მისაწოდებლად.

ძველი სადგურებიდან დიზელის მანქანების განაწილება სამაზრო აღმასკომებს შორის ხდებოდა შემდეგი წესით: სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი სამისო შუამდგომლობით მიმართავდა ქალაქის აღმასკომს და შემდეგ ჩვენ მას ვაძლევდით ელექტრო - მანქანებს სრული თავისი მოწყობილობით კრედიტის ანგარიშში. მანქანების ღირებულების გადახდის ვადათ დაწესებულია 1—3 წელიწადი.

ყველა მანქანები გამოსადეგია საექსპლოატაციოდ და ამ მხრივ საქ. სამაზრო ქალაქები სრულიად უზრუნველყოფილი არიან კარგი ღირსების მანქანებით. ყველა განაწილებულ აგრეგატების საერთო ძალა უდრის 2.800 ცხენის ძალას.

ზოგიერთ ქალაქებში ჩვენგან წაღებული აგრეგატების დადგმას ვხელმძღვანელობთ ისევ ჩვენ, ხოლო ზოგან კი მანქანებს დგამენ ადგილობრივი ძალები.

მაზრებიდან მიღებული ცნობების თანახმად ადგილებზე განსაკუთრებით მწვავედ სდგას ამ ჟამად საკითხი სადგურზე მოსამსახურე ტეხნიკური პერსონალის შესახებ. კვალიფიციური მონტიორები არ სთანხმდებიან წავიდნენ პროვინციებში სამუშაოდ, ხოლო ადგილობრივ კი ასეთი ძალები იშვიათად მოიპოვება.

რკინისგზაზე

ამხ. რუდის ჩამოსვლა

ამ დღეებში თბილისში მოელიან გზათა კომისარიატის კოლეგიის წევრს და სარკინისგზო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს უფროსს ამხ. **რუდის**.

ა.-კ. რკ. გზ. საზღვარი

ჩრდილოეთ - კავკასიის და ამიერ - კავკასიის რკინისგზების ურთიერთ დამოკიდებულების სავსებით გამოსარკვევად გზათა კომისარიატმა ა.-კ. რკ. გზ. საზღვარი დაამტკიცა დერბენტამდე.

აქამდე ა.-კ. რკ. გზ. საზღვარი ჩრდილოეთ-კავკასიის რკ. გზ. მხრიდან გადიოდა ბელეჯისა და არაბლინსკის სადგურების შუა.

საზღვრის დერბენტამდე გაგრძელება ა.-კ. რკ. გზების სიგრძეს ადიდებს დაახლოვებით 12 კილომეტრით.

ტყიბულის ქვანახშირი

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს სათბობ მასალების განყოფილებას ამას წინად მთავარ სათბობ - სამთო სამმართველოს მიერ მიეცა წინადადება, შეთანხმებოდა ა.-კ. რკ. გზას 1927—28 წელს უკანასკნელისათვის ტყიბულის ქვანახშირის ჩაბარების შესახებ.

თანახმად ამისა, საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს სათბობ მასალების განყოფილებამ მიმართა თხოვნით ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას, დაუყოვნებლივ აცნობოს მას, თუ რამდენი ქვანახშირი დასჭირდება გზებს 1927—28 წლისათვის.

გზების მომარაგება შეშით

ცენტრის წინასწარი გამონაგარიშებით, საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა ა.-კ. რკ. გზებს 1927—28 წელს უნდა ჩააბაროს 100.000 კუბ. მეტრი შეშა, სომხეთის სატყეო ტრესტმა — 30.000 კუბ. მეტრი და აზერბეიჯანისამ — 20.000 კუბ. მეტრი.

შემთხვევა სად. თბილისში

5 აგვისტოს დილის 9 საათზე ჩქარი სახალხო მატარებელი ნაცვლად პირველი ხაზისა მიიღეს მეცამეტე ხაზზე. მატარებელი იქ გააჩერეს ისარზე და შემდეგ გადაიყვანეს პირველ ხაზზე.

ისრებს მატარებლის მიღების დროს მმართავდნენ უფროსი მეისრე გულიკაშვილი და უნცროსი მეისრე კოლუმბეგაშვილი, რომლებიც ამ შემთხვევის გამო მოხსნილ იქნენ სამსახურიდან.

წყლის მიწოდება შესწყდა

5 აგვისტოს სადგ. ზესტაფონში, წყალსადენის მოტორის გაფუჭების გამო შესწყდა წყლის მიწოდება ოთხი საათის განმავლობაში.

ამის გამო 6 აგვისტოს მატარებლები იგვიანებდნენ სადგ. ზესტაფონში, რადგან ორთქლმავლები წყლის ასაღებად იგზავნებოდნენ შორაპანში.

აღნიშნულ მიზეზის გამო გზაში დააგვიანდა რამოდენიმე საბარგო მატარებელს.

ქრონიკა

მიწისძვრა

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 5-დან 6 აგვისტოს, ღამით 12 საათსა და 24 წუთზე (თბილისის დროით), აღნიშნულია მნიშვნელოვანი მიწისძვრა. კერა დაშორებულია თბილისიდან 7.500 კილომეტრის მანძილზე, ალბათ მდებარეობს აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე.

საბჭოთა მშენებლობის და რაიონებად დაყოფის კომისია

ამიერ - კავკასიის ცენტრ. აღმასრულებელი კომისიის პრეზიდიუმის მიერ ამიერ - კავკასიის რაიონებად დანაწილებისა და საბჭოთა აღმშენებლობის კომისიაში დასახელებული არიან ამხანაგები:

ჯუღელი, ჰუსეინოვი, შავერდოვი, შეფტელი, ქართველიშვილი, გაჯინსკი, ხუმარიანი, რუბენი, მუსაბეკოვი, შავერდოვა, ალაფუზოვ, ამბარცუმიანი, ანესოვლიანი, მათიკაშვილი, აღციაური, ზოიძე, გეგელია, კოზაევი, ალი-მამედოვი, მუსაევი, რზაეფი, ნოვრუზი, კარაგეზოვი და სვირდოვი.

ამერიკელი ტურისტები

გუშინ, საღამოს 11 საათზე, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი ტურისტების პირველი ჯგუფი 17 კაცის შემადგენლობით.

ტურისტები თბილისში დარჩებიან რამოდენიმე დღე, შემდეგ გაემგზავრებიან ბათომში და იქიდან ზღვით ყირიმში.

ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციის გამგზავრება

გუშინ დილით ავტომობილებით კავკავით მოსკოვისაკენ გაემგზავრა ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია.

ექსკურსია სამეცნიერო მიზნით

საკავშირო რესპუბლიკების სხვადასხვა სასოფლო - სამეურნეო საცდელ - საჩვენებელ დაწესებულებების დასათვალიერებლად ახლო ხანში გაემგზავრება სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო დარგის მე-4 კურსის სტუდენტთა ექსკურსია პროფ. **ჯანდიერის** ხელმძღვანელობით.

ცეკავშირში

◆ **აბრეშუმის პარკის** შესაძენად წელს ცეკავშირი დახარჯავს 4 მილიონ მანეთს.

◆ **ძირითად კოოპერატივებისათვის** ცეკავშირმა შეიძინა 30 რონოდა ფართალი.

◆ **პურის თქვილი.** გასულ თვეში ცეკავშირმა მაზრებში სულ დაავზავნა 30 რონოდა პურის ფქვილი.

პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროში

◆ **სტუდენტთა დელეგაცია.** პროლეტსტუდენტთა ბიურომ მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ ამ თვის შუა რიცხვებში მოსკოვიდან საქართველოსაკენ გამოემგზავრება სამხრეთ-ხლავის სტუდენტთა დელეგაცია.

◆ **ექსკურსია ყირიმში.** სახ უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტები ლექტორ ჩოლაყაშვილის და შოდებაძის ხელმძღვანელობით საექსკურსიოთ მიემგზავრებიან ყირიმში.

თბილისის აღმასკომში

◆ **სტუდენტებისა და მუშფაკელებისათვის** საერთო საცხოვრებელის ასაგებათ ვაკეში აღმასკომმა გადასდო 20.000 მანეთი.

◆ **საბავშო მოედნები.** მუშათა უბნებში განათლების განყოფილებამ გახსნა 4 ადგილას საბავშო მოედანი.

◆ **ტელეფონის ქვე-სადგური.** თბ. აღმასკომთან ეწყობა ტელეფონის ქვე-სადგური.

◆ **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** თბილისის აღმასკომმა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად გადასდო 5.000 მანეთი.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **ჭრა-კერვის სახელოსნომ** უმუშევარ ქალთათვის სასახლის ქუჩაზე მოაწყო უმუშევართა კოლექტივი.

ჯანსახკომში

◆ **ფასების დაკლება.** ჯანსახკომის ცნობით, ფასები წამლეულობაზე დაკლებულია 10,3 პროც.

◆ **საბებიო - გინეკოლოგიური** ინსტიტუტთან არსებული საექიმო ტეხნიკუმი წელს დაასრულა 54 კაცმა.

სხვადასხვა

◆ **ტყვარჩელის ქვა-ნახშირის** შაღნებამდე ოჩემჩირედან გზის გასაყვანად გადაიდო 5000 მანეთი.

◆ **მე-2 საღამო - ტეხნიკუმი** დაამთავრა 55 კაცმა.

◆ **ექსკურსია.** ფიზკულტურის საბჭო დღეს აწყობს ექსკურსიას მცხეთაში. ზაჰესის ტბაზე ექსკურსანტები მოაწყობენ ნაოსნობაში შეჯიბრებას და სხვ.

საბინაო მშენებლობა

◆ **97 სახლი.** წელს თბილისში აგებული იქნება 97 ახალი სახლი.

◆ **საბინაო კოოპერატივები.** ამჟამად თბილისში არსებობს 213 საბინაო კოოპერატიული ამხ-ბა.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

გუშინ დილით შაშხანა თოფით თავი მოიკლა ვლადიმერ გარგუნეცმა (დასავლეთის ქ. № 5.)

თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **ოქროს საათი.** 5 აგვ. კადეტის ქ. № 2 მიხეილ სტეფანოვის ბინიდან მოიპარეს ოქროს საათი ძეწკვით, 150 მ. ღირებული.

◆ **სასადილო „პალერმოდან"** 5 აგვისტოს მოიპარეს ხალიჩა.

◆ **ვარდის მოედანზე.** 5 აგვისტოს გაქურდეს ივანე ზამუკოვის სავაჭრო.

◆ **ქურდი შვილი.** 5 აგვ. წიკოლოზის ქ. № 31 თედორე რუდოევს მისმა შვილმა მოპარა 200 მ. ღირებული ნივთები.

◆ **ტრამვაის რონოდაში.** პლეხანოვის პრ. ბორის ვაიდუშენკოს ჯიბიდან ამოაცალეს 103 მან.

◆ **ვერცხლის ქამრის** მოპარვისათვის 5 აგვისტოს შეიპყრეს არტაშ ხაჩატუროვი.

◆ **მტკვარში ბანაობის** დროს 5 აგვისტოს ბორის ჩერნოვს მოპარეს ტანისამოსი და 25 მან. ფული.

სასამართლო

([illegible] კბილები)

ხეიფულა სერგეევი როკფელერად გრძნობდა თავს, როცა ის გაუდგა გზას თბილისიდან ბათომამდე.

მის ქონებას შეადგენდა: 500 მანეთი ფული, ორი ოქროს ძეწკვის საათი და მრავალი ოქროს კბილები.

გადის ხანი. სერგეევი ბრუნდება თბილისში.

აქ ხეიფულა გაერთო „ძაა-ბიჭებში" და ხელი მიყო ხელგაშლილ ცხოვრებას.

ისე მიდიოდა დრო, რომ სერგეევი ვერც ამჩნევდა. თანაც ის ძლიერ გართული იყო „რულეტკის" თამაშში.

თამაშში სერგეევს უმუხლთა ბედმა და მთელი ეს 500 მანეთი წააგო.

წააგო აგრეთვე ოქროს საათი და სხვა ძვირფასი ნივთები.

დარჩა ხეიფულა უფულოდ.

იფიქრა, იფიქრა და გამონახა ერთი „უებარი" საშუალება: სახელდობრ: ამოიძრო ჯერ ერთი ოქროს კბილი, გაჰყიდა, აიღო ფული წავიდა ითამაშა — წააგო; ამოიძრო მეორე კბილი, გაჰყიდა, აიღო ფული, ითამაშა და წააგო.

ასე „ერთობოდა" სერგეევი, სანამ უკანასკნელ კბილზე არ მიდგა ჯერი.

მაგრამ აქ ცოტა „მომჭირნეობა" გამოიჩინა ხეიფულამ. ეს ერთად ერთი კბილი შეინახა „შავი დღისათვის".

გადასწყვიტა დაეწყო „ორი თითით მუშაობა". წავიდა გასავარჯიშებლად ნავთლუღში, მიუცოცდა ერთ გლეხს, ჩაუყო ხელი ჯიბეში და ამოაცალა ქისა, მაგრამ, როგორც სათანადო „პრაქტიკას" მოკლებული უკვე დააპატიმრეს. ქისაში სულ აღმოჩნდა ექვს აბაზ ნახევარი.

სასამართლომ სერგეევს მიუსაჯა ერთი თვის ციხე.

სერგეევმა მოისმინა განაჩენი, დაღუნა თავი და სევდიანათ ჩაილაპარაკა:

— „არ მინდოდა უკანასკნელი კბილი ამომეძრო, მაგრამ სხვა რა გზა დამრჩენია".

ქ.

მკვლელობა ტროცკის ქუჩაზე

ა. წ. 26 აპრილს, მესამე სამილიციო კომისარიატში მიიღეს ცნობა, რომ ტროცკის ქ. № 10-ში ბოქლომით დაკეტილ ოთახში ნაპოვნია მოკლული კაცის გვამი. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურორი სწარმომადგენელნი. ზეინკალის საშუალებით გააღეს ოთახის კარი. გამოირკვა, რომ მოკლულს ყელი ჰქონდა გამოჭრილი ხანჯლით.

მოკლული აღმოჩნდა ივანე კულიშოვი.

მოკლულის ოთახში იპოვნეს 7 ცალი თამასუქი.

გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედებს ჩაუდენია მამა-შვილს — პავლე და მინა ნასარიძეებს.

რამოდენიმე ხნის წინად კულიშოვს ფული უსესხებია მინა ნასარიძესათვის. უკანასკნელს ვალი არ გაუსტუმრებია კულიშოვისათვის.

როცა კულიშოვმა ვალი მოსთხოვა ნასარიძეს, მამა და შვილი სიკვდილით დაემუქრნენ.

ბოლოს შამა-შვილმა კულიშოვის მოკვლის განზრახვა სისრულეში მოიყვანეს.

ღამით ნასამირენი თავს დაესხნენ კულიშოვს, უკანასკნელი ემუდარებოდა მათ არ მოეკლათ იგი და აძლევდა პატიოსან სიტყვას, რომ ვალს არ მოსთხოვდა. გამხეცებულმა პავლე ნასარიძემ ამოიღო ხანჯალი და გამოსჭრა ყელი. მინა ნასარიძემ კი თოფის კონდახით სცემა ყელგამოჭრილ კულიშოვს.

მკვლელები დაპატიმრებულია. საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

ხელოვნება

ელენე ბორონკინას კონცერტი

თითქმის ორი წლის აქ არ ყოფნის შემდეგ თბილისში დაბრუნდა მსახიობი ქალი **ელენე ბორონკინა.** ამ ორი წლის განმავლობაში ის მოღვაწეობდა შორეულ აღმოსავლეთში, კერძოთ — იაპონიაში. მსახიობი ქალი მღერის წინანდებურზე უფრო დასრულებულად, მას ახასიათებს კარგი გადმოცემა, ტემპერამენტი, კარგი ფრაზიროვკა, მაგრამ მისი ხმის ტემბრი ძველებურად მკრთალია, ფართე კანტილენისათვის შეუფარებელი. მსახიობ-ქალის წარმატება აიხსნება მისი დახელოვნებული შესრულებით, რითაცი ს ფარავს თავისი ხმის დეფექტებს. ემჩნევა დიდი ერუდიცია, მაგრამ ვოკალურ ხელოვნებაში მარტო ერუდიცია არ არის საკმარისი.

მსახიობ-ქალმა კარგად შეასრულა იპოლიტოვ-ივანოვის რომანსი „ნუ დამტოვებ", აკლდა ტემპერამენტი თამარის არიას „თამარ ცბიერიდან" (ქართულ ენაზე).

კონცერტში მონაწილეობა მიიღო მომღერალ — ქალმა **ოქროპირიძემ,** რომელმაც გამოიჩინა მუსიკალობა, ძლიერი ხმა, საჭიროა თავის დაღწევა ხმის ვიბრაციისაგან, (ხმის კანკალი) და ხნისათვის მრავალფეროვანობის მიცემა. საჭიროა დიქციის დამუშავება, ის მკრთალია.

მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა აუდიტორიაზე **ვენაძემ,** რომელსაც აქვს მშვენიერი ხმა და ეტყობა, წინსვლა კამერულ (საკონცერტო შესრულების) დახელოვნებაში. განსაკუთრებით ეს საგრძნობია ექსპრესიის და ვოკალიზაციის მხრივ მძიმე რომანსების შესრულებაში რუსულ რეპერტუარიდან (ჩაიკოვსკი და გლიერი). გრძნობით შეასრულა მსახიობმა გოჩის არია „თამარ ცბიერის" მეოთხე აქტიდან და სუფრული „დაისიდან".

ნიჭიერმა მოცეკვავეებმა **რატუშენკომ და გორსკიმ** გატაცებით (თუმცა არა რიტმიულად) შეასრულეს უნგრული ცეკვა.

მეტად მუსიკალურია **ანდრონიკაშვილის** აკომპანიმენტი.

ვ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **წითელი თეატრის შესაკეთებლად.** თბ. აღმასკომმა გადასდო 15.000 მანეთი.

◆ **ლექცია სახვით ხელოვნებაზე.** დღეს 12-2 საათამდი მუშათა ცენტრალურ კლუბში პროფ. **მოსე თოიძე** წაიკითხავს მუშებისათვის პოპულიარულ ლექციას სახვით ხელოვნებაზე. ლექციის ძირითადი თეზისებია: 1. რა არის ხელოვნება? საიდან წარმოიშვა და რა მნიშვნელობა აქვს. 2. იდეა და ფორმა, თემა და ტეხნიკა, რის და როგორი ხატვის საკითხია ხელოვნებაში, 3. ანალიზი: ეროვნული, კლასობრივი და საერთო ელემენტები ხელოვნებაში.

◆ **მომღერალთა გუნდი.** მარო თარხნიშვილის მომღერალთა გუნდი ერთი თვით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში კონცერტების გასამართავად. გუნდი პირველ კონცერტს გამართავს ხაშურში. პირველ რიგში კონცერტები მოეწყობა აგარაკებზე, შემდეგ სხვადასხვა ქალაქებში.

დღეს კინოებში

— **დარბაზში** — „ბოროტმოქმედების დალი"
— **არფასტოში** — „ორში ერთი"
— **აპოლოში** — „ქალაქის ძახილზე"
— **ეთერში** — „ორში ერთი"
— **მინიონში** — „არაბი"
— **ოდეონში** — „ქალი პროვინციიდან"

ბიბლიოგრაფია

ი. სტალინი.
„კიდევ სოციალ - დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში". სახელგამი 1927 წ. გვ. 178, ფასი — 1 მან.

ოპოზიციამ საკავშირო კომპარტიაში გარკვეული სახე მიიღო. იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ანტი - პარტიული მიმდინარეობა, რომელიც საგრძნობი მანძილით დაშორდა ლენინიზმს. მისი იერიშები პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კომინტერნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ თანდათანობით მწვავდება. ამ ბრძოლაში ოპოზიცია უპირისპირებს თავის „ულტრა - მემარცხენე", არსებითად კი ოპორტუნისტულ პოზიციას პარტიის ხაზს. საკავ. კომ. პარტიის ორგანიზაციებმა გაერთიანებული ოპოზიციის პლატფორმა შეაფასა, როგორც წვრილ - ბურჟუაზიული, სოციალ - დემოკრატიული გადახრა. ასევე შეაფასა და გადაჭრით დაგმო კომინტერნის აღმასკომის მე-7-ე გაფართოებულმა პლენუმმა ოპოზიციის „ორტოდოქსალური ლენინისტური" ხაზი თავის რეზოლიუციაში სტალინის მოხსენების გარშემო.

ოპოზიციამ რომ ჩამდვილად დასცილდა ლენინიზმს პრინციპიალურ საფუძვლებს და ჩქარი ტემპით მიექანება სოციალ - დემოკრატიული ჭაობისაკენ, ამას აშკარად ნათელჰყოფს ამხ. სტალინი თავის სიტყვაში კომინტერნის მე-7-დე პლენუმზე, რომელიც გამოიცა ცალკე წიგნად სახელწოდებით — „კიდევ სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში".

თავის სიტყვაში ამხ. სტალინი გარკვევით ამბობს, რომ რევოლიუციის შემდეგი განვითარებისა და სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის პირველ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს შინა - პარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევა და ამ წინააღმდეგობათა დაძლევის ნიადაგზე პარტიის მონოლიტური მთლიანობის განმტკიცება. დღეს მსოფლიო რევოლიუციის ერთად-ერთ ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს კომუნისტური პარტია, ამიტომ ყოველგვარი შინაური უთანხმოება, რომელიც ასუსტებს პარტიის მთლიანობას, იწვევს აგრეთვე თვით რევოლიუციის განვითარების და გაფართოების შესუსტებას.

უთანხმოებას ოპოზიციასთან ამხ. სტალინი აფასებს არა როგორც უბრალო და უმნიშვნელო მოვლენას, არა როგორც ისეთ ფაქტს, რომელიც წარმოშობილია მიმდინარე პოლიტიკისა და წმინდა პრაქტიკული საკითხების სხვადასხვაგვარად შეფასების ნიადაგზე, არამედ როგორც ღრმა პრინციპიალური ხასიათის მოვლენას. ამიტომ მოითხოვს სტალინი დაუნდობელ ბრძოლას ოპოზიციასთან, ვინაიდან ორი პრინციპიალურად განსხვავებული ხაზის შეთანხმება, „საშუალო" პრინციპიალური გეზის პოლიტიკა არ წარმოადგენს პარტიის პოლიტიკას, იგი გადაგვარებისა და სიკვდილის გზაზე შემდგარ პარტიების პოლიტიკაა.

ამხ. სტალინი აკეთებს ერთგვარ ექსკურსს შინა-პარტიული ბრძოლის ისტორიიდან, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ბოლშევიკური პარტიის ისტორია არის ისტორია „წინააღმდეგობათა დაძლევისა და, ამ წინააღმდეგობათა დაძლევის საფუძველზე — მისი თანდათანობითი განმტკიცების ისტორია". შინა-პარტიულ წინააღმდეგობათა წყაროებათ ამხ. სტალინს მიაჩნია — **პირველი,** ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენა, რომელიც იჭრება პარტიაში პროლეტარიატის ერთი განსაზღვრული მერყევი ნაწილის მეოხებით, და **მეორე** — მუშათა კლასის შემადგენლობის მრავალფეროვანება. შემდეგ სტალინი ახასიათებს ეხლანდელი ოპოზიციის თავისებურობას, გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალ სხვადასხვა ოპოზიციონური ჯგუფების — ტროცკისტების, „ახალი ოპოზიციის, „დემოკრატიულ ცენტრალიზმის", და „მუშათა ოპოზიციის"—სოციალურ ბუნებას.

იმ გარემოებას, რომ ოპოზიციონურ ბლოკს ამჟამად ხელმძღვანელობს ტროცკიზმი, სტალინი ხსნის მით, რომ „კომ. პარტიაში არსებულ ყველა ოპოზიციონურ მიმართულებათა შორის ტროცკიზმი ოპორტუნიზმის ყველაზე უფრო დასრულებულ მიმართულებას წარმოადგენს". სტალინი ნათელჰყოფს ამ დებულების ჭეშმარიტებას ურყევი ფაქტებით შინა - პარტიული ბრძოლის ისტორიიდან, ეყრდნობა რა უშუალოდ ლენინის შენიშვნებს ტროცკიზმის შესახებ.

თავის სიტყვაში სტალინი დაწვრილებით იხილავს ყველა სადაო ძირითად პრინციპიალურ საკითხებს, ამ საკითხების წარმოშობის ისტორიას, და ამ ძირითად პრინციპიალურ საკითხებიდან გამომდინარე პრაქტიკულ - პოლიტიკურ უთანხმოებას. ეს უთანხმოება განსაზღვრავს ოპოზიციის შემცდარ პოლიტიკას, როდესაც იგი უარჰყოფს კაპიტალიზმის ნაწილობრივ სტაბილიზაციას, როდესაც იგი ფიქრობს, რომ ინდუსტრიალიზაცია შეიძლება აშენდეს გლეხობის ძირითადი მასის შევიწროებით, რომ ოპოზიცია გლეხობას უყურებს, როგორც „კოლონიას", „საექსპლოატაციო ობიექტს" და, დასასრულ ოპოზიცია, მოითხოვს პარტიის შიგნით ფრაქციების თავისუფლების არსებობას.

სტალინი მოკლეთ ეხება იმ საკითხს, თუ რაში გამოიხატება ოპოზიციის მუშაობა და რისთვის აქებს ოპოზიციას სოციალ - დემოკრატიული და ბურჟუაზიული ყვითელი პრესა—პროლეტარიატის დიქტატურის ეს უსაშინელესი მტერი.

საერთოდ ამხ. სტალინი არ სტოვებს უყურადღებოთ არც ერთ ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან სადაო საკითხს. თავის საბოლოო სიტყვაში ის საკმაოდ ჩერდება ამხ. ტროცკისა, ზინოვიევისა და კამენევის მიერ წამოყენებულ „ბრალდებებზე" და ამომწურავ პასუხს იძლევა მათ ზე.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ ეს წიგნი წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას პარტიის ყოველი წევრისათვის. თავისთავად ცხადია, რომ იგი ფართოთ გავრცელდება პარტიულ მასაში. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ფასი მაინცა და მაინც ვერ არის ხელმისაწვდომი.

ნ. ვ—ი.

სამხატვრო აკადემიაში

სტუდენტების მიღება

აკადემიამ უკვე დაიწყო აკადემიაში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება. მომავალ სამოსწავლო წლისათვის აკადემიის ყველა ფაკულტეტებზე არის 25 თავისუფალი ადგილი. გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს, საარქიტექტორო ფაკულტეტზე შესვლის მსურველებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ გეომეტრია - ტრიგონომეტრიაში, ალგებრასა და ფიზიკაში.

რადიო-გადაცემა

კვირა, 7 აგვისტო

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი — ქართულ ენაზე (7—7-20).

პიონერების გამოსვლა — სიმღერა, დეკლამაცია (7-20— 7-40).

საერთაშორისო მდგომარეობა — ქართულ ენაზე (7-40—8).

კომკავშირელთა გაზეთი — რუსულ ენაზე (8—8-20).

ტეხნიკური კონსულტაცია (8-20—8-40).

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8-40—9).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (9—11).

ორშაბათი, 8 აგვისტო

საერთაშორისო მდგომარეობა — სომხურ ენაზე (7—7-20).

მუშათა გაზეთი — რუსულ და ქართულ ენებზე (7-20—7-40).

ხე-ხილის მოშენება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში და მისი მოვლა—ქართულ ენაზე (7-40—8).

საუბარი რადიო -ტეხნიკაზე — რუსულ ენაზე (8—8-20).

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8-20—8-40).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8-40—11).

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

ხვალ ორშაბათს შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: ალექსანდრე შერმადინს, რასულ რახუნდოვს, მარიამ სააკოვს, ოგანეზ ტერეტინს, მინას სეოოფიანს, თათეოზ ახახიკოვს.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია. გიორგი ფალავანდიშვილს, იოსებ შალიბაშვილს, ნიკოლოზ კონსტანტინოვს, ლეონ გასანჯანოვს, რუბენ ჰოპოვს, [illegible]

შავ მუშათა მე-3 სექცია: ვლადიმერ სულავას, სუმბაზ კასტიანოვს, აიმონ ელქანოვს, ვასილ ნიკოლაიშვილს, ვართან სარემულოვს, არხიპ კერესელიძეს, ალექსანდრე სადიანს, ივანე კუზნეცოვს, ალექსანდრე ტაბაკოვს, ეფრემ ყაზიშვილს, იაკოფ შავნგირაძეს, ზაქარია თევაურს, იუსუფ მამედოვს, მორდეხ რაქეტაშვილს, სერგო გაჯიევს, ანდრო ხერგიევს, ვლადიმერ ბატნუკოვს, ლავრენტი კარეტაკ, ფარნოვ კოშელოვს.

მე-5 სექცია: იაკოვ რიტაბრამს, ილია ანანოვს.

ნარევი

ხელოვნური თოვლი

სხვადასხვა სახის სპორტს ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს და განუწყვეტლივ, ხარჯების დაურიდებლათ, ცდილობენ გამოიგონონ რაიმე ახალი გასართობი ამ დარგში.

ერთმა ინგლისელმა გამომგონებელმა აღმოაჩინა რაღაც ნივთიერება, რომლის შემადგენლობა უცნობია და რომელსაც ჩვეულებრივ, ოთახის ტემპერატურის პირობებში, ნამდვილი თოვლის თვისებები აქვს.

ეს არის თეთრი ფხვნილი, სრულიად უვნებელი ჯანმრთელობისათვის. ხელოვნური თოვლის ფენაზე ისევე კარგათ შეიძლება სრიალი თხილამურებითაც და ციგებითაც, როგორც ნამდვილ თოვლზე. იგი მეტად იაფია, ისე რომ ზაფხულში მასზე თხილამურებით სრიალი ჯდება გაცილებით იაფი, ვიდრე აგება „ყინულის სასახლის", სადაც სპეციალური მანქანის საშუალებით დაცულია 0-ზე დაბალი ტემპერატურა.

სურათზე ნაჩვენებია ხელოვნური თოვლიდან გაკეთებული მთა, რომლის სიგრძე უდრის 130 მეტრს, სიმაღლე — 20 მეტრს. მთა გაკეთებულია ხიდან და დაგებულია ფარდაგებით, რომელზედაც დაყრილია 200.000 კილოგრამი ხელოვნური თოვლი.

ვეშაპების „რეგისტრაცია"

ვეშაპების ზნე - ჩვეულებების და მათი „მარშრუტის" შესასწავლად, ნორვეგიელი მეთევზეები ნიშნავენ მათ სპეციალური ლითონის ფირფიტებით, რომელზედაც აღნიშნულია შეხვედრის წელიწადი, თვე, რიცხვი და დღე და აგრეთვე შეხვედრის ადგილი. ასეთი ფირფიტა დიდი არ არის ზომით და წარმოადგენს გაგრძელებას პატარა ისრისას, რომელსაც ისვრიან საშუალო საუკუნოების არბალეტის (მშვილდი) მსგავს მოწყობილობის საშუალებით. ისარი გაჰკვეთს ვეშაპის სქელ კანს და ჩერდება ქონში. ასეთი ვეშაპის დაჭერის შემდეგ დამჭერი აწვდის ცნობას ნორვეგიის მეთევზეობის მთავარ ბიუროს ვეშაპის ნომრის, მისი „სარეგისტრაციო" ფირფიტის შინაარსისა და იმ ადგილის შესახებ, სადაც ვეშაპი მოჰკლეს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახელ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 9 აგვისტოს, საღამოს შესდგება ამავე უჯრედის დახურული კრება. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სამშაბათს, 9 აგვისტოს, საღამოს 6 ნახ. საათზე, საქ. კ. კ. (ბ) ცეკას შენობაში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

ღოღობერიძე, თ. ჟღენტი, ელისაბედიშვილი, ლიცინოვი, მამულოვი, მელიქაძე, მეგრელიშვილი, მუშიშვილი, ხაცკევიჩი, რუბენი, შოგირაძე, ჯავახიძე, ადამაძე, ნამერზელი, არტო, მათიკაშვილი, ოლინი, ბლუაშვილი, დუგლაძე, ბოლქვაძე, ნაფეტვარიძე და კალატოზოვი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იწვევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომში, ორშაბათს, 8 აგვისტოს, დილის 11 საათისათვის.

მარიამ ორახელაშვილი, მამულია, კვანტალიანი, ანგელჩუკი, შუშანია, აშოთ თუმანიანი კარაკლინი, ს. ვარდანიანი, დავიდოვი, ა. რუხაძე, ს. სტეპანიანი, ბურჯანაძე, რახმანი, ხუმარიანი, ბუისკი, ადამიანი, მარკოვინი, ლარინი და ნაზარეტიანი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება, სთხოვს ლენრაიონის უჯრედების ყველა მდივნებს გამოცხადდნენ რაიკომში ორშაბათს 8 აგვისტოს დილის 9 საათისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - საგანმანაწილებლო განყოფილება მესამეჯერ სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხო - საგანმანაწილებლო გან-შში ამხ. **თარხანოვთან.**

მიხეილ ვასილის ძე გაივაროვსკი, ივანე ივანეს ძე ფადეევი. იოსებ ნაუმიჩევი, აგრ. ვიშკოვეცკი, აბელ სოლომონიშვილი, ნიკოლოზ როგოვი, დავით ლევიშვილი, თეოდოროს მაისურიანი, ლუარსაბ მაქსიმეს ძე საბანაძე, ვართან კოჩაროვი, მოსე მიქევიჩი, ბესარიონ მელიქაძე, ბორის ქავთარაძე, დანიელ გელაშვილი, ალექსანდრე ვასილიევი, ნიკოლოზ პოზდნარევი, იუსუფ-გასან-ოღლი-მამედოვი, სერგო გიორგაძე, ალფესი ცომაია, ვასილ დერიაბინი, რუბენ არუთუნიანცი, განა რევიზორ - გავრილიკისა, უშანგი ლორთქიფანიძე, ბორის ხაჩატუროვი, ალექ. კრავშ-მინსკი, პეტრე მიხეილის ძე პეტროვი, ალექსი ბასანიძე, ნიკოლოზ კახიაშვილი, ლეონიდი ივანეს ძე დენისოვი, გიორგი ვასილის ძე ზავიალოვი, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე რახელი, ჰუსეინ ბაგრის ძე ვეზიროვი, სურენ გრიგოლის ძე ვადიანი, ბესარიონ სტეფანეს ძე მელიქაძე, სამსონ ზურაბის ძე ჯანაშია, ანდრო გრიგოლის ძე ბლაგოვიტინი. შალვა კახიანი, გალაქტიონ ილარიონის ძე მგელაძე. ვარლამ კონსტანტინეს ძე დარსანიძე, ისაკი მარკოვის ძე ბლიუგლასი, ბესარიონ გრიგოლის ძე კაჩეიშვილი. ვასილი პავლეს ძე კალანდაძე, პეტრე ანტონოვი, სარქის გრიგორიანი, ნიკოლოზ პავლეს ძე ელიაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტაციო - საპროპაგანდო გან-ბა იუწყება, რომ ორშაბათს, 8 აგვისტოს, საღამოს შვიდ საათზე, ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება **ს. კ. პ. (ბ) ც. კ. [illegible] სხდომა,** რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

[illegible], თ. ქლენტი, კ. მეგრელიძე, მარ. ორახელაშვილი, არ. მიქაძე, ვ. იმედაძე, ვ. ორაგველიძე, კ. მახარაძე, დიმოევი, შუშანია, ბუდილევი, გოგებაშვილი, მუშიშვილი, დუგლაძე, ძამაშვილი, სტურუა, არუთინოვი, ხნეგირევი, ვლ. ადამაძე, კიკნაძე, ფირალოვი, ი. ჟორჟოლაძე, ლ. აბაშიძე შ. მათიკაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს 8 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, სააგიტაციო - საპროპაგანდო გან-ში შესდგება კლუბების დამთვალიერებელ კომისიის სხდომა, სავალდებულოა დაესწრონ: ამხ. იაგნეტინსკი, შუშანია, ს. ორჯონიკიძე, ბუხნიკაშვილი, შტიკოვი, სულუხია, საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბის გამგე და ხელოვნების მუშაკთა კავშირის კლუბის გამგე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 8 აგვისტოს, დღის 4 საათზე, სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება ქალაქის რაიკომის ყველა უჯრედების მდივნების თათბირი. გამოცხადება სავალდებულოა და უგვიანებლათ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო ქვე-განყოფილება იწვევს სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტის სტუდენტს ამხ. სამოხვალოვს, რომელიც ვალდებულია გამოცხადდეს ამხ. რუხაძესთან ორშაბათს, 8 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

დღეს დილის 10 საათზე ცენტრ. მუშათა კლუბში მოწვეულია მე-2-ე რაიონის ყოფ. ახ. მარქსისტთა და კომკავშირის უჯრედების მდივანთა გაერთიანებული კრება. დასწრება აუცილებელია.

სამშაბათს, 9 აგვისტოს შესდგება ქართულ მუშათა ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. კრება. წევრკანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში მიღების შესახებ, ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს. ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათი პარტიაში მიღების შესახებ გთხოვთ აცნობოთ სამაზრო პარტიულ კომიტეტს.

კირილე რაჟდენის ძე მიქიაშვილი, პავლე სოფრომის ძე დარსაძე, გიორგი გაბრიელის ძე კვამაძე, არტემ ნიკოლოზის ძე ჩიტიძე, კოწია მიხეილის ძე სულაქველიძე, ბესარიონ თედორეს ძე კაკუშაძე, ივლიანე გედევანის ძე ჯინჯიხაძე, ბიქტორ ნიკოს ძე ჩიტიანი, ივანე მიტროფანეს ძე ბაბუხადია ,სამსონ ივანეს ძე ხერხაძე, იაკობ პეტრეს ძე ტუნურიძე, ილარიონ იროდის ძე მიქაბერიძე, მოსე ლუკას ძე გვენეტაძე, გრიგოლ ფარნაოზის ძე კახიძე, ბიქტორ გრიგოლის ძე სოფრომაძე, ონისიმე სოფრომის ძე კუბლაშვილი, ტრიფონ ერასტის ძე ქათამაძე, გრიგოლ ნიკოლოზის ძე გიორგაძე.

გულდამწვარნი და ღრმა მწუხარებაში მყოფნი ძმა ლადო, რძალი მარი გონჯილაშვილები, ძალუა ელისაბედი შვილებით ვანიჩკა და ანიკო ახალაშვილები ამით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს მათთვის ძვირფასი და საყვარელი 23-მე შრ. სკოლის მასწავლებლის

ელისო გიორგის ასული

გონჯილაშვილის

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გერმ. საავადმყოფოში 6 აგვისტოს დილის 5 საათზე გარდაცვალებას. დაკრძალვა, 8 აგვისტოს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან როსტოვის ქუჩა № 3 (ნაძალადევი) ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1 1518

ა-წ. 7 აგვისტოს, დღის 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გარდაცვალებიდან ერთი წლის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი

მარიამ (მაშიკო) მალხაზის ასული

რამიშვილის

რასაც აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი შვილები სერიოჟა და ელენა, ძმა მიხეილ მალხაზის-ძე მუმლაძე მეუღლით, სიძე ალექსანდრე სამსონის-ძე გაჩეჩილაძე და რძალი ვალენტინა ივანეს ასული რამიშვილისა. 1—1 3519

დამწუხრებული ტკბილი დედის დაკარგვით კატიუშა გრიგოლ კეიდიას ასული და სიძე ირაკლი დიანოსის-ძე კუპრაშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

მატრონა ნიკოლოზის ასულ

კეიდიას

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კალაქ ზუგდიდში. 1—1 3515

ღრმად დამწუხრებულნი: ქალიშვილი მარიამ შიოს ასული და სიძე იოსებ გიორგის-ძე ელბერიძე თავიანთი შვილებით: გიორგი და ალექსანდრეთი, რძლით ანეტათი და შვილიშვილით ნინიკოთი, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ პარასკევს 5 მარიამობისთვეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი პირველისათვის დედა, მეორისათვის სიდედრი და უკანასკნელთათვის ბებია

ეკატერინე (კეკელა) მარტიროზის ასული

მირიანაშვილი

დასაფლავება მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება ელისაბედის ქუჩიდან 194. 1—1 3514

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

0—23 ნ. 1388

მხატვრული ტრიუკებიანი სურათი
„ორში ერთი"
საუკეთესო ტრიუკისტის **კარლ ალდინის** მონაწილეობით. სიმებიანი ორკესტრი

განთქმული სურათის „სპიდ"-ის გმირი ხეჩისონი საუკეთესო სურათში
„ბოროტმოქმედების დალი"
(სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში). 1 და 2 სერია ერთად. წარმტაცი სიუჟეტი, არაჩვეულებრივი ტრიუკები

ლილიან გიში (სურათ „ორი ობოლის" გმირი) ორიგინალურ კინო-პიესაში
„ქალაქის ხმაზე"
მსოფლიო რეჟისორის **დ. გრიფფიტის** დადგმით

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის
საბუღალტრო კურსები
ქართულ და რუსულ ენებზე
მიღება სწარმოებს 15 აგვისტომდის ხელოსანთა კლუბის მდივანთან პლეხანოვის პროსპექტი, № 66. ანუ კურსების გამგე იოვანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვთან, 1 თუმანოვის (ბოჭორიშვილის) ქ. № 13. 3516

მიხეილ გედევანიშვილის
ხახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 25 —18

მუშათა ახალი კლუბი (ყოფ. ქართ. კლუბი)
დღეს, 7 აგვისტოს
დიდი კონცერტი
მონაწილეობენ: **იუდინა, ანდღულაძე, მარმელადოვი, ბაუერზაკსი, თარხანოვი, აივაზოვისა, სერგეევი, ჩიკვაიძე და დიმიტრიევი**
ფასები ჩვეულებრივია გ ა მ გ ე ო ბ ა ნ. 1537.

საქართვ. ტყის მრეწველობის ტრესტი

ამით აცხადებს შეჯიბრებას მუშების საცხოვრებელ 4 სახლის (ორი ბორჯომში და ორი მარელისში) აშენებაზე. შეჯიბრების ვადათ ინიშნება: მარელისისათვის—შაბათი 13 აგვისტოს დღის 11 საათზე, ქალ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 1 ტრესტის შენობაში და ბორჯომისთვის სამშაბათი 16 აგვისტოს დღის 11 საათზე—ქალ. ბორჯომში, საკასრე ქარხნის ანგარანში. ყველა საამშენებლო მასალა იქნება ტრესტისა.

ტრესტი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაოები არა ყველაზე ნაკლებ ფასებში და დაუშვას შემდეგი სიტყვიერი მოლაპარაკება.

დაწვრილებითი პირობების, ნახაზების და მუშაობათა სახელწოდებების გაცნობა შეიძლება: ბორჯომში—ტრესტის საკასრე ქარხნის ანგარანში; მარელისში—გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის ანგარანში და თბილისში სატყეო ტრესტის ტეხნ. განყოფილებაში.

ყველა იმ პირთ, რომლებიც არ არიან განთავისუფლებულნი, უნდა წარმოადგინონ ქვითარი მათ მიერ განცხადებულ ფასის 10 პროც.-ტის შეტანაზე ხაზინაში.

შეჯიბრება არ გადაიდება. ნ. 1535

ქ. თბილისის მე-3 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი
ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 11 აგვისტოს 1927 წ. დღის 11 საათ. სახლში № 45 ზორაბაშის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე და ბაღდასარ ქოროღლიანის უძრავ და მოძრავ ქონებას; და ამავე რიცხვში დღის 2 საათზე კომუნალურ ქუჩ. № 65 იმათვე საფეიქრო ქარხანას საკოვის ხითაროვის და სხვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სასამ. სახალხო სასამართლოსაგან გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 313 314 სამოქ. საპრ. სამართ. კოდექსის. 3517

ყოფილი თბილისის დ | კასის საფონდო
განყოფილება
რომელიც მოთავსებული იყო ვოლოდარის ქუჩა № 3
გადავიდა
ლუნაჩარსკის ქ. № 2 1-ლი სართული, მე-2 შესავალი
სადაც იწარმოებს ყოველგვარი ოპერაციები (ფულის მიღება) **ორშაბათიდან,** 8 აგვისტოდან, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 ნახ. საათამდე
2—2 ნ. 1534 **სრულიად საქ. სოც. დაზ. კომიტეტი.**

საქართველოს ფინსახკომი
ამით აცხადებს ზედმეტ—მოგებაზე სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა
ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო თ,
რომ აღნიშნულ გადასახადის 1926—27 საბიუჯეტო წლის განაკვეთების გამოანგარიშება და გადამხდელთათვის უწყებების დაგზავნა დამთავრებულია ა-წ. 25 ივლისს.

მოქალაქეებმა, რომელთაც არ მიუღიათ უწყებები, უნდა მიმართონ დაბეგვრის რაოდენობის შესახებ ცნობის მისაღებათ პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიებში.

საჩივრები მიიღება სამაზრო საგადასახადო კომისიაში, სათანადო უბნის გადასახადთა ინსპექტორის საშუალებით, ა-წ. 26 აგვისტომდე. გადასახადის შეტანის უკანასკნელ ვადათ დაწესებულია ა-წ. 20 აგვისტო. საჩივრის შეტანა არ აჩერებს გადასახადის თავის დროზე გადახდას და საურავის ვადის შემდეგ დარიცხვას.

იმ გადამხდელთა მიმართ, რომლებიც თავის დროზე არ გადაიხდიან გადასახადს, მიღებული იქნება ყოველგვარი კანონით დაშვებული, იძულებითი ზომები, ვიდრე ქონების აღწერა—გაყიდვამდე.

საქფინსახკომი **გ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1536. გადას. განყ. მმართვ. მოადგილე **მ. ჯაფარიძე**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის
ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების
მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.
მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:
1) შვიდწლედის დამთავრების მოწმობა,
2) წლოვანობის მოწმობა,
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.
მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.
კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 13—1 ნ. 3478

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 17 აგვისტოს 1927 წ. დილის 11 საათზე ადგილობრივ აგარაკ წყალტუბოში ქუთაისის მაზრა დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** : გაიყიდება გიგო ვასილისძე აფხაძის აწერილი 5 ივლისს ამა 1927 წ. ქონება: 1) ერთი ხის დარაბა, რომელშიდაც მოთავსებულია ქვის და აგურის ფურნე. ფურნეზე მოდგმულია ხის სარაია დახურული ყავრით. დაფასებ. 250 მანეთ., 2) შვიდი ხის ტახტი დაფას. 20 მანეთ., 3) ერთი დიდისასადილო მაგიდა დაფას. 5 მანეთ. და სხვა აპოლინარი მეძმარიაშვილის და ონისიმე ტუკვაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1538

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
იღებს ავადმყოფებს ბორჯომში.
13—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

დაიკარგა განათლების კავშირის წიგნაკი № 24891 მარიამ რომანოვეცის სახელზე, ჩ. გ. 3513

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ნუსხა № 1948 პოლიკარპე ოქროპირისძე კუჭავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1538

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 10658 სილიბისტრო სტეფანესძეფხაკაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1538

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 4400 რაჟდენ გიორგისძე კუბლაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1538

დაიკარგა პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი სურათით, სახელოსნო ბანკის საწევრო წიგნაკი და თუთხმეტ თუმნიანი ხელწერილი იასონ კუხიანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1538

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი დაბადებული 1900 წ. 2 თებერვალს არონ მოშესძე მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1538

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.